


652  
1963 .



საქართველოს ენციკლოპედია

საქართველო

19663



ლიბერალ-დემოკრატიული მოძრაობის  
საზოგადოებრივი - პოლიტიკური  
ქვეყნული  
ქვეყნული  
ქვეყნული

**კვლევა**

საპარტიო-საზოგადოებრივი მუშაობის  
კავშირის აპარის  
განყოფილების ორგანო

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

6. მაღაზონია — ლექსები . . . . . 3

კ. ლორია — ჩვენი ქარხნის  
დირექტორი (მოთხრობა) . . . . . 5

მ. ვარშანიძე — ლექსები . . . . . 24

ნ. მოღვაძე — მოთხრობები . . . . . 28

ჟ. გორგინიძე — ლექსები . . . . . 35

ჯ. ჯაყელი — ზოპრა (მოთხრობა) . . . . . 38

ბ. მებრძველი — მოგონება (ლექსი) . . . . . 48

ა. ჩხანიძე — ლექსები . . . . . 49

ბ. კეჭალაძე — გაზაფხული  
ფანჯრიდან (მოთხრობა) . . . . . 51

ორჰან ველი — მე ვუსმენ სტამბოლს  
(ლექსი, თურქულიდან თარგმნა  
აღ. მაკუტაძემ) . . . . . 54

**კუბლიკაცი**

პ. რაშა — ლექსები . . . . . 56

კრიტიკა და კუბლიკაციები

ს. არველიძე — ცხოვრება და პოეზია . . . . . 59


შ. ქუჩიძე — სანდრო შანშიაშვილის  
სატრფიალო-სამიჯნურო ბალადები . . . . . 64

ხ. ავთელიანი — აქარის სახელმწიფო  
მუზეუმი . . . . . 73

**1963**

**ნოემბერი  
დეკემბერი**

გ ა ზ. „ს ა ბ ზ ო ტ ა ა ზ ა რ ი ს“ გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა



სელოვნება

ბ. გაბისონია — მეუბონე ქოჩახელა . . . 77

ფოლკლორი

ბ. სხვლედინი — ერთი ხალხური  
ლექსის გამო . . . . . 81

წიგნის თარო

მ. იმნაძე — წიგნი მეოცე საუკუნის  
ფრანგ მწერლებზე . . . . . 84

მ. ომერძე — „ზღვა და სიყ-  
ვარული“ . . . . . 86

საბჭო და იუმორი

შ. რომაძე — მოქვენების გასაქირი  
(სკეტჩი) . . . . . 88

შურნალ „ლიტერატურული აპარის“  
1968 წლის ნომრების შინაარსი . . . . . 93



რედაქტორი შოთა ქურიძე

სარედაქციო კოლეგია:

- ბ. ახვლედიანი, ნ. გვარამიშვილი, მ. ვარშანიძე (პ/მგ. მდივანი),
- პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

---

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გოგებაშვილის ქ. № 24.  
ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.

## ნესვორი მალაზონია

### ახალ თაობას

მე წამიკითხავს სააკაძის და  
 დიდი ერეკლეს ბრძოლებზე თბრობა —  
 კრწანის-მარაბდა, აწყურ-ასპინძა,  
 შემოსევათა ველური მტრობა.  
 წამიკითხავს, და ეს მინატრია:  
 ნეტავ, სამშობლოს იმ განსაცდელში  
 მეც ვყოფილიყავ,  
 თოფი და ტყვია,  
 ფარი და ხმალი მქონოდა ხელში!  
 ასევე,  
 როცა გაიხსენებენ  
 დიდი ოქტომბრის ცეცხლოვან ამბავს.  
 დალოცვენ გმირებს — მებრძოლს, მშენებელს  
 და ინატრებენ ჩემსავით, ალბათ.  
 მაგრამ მე ვიტყვი:  
 — ყოველ ეპოქას  
 თავისი მოაქვს საქმე საკვანძო,  
 და გმირთა შვილებს ისიც ეყოფათ,  
 ეს წინაპართა საქმე განაგრძონ.  
 ახალთაობას დიდი ლელო აქვს,  
 არ დაივიწყო, შვილო და კარგო:  
 განა ნაკლებად სასახელოა,  
 რომ კომუნიზმის შენობა აგო?!

## მშვიდობის წლები

დარი არის თუ დელგმა,  
მზეა, მთვარე თუ ნისლი,  
ყველა უბანში ყველგან  
შრომის გუგუნი ისმის.  
ცის გუმბათამდე მადლებს  
ამწე უსწორებს კისერს...  
თარიღს ნუ აწერთ სახლებს,  
ყველა მიხვდება ისეც:  
აშენდა, როცა წინსვლა  
იყო და დიდი ძვრები,  
პარტიამ როცა მისცა  
ხალხებს მშვიდობის წლები.

## მეგობარ პოეტს

მკითხველი რომ არ შეწუხდეს,  
არც დრო და მელანი ხარჯო,  
ისეთი ლექსის სიუხვეს  
სულაც არა თქვა, ის ჯობს,  
თუ ლექსის სათქმელს ფარავ  
და გულს რალაცას პარავ.

სანამ იტყოდე საჯაროდ,  
რას ჩქარობ, რა სული მიგდის?  
გახსენ თავისი სამსჯავრო,  
კითხე შენსავე სინდისს:  
ყველაფერს ამბობ ისე,  
როგორც გულისგან ისმენ?



## პარენ ლოკია

### ჩვენი ქარხნის ღირეპტორი

ჩვენს ქარხანას ბედი არ წყალობსო, ამბობენ ბიჭები და, მართლაც, ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სამჯერ შეგვიცვალეს ღირეპტორი, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა... გარღვევებს გარღვევები ემატებოდა და ღირეპტივები, ღონისძიებები თუ საყვედურები უშედეგოდ რჩებოდა.

ბევრჯერ ვავხადეთ მსჯელობის საგნად ჩვენი ქარხნის მდგომარეობა, ვინ იცის რამდენი საათი და დრო მივალიეთ დავას და კამათს, მაგრამ შედეგმა არ იქნა და ვერ გაგვახარა.

კვლავ ჩამორჩენა, გარღვევები, წუნი და უხარისხობა.

— დისციპლინა არ გვივარგაო, — ამბობენ ზოგნი.

— ნედლეული არ გვაქვს საკმარისადო, — იძახიან მეორენი.

— დანადგარებია გაცვეთილიო, — ირწმუნებიან მესამენი.

კიდევ რამდენ რამეს ასახელებენ ჩვენი ქარხნის ჩამორჩენის მიზეზად!

კადრებს არ იყენებენ სათანადოდ.

სიახლის დანერგვას გაუბრბიანო.

გამომგონებლებს არ ეხმარებიანო...

ზოგი გაუბედავად იმასაც ამბობდა, ღირეპტორი არ გვივარგაო.

ღირეპტორი?

და ერთბაშად წავესეოდით ამის მოქმელს:

— რას უწუნებთ ამხანაგ გავაშელს?

— რით არის ცუდი?

— მასეთი ღირეპტორი არ გვღირსებია.

სიმაართლე რომ ვაღიარო, მეც ვერას ვიტყოდი ცუდს გავაშელზე. ჩუმი, წყნარი, ბატოსანი კაცია. ერთი ხმამაღალი შელაპარაკება არავის ახსოვს მისგან. საქმეც იცოდა და გამოცდილებაც არ აკლდა. დილიდან სა-

ლამომდე სულ ქარხანაში იყო. საამქროში რომ შემოივლიდა, სათილო/და  
ხელს ჩამოგვართმევდა ყველას და გვესალმებოდა. ქალებს ქათინაფურცლებ-  
ითაც კი გაამხიარულებდა, ორ-სამ მოხდენილ ანეგდოტსაც დაგვიტყუენდა  
და წავიდოდა. გინგლინიშვილი

კრებებსა და საწარმოო თათბირებზე კეთილშობილი და ლმობიერი  
ჩანდა. ადამიანის წყენინებას ერიდებოდა, შენიშვნები და საყვედურე-  
ბიც არ ჩვეოდა.

სხვა სიკეთე რა უნდა ჰქონდეს ხელმძღვანელსა და უფროს ამხანაგს?  
„ორ დღეს ვარ თქვენთან, ამხანაგებო, და თავი რატომ უნდა შეგა-  
ძლოთო“, — იცოდა ხშირად თქმა.

მართლაც, ეტყობოდა დიდხანს არ ფიქრობდა ჩვენთან დარჩენას. პა-  
ტარა იყო ჩვენი ქარხანა მისთვის. ამიტომაც ჰქონდა ფრთები გასაფრენად  
აწყობილი.

და ერთ დღეს გაფრინდა კიდევაც. გადაიყვანეს. მოზრდილი ტრესტის  
მმართველად დასვეს...

დაგვტოვა კეთილმა და უწყინარმა დირექტორმა და დაგვიტოვა მრავალი  
კარგი ნატვრა და სურვილი. ღმერთმა უკუერთხოს მომავალი გზა.  
აბედნიეროს! პატივი დასდეს, დიდი თანამდებობა მისცეს, მაგრამ ჩვენ?

ჩამორჩენა-გარღვევებისათვის დაგვამუშავეს, გაზეთებში გამოგვაპრე-  
ლეს, საქვეყნოდ თავი მოგვჭრეს და...

ახალი დირექტორი გამოგვიგზავნეს.

ზურაბ მერაბიჩი.

ამ სახელით მოვიდა ის ჩვენთან და ჩვენც ასე გავიცანიით:

ზურაბ მერაბიჩი!

ზურაბ მერაბიჩი! — ვიმეორებდით ხშირად.

მისი გვარი შემდეგ შემოიტანა ვიღაცამ ქარხანაში.

კვარანჩხილაძე.

ამრიგად, ჩვენი ქარხნის დირექტორი გახლდათ ზურაბ მერაბიჩი კვარანჩხილაძე.

პირადად საგანგებოდ მოწვეულ კრებაზე გაგვეცნო.

ილაპარაკა ორსაათნახევარს. ამოგვილაგა, რაც ცოდვები გავაჩნ-  
და: გარღვევები, ჩამორჩენა, პროდუქციის უხარისხობა, უღისციბლინობა.  
ერთი სიტყვით, გაიმეორა ყველაფერი, რასაც ჩვენზე ამბობდნენ ხელმძღ-  
ვანელი ამხანაგები და წერდნენ გაზეთები. შემდეგ საკუთარი ჩანთა მოი-  
მარჯვა და იქიდანაც ამოლაგა ჩვენი შესამკობი ეპითეტები.

დოყლაპიები, ქარაფშუტები, თვალთმაქცები, მლიქვნელები, ზარმა-  
ცები, მოლაყბეები. ერთი სიტყვით, არაფერი დაგვაკლო. გავაშელსაც აწვ-  
დინა მათრახის კუდი, მაგრამ რადგან იგი კი არ მოუხსნიათ, პირიქით, და-  
აწინაურეს, ცუდი ბევრი ვერაფერი აკადრა.

ლანძღვა-გინება მუქარით დაამთავრა.

რას არ შეგვპირდა:

ადმინისტრაციულ სასჯელს, თანრიგის მოკლებას, დაქვეითებას, ჩამოშორებას, დათხოვნას, პასუხისგებაში მიცემას...

ასე დატუქსული და გამოლანძღული გამოგვისტუმრა და წავიდა.

— აი ახლა დააფასებთ გავაშელს. — ჩურჩულებდნენ კრებიდან მომავალი მუშები.

— მაგრამ, იქნებ, ამ გარღვევებიდან გამოგვიყვანოს, სახელი და ღირსება აღგვიდგინოს და არას ვჩივი, მაგინოს, რამდენიც უნდა.

— მართალია! — უდასტურებდა ამის მტკმელს მეორე. — ოღონდ ჩვენს ქარხანას დაუბრუნდეს აღრინდელი სახელი და საკუთარ ტკივილებს ავიტან.

ქარხნის ღირსებას პირადულზე მაღლა ვაყენებდით.

მეორე დღეს საამქროთა ხელმძღვანელებს დაერია. ცალკე შეკრობა და სულ ტყავი გახადა ყველას. მესამე დღეს ქარხანაში შემოვლა ინება და საამქროები ჩამოიარა.

ჩვენთანაც შემოვიდა შუბლშეკრული, მრისხანე, დასაქუხად მომზადებული, გაჯავრებული — ისე და იმნაირად, როგორც მეფისდროინდელი ციხის ზედამხედველი შედიოდა პატიმართა საერთო საკანში. მიავლ-მოავლო თვალი საამქროს, ჩაუარა დანადგარებს და ერთ ხნიერ ოსტატთან შეჩერდა.

— შენი ყავლი გასულია! — უთხრა მან მოხუცს. — იპოვე შენი ადგილი და დაზგა შენზე უფრო შემძლეს გადააბარე.

ოსტატს სახეზე ცივი ოფლი დაასხა.

— მართალია, სიბერე შემომეპარა, მაგრამ სხვებს არ ჩამოვრჩები და ერთხანს კიდევ მსურს ვემსახურო საშობლოსა და ხალხს! — ძლივს მოახერხა ხმის ამოღება ოსტატმა.

— მართალია! — დავუდასტურე ოსტატს ნათქვამი. — თედორე ბევრ ჩვენგანს არ ჩამორჩება.

— შენ ვილასი ვეჭილი ხარ?! — შემომიბღვირა დირექტორმა. — ალბათ, რომ ვამბობ, საჭიროა ასე მოვიქცეთ... — მერე თედორეს მიუბრუნდა. — შემოიტანე განცხადება! პენსიითაც იოლად გახვალ... შენ კი ვერ უნდა იყო წმინდა წყლის საბჭოთა ადამიანი. — ისევ გამიხსენა მე. — სხვას ექომაგები, თვითონ კი თავი დასაცავი გაქვს, როგორც ვხედავ.


შეურაცხყოფამ გამათამამა:

— მაპატიეთ, თუ დამჟირდება, თავსაც დავიცავ და სხვის მიშველებასაც არ დავიზარებ! — არ დავუთმე მე.

გაბედულმა სიტყვა-პასუხმა ცოტათი შეაკრთო ჩვენი უფროსი.

— გასაგებია! — ავტორიტეტულად თქვა მან. — მიტომაც ასეთ დღე-



ში ჩავარდნილა საწარმო, შენისთანები რომ მომრავლებია... მაგრამ მიტოვ-  
ხილდით, სახელმწიფოს ინტერესებისათვის მე არავის წყენინებ   
ვერიდები! — კვლავ შემათვალეო და გავიდა.

მეორე საამქროში მეტწილად ქალები მუშაობდნენ. სათითოდ გამო-  
ჰკითხა ყველას პირადი და ოჯახური მდგომარეობა. გათხოვილებსა და  
ქმრიანებს არაფერი უთხრა, მაგრამ გაუთხოვრები გააფრთხილა, თუ მოკ-  
ლე ხანში არ გათხოვდებით და პატრონს არ გაიჩენთ. სამუშაოდ არ დაგი-  
შვებთო.

გოგონებს ეგონათ, გვეხუმრებო და ჩაიკისკისეს, მაგრამ რომ შეატყ-  
ვეს, სერიოზულად აფრთხილებდა. გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვ-  
დათ.

— შენ, დედაკაცო? — ერთ ხანშიშესულ ქალს დაადგა თვალი დირექ-  
ტორმა.

— ქვრივი გახლავართ, ორი ობოლი მყავს, ბატონო! — მიუგო ქალმა.

— არაფერი ვიცი. უნდა გათხოვდე, პატრონი გაიჩინო.

— გათხოვდე?

— ჰო, გათხოვდე! ქართული არ გესმის? — შესწყრა მერაბიჩი და მე-  
სამე საამქროში გადაინაცვლა.

— არიქა, გოგოებო, იქნება დამადგეს საშველი! — კარგა ხნის სიჩუ-  
მის შემდეგ ალაპარაკდა თალიკო სამანაძე, საამქროში ყველაზე ეშხიანი და  
ლამაზი შეატუხა გოგონა. — ასე რომ ვინმეს ებრძანებინა, აქამდე გაუთ-  
ხოვდებოდი.

— დედა, ბეჩა, ვინ მოვნახო ასე ხელად სავარგისი? — სერიოზულად  
შეწუხდა სქელ-სქელი ქალიშვილი.

— ისევ გიგუტას უნდა ავეკიდო, თორემ ცუდადაა საქმე. — გაიხუმრა  
ქერა ქალიშვილმა, რომელსაც ერთ მოსულელო ბიჭზე აჯავრებდნენ.

— აკი უარს ეუბნებოდი? ახლა ვეღარ დაგანებებ, დია! — ჩაერია  
ლაპარაკში დაბალ-დაბალი გოგონა.

— კაი, თუ ქალი ხარ, ნულარ შემეცილები.

და დირექტორის ეს სერიოზული გაფრთხილება საოხუნჯო საგნად გა-  
ხადეს ქალიშვილებმა.

— თქვენ ვილაცას კი მოატყუებთ, მე ვიკითხო თორემ. — ქვრივი დე-  
დაკაცო ჩაება ოხუნჯობაში.

— შენც აიღე და გათხოვდი, დეიდა თეო!

— მეტი არ გათხოვდა მაგის შვილი და მომავალი! — სერიოზულად  
მიაწყველა თეომ დირექტორი. — თავის დროზე ძლივს გამეხსნა ბედი და ახ-  
ლა ვისლა ვუნდივარ ქვრივი და ბებერი.

— როგორ თუ ვის, დეიდა თეო? ჩვენს ქარხანაში განა ცოტა ქვრივი  
მამაკაცია? ვისაც ეტყვი, დირექტორმა ბრძანაო, ყველა ანგარიშს გაგი-

წევს. — წამოიწყო ისევ შავტუხამ. — მართალი თქვა მაგ კაცმა, ქალი პატრონი უნდა!



— მართალი თუ თქვა, გათხოვდი, რაღას უყურებს?

— დიახაც, გავთხოვდები!

— გავთხოვდებით, მაგრამ ვინ გვითხოვს, — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— ვისაც დირექტორი უბრძანებს!

— სწორია, ხვალვე მივართვათ განცხადება.

— განცხადებას მე დავწერ. — სხვებს დაასწრო ქერა ქალიშვილმა. —

„თანახმად თქვენი მითითებისა, გვაჭვს სურვილი გავთხოვდეთ და გათხოვთ შეგვიჩიოთ საქმროები“. ყველამ მოვაწეროთ ხელი.

— ან ჩვენ გვთვლის ბრძივად და სულელად, ან თვითონ არის სულელი და ბრძივი, — ჩაილაპარაკა თვომ და ერთხელ კიდევ მიაწყველა ახალი დირექტორი.

თვითონ დირექტორი ნათქვამს არ ივიწყებდა და სერიოზულად აპირებდა გაუთხოვარი ქალების სამუშაოდან გათავისუფლებას.

— სად მცალია მაგათ სამწყესავად. — იმეორებდა იგი. — ქვრივი დედაკაცები და გაუთხოვარი ქალები ციხე-სიმაგრესავით გასადრთხილებელია. მუდამ დარაჯად უნდა ედგე, თორემ ავე მერე პასუხი ამორალურია საქციელისათვის... ამდენი ქალები ერთად... არა, უთუოდ უნდა გაიჩინონ პატრონი და მცველი.

ეს ამბავი გასცდა ჩვენი ქარხნის ეზოს. გაიჭრა ქუჩაში. მოედო ქალაქს და ანეგლოტად იქცა. ზურაბ მერაბიჩს ამისათვის მანამდე არ მოუქცევია ყურადღება. სანამ ქარხნის კედლის გაზეთში არ წაიკითხა ფელეტონი.

ამის შემდეგ ქალებისათვის გათხოვება აღარ დაუძალებია. მაგრამ სხვა რამ არ დაეიწყნია. მოხუცი ოსტატის პენსიაში გასვლის გამო ვათავისუფლების ბრძანება ოსტატთან შეუთანხმებლად დაწერა და მას ორი-სამი სხვაც მიაყოლა. იმავე ბრძანებით არც მე დამეიწყო და ლაყბობისათვის უკანასკნელი ვაფრთხილებით გამიმასპინძლდა. ლაყბობად თედორეს გამოსარჩლება და ერთ-ერთი უვარგისი დანადგარის შეცვლის წინადადება ჩამითვალა.

მაგრამ ქარხნოში და პარტიულად არ დაეთანხმნენ დირექციას. დროულად გამოესარჩლნენ უმიზეზოდ დასჯილ ამხანაგებს და საკითხი პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანეს.

შემთავებელ-საკონფლიქტო კომისიამ დირექტორის განკარგულება უკანონოდ ცნო.

უფროსი თუ ხელქვეითს ჯიბრში ჩაუდგა, არ გაახარებს. ამაზე ითქმის: „თვით არა ღირს ნავსა ჯდომა, მერე მენავესთან ბრძოლა“.

გვეშინოდა მისი. ვუფრთხოდი, ვერიდებოდი. ვცდილობ-



დით არ მიგვეცა შემოდევებისა და შემოტევის რაიმე მიზეზი, მის დამყარებულ წესრიგს, რომელიც მხოლოდ თავის დროზე და უფროსისადმი პატივისცემაში გამოიხატებოდა. არ ვარღვევ ციბლინას, ვმუშაობდით როგორც შეგვეძლო, მაგრამ დრო მიდიოდა და ჩვენი საწარმოო მაჩვენებლები სულ დაბლა და დაბლა ეშვებოდა.

— მოგხსნით, დაგიპერთ, პასუხისგებაში მიგცემთ, — დილიდან სალამომდე ქაქანებდა და გვემუქრებოდა ზურაბ მერაბიჩი. ვინ იცის, რამდენს მოსდო შარი: ზოგს დისციპლინის დარღვევა დასწამა, ზოგს ლაყბობა და სიზარმაცე, მაგრამ ვერავის ვერაფერი დაუმტკიცა და სამუშაოდან მოხსნილი მუშაკები კვლავ ადგილზე რჩებოდნენ.

საწარმოო თათბირზე, რომელიც ქარხკომის ინიციატივით მოეწყო, აღარ დავინდეთ დისციპლინის ზედმეტად მოყვარული დირექტორი.

— მარტო ყვირილითა და მუქარით საქმე წინ არ წაიწევეს! — თქვა სიტყვით გამოსულმა პირველი ხაამქროს უფროსმა. — რამდენი ხანია დანადგარი შესაცვლელია და ამის ნებაართვა ვერ მივიღეთ...

— შესაცვლელი შენ ხარ! — წამოიჭრა სავარძლიდან მერაბიჩი. — მე თქვენ გიჩვენებთ კიბოები სად ბინადრობენ! — სასწრაფოდ დატოვა თათბირი და ვავარდა.

აქ კი ჩვენმა კოლექტივმა თავისი გაიტანა.

გათავისუფლეს მრისხანებით თავქებული დირექტორი და მის ნაცვლად სრულიად უცნობი კაცი გამოგზავნეს.

ამხანაგი ვიო გოჩიაშვილი. მაღალ-მაღალი, წარმოსადეგი ვაჟკაცი. ერთი შეხედვით, პატიოსანი და კეთილშობილი. თავაზიანი სიტყვა-პასუხი, მეგობრული დამოკიდებულება. თითქმის ჩამოჰგავდა გავაშელს ყოფაქცევით. მაგრამ იმასავით მცოდნე და გამოცდილი არ იყო. კარგა ხანს ვერ შევატყვეთ, რა აინტერესებდა ამხანაგ ვიოს: ქარხნის საწარმოო წარმატებები სურდა მოეპოვებინა პირველ რიგში, თუ მუშათა კოლექტივის საყოფაცხოვრებო პირობები გაეუმჯობესებინა, კულტურული დონე აემაღლებინა ჩვენი თუ შემოქმედებითი საქმიანობა. თავის სეფე სიტყვაში იგი ამენებას, დამშვენებასა და გაყეთებას დაგვიპირდა.

— ვნახოთ, ვნახოთ! — ვიძახდით ჩვენ და მომავლის იმედით წახალისებულნი გულდაგულ ვმუშაობდით. თითქოს დავალებათა შესრულების მაჩვენებლებიც აიწია, ხარისხიც გაუმჯობესდა, მაგრამ როგორც გვსურდა, ისე მაინც ვერ წარვმართეთ საქმე.

ახალმა დირექტორმა მალე გამოამყვანა თავი. საიდან სადაო და ჩვენს შეუმჩნევლად ქარხანაში რამდენიმე გარეშე პირი შემოაპარა. ერთი სამასალო საწყობის გამგედ დანიშნა, მეორეს ნედლეულით მომარაგება დაავალა, მესამე გარაჟის უფროსად მოაწყო.

ზოგმა ექვის თვალთ შეხედა ამ საქმეს.

— არა, არ არის ურიგო კაცი და ხელმძღვანელი. — თქვეს სხვენი.

— უთუოდ კარგი ადამიანია და წესიერი მუშაკი. თუ...

ამ „თუმ“ ექვის შხამი შეურია ჩვენს ტკბილ განწყობილებას. ენას ძვალი არა აქვს და ამიტომაც არის ასე მოქნილი და თავშეუთავებელი.

რას არ იტყვის და ილაპარაკებს! ენა, ენაა ყოველგვარი სიკეთისათვის ბოროტების დედაძარღვი და ამიტომაც თავის ნებაზე არ უნდა მიუშვას.

საქმე იცის და უყვარს ახალ დირექტორს. სად რა კეთდება, სად რა აწყვია, სად რა ინახება — ხელისგულზე უწერია.

და გამოაცხადა ყველას საყურადღებოდ:

— ქარხნიდან უჩემოდ არც ერთი ღერი ლურსმანი. არც ერთი კილოგრამი თუნუქი, არც ერთი მისხალი მასალა არ გავიდეს.

მოთხოვნილება სამართლიანია. ქარხნის დირექტორი სახალხო ქონების მცველი და დარაჯია. სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებელი. ვერავინ უსაყვედურებს, რომ თვითეულ გროშს ზოგავს და უფრთხილდება, თვითეული ღერი ლურსმანი აღრიცხვაზე რომ აქვს.

და ქარხნის ეზოდან უმისოდ ნაფოტიც კი არ გადიოდა, მაგრამ...

ეს „მაგრამ“ ლუბავს საქმეს.

უმისოდ ქარხნიდან არაფერი გასულა, მაგრამ მისი ნებართვით კი...

მისმა დანიშნულმა საწყობის გამგემ ათობით ტონა ცემენტი გაიტანა...

სად? როგორ?

დირექტორის ნებართვით, მისი მითითებით...

აგური და ხის მასალაც გაზიდეს დირექტორის ნებართვით და თანხმობით...

მერე, სად წაიღეს? ვის ჩააბარეს?

დირექტორის მითითება იყო და შეასრულეს.

— მგონია, სადღაც მშენებლობა წამოუწყია ჩვენს დირექტორს. — ამბობს ერთი ოსტატი შემპარავად.

— მშენებლობა?

— იქნებ, დამხმარე საამქრო სურს მოაწყოს ახალ ბინაზე?

— დიახ, დამხმარე! — მოთმინება არ ყოფნის კოტე ლეკავას. — დამხმარე საკუთარი მეურნეობისათვის!

— ტყუილია, არ დავიჯერებ!

— ეჰ, — საუბარში ჩაება თედორე ფადიაური. — აღრინდელი დირექტორები გაათავისუფლეს. მოხსნეს, გადაიყვანეს, მაგრამ ამას, როგორც ჩანს, წაიყვანენ.

და, ყველაფერი კარგი ავიხდათ, ერთ დილით გიოს მაგივრად ქარხანაში ცნობა მოვიდა:

ლამით მიუკითხავთ, გაუჩხრეკიათ, შეუბყრიათ და წაუყვანიათ.

— აკი ვამბობდი!

— აკი ვიძახდი!

მეორე დღეს გავიგეთ, რომ ახალი დირექტორი შეურჩევთაქნენ ქარხნისათვის.

— ვინ?

— რომელი?

— რა გვარი?

ვარაუდობენ:

ან ის, ან ეს...

ზოგს აცილებას აძლევენ, ზოგს ქებით იხსენიებენ, ზოგზე კი უიმედოდ ჩაიქნევენ ხელს და იტყვიან: არც წყალია და არც ღვინო.

არც წყალი და არც ღვინო კი არა, ჩვენ ნამდვილი ღვინო გვინდა. შუმი ღვინო! წყალშეურვევი და შეუფერავი.

ღიახ. ჩვენ გვინდა ნამდვილი ბოლშევიკური ხელმძღვანელი.

ენახოთ, ვინ მოვა!

ახალდანიშნული დირექტორის ვინაობა მალე გახდა ცნობილი. იგი ახალგაზრდა ინჟინერია. ერთ დროს რომელიღაც ქარხანაში საამქროს უძღვებოდა. შემდეგ ერთბაშად დააწინაურეს მინისტრის მოადგილედ.

ჩვენი ქარხანა ამ სამინისტროს სისტემაში შედიოდა და მინისტრის მოადგილე პირადად იყო ჩვენთან დაკავშირებული. ყველა დირექტივა, შენიშვნები თუ ღონისძიებები უშუალოდ მისი ხელით იწერებოდა.

დირექტივების წერა ადვილია. ღონისძიებებიც არ იწერება ძნელად, მაგრამ მათი შესრულება და საქმის მოგვარება ცოტა უფრო ძნელი და რთულია.

— ალბათ, იქ ვერ გაართვა თავი და ჩვენ გადმოგვიგდეს!

— სად მინისტრის მოადგილე და სად ჩვენი ქარხნის დირექტორობა!

— ვითომ დასაჯეს? — კითხულობს ერთი.

— არა, ბიჭო, დააჯილდოვეს! — უპასუხებს მეორე.

ბევრი მართლაც ასე ვფიქრობდით. კიბის მაღალი საფეხურიდან დაცურებული კაცის საქმე წასულია. ძნელად თუ მოინაცვლებს ფეხს და კვლავ ამაღლდება.

— მერე ასეთი კაცი ჩვენს ქარხანას ხელმძღვანელად გამოადგება?

ბევრი უარყოფითად უპასუხებს ამ კითხვას.

— ალბათ, ბოლმას ჩვენზე ამოანთხევს და ცხენზე გაჯავრებული უნაგირს დაამტვრევს.

— აღარ ღირს აქ მუშაობა. — აცხადებს თედორე და თამბაქოს ახვევს. — მაგრამ როგორ დავტოვო საკუთარ სახლ-კარივით შეგუებულ-შეყვარებული კუთხე! ჩემი სიცოცხლის მეტი ნაწილი აქ გამიტარებია, თვითეული დანადგარი და ჩარხი საკუთარი ოფლით გამიბანია. აქ იყო ჩე-

მი სახნავ-სათესი, ჩემი ბაღჩა-ბოსტანი. აქ ეთვისადი, აქვე ვმკიდობ, აქ ვაყენებდით კალოს და აქვე ვანაწილებდით... სახელიც გვქონდა, ქება-ღირსება-საც ვიმსახურებდით... მთავრობა ჯილდოს მაძლევდა, პარტიც ვიჭრებოდა მადლობას მიხდიდა... ახლა რა! მივატოვეო და გავიქცე? მუდამ წესიერი და საქმის ერთგული — დეზერტირი გავხდე? და ყველაფერი ეს ჩავიდინო მხოლოდ იმისათვის, რომ რიგიანი ხელმძღვანელი ვერ გამოძებნეს?

მხარის დამჭერი და თანამგრძნობი ბევრი გამოუჩნდა თედორეს, მაგრამ იმდენათა რაოდენობაც არ იყო ცოტა.

— წინასწარ თვალები რად დაგიტხაროთ? — თქვა ერთმა. — ხომ შეიძლება, ყველას აჯობოს ნამინისტრალმა?

ახლა ჩვენი საამქროს უფროსი ჩაება საუბარში:

— ყველაფერი დასაშვებია და შესაძლებელი, მაგრამ ერთი კი ცხადი და ნათელია. — წამოიწყო მან. — მინისტრის მოადგილედ ნამყოფი კაცი, თანამდებობას და კარგ ცხოვრებას შეჩვეული, როგორი გულით შემოვა ჩვენს ქარხანაში? განა აგურსა და თიხაში გაისვრის ხელს, ან იკადრებს ჩვენთან გავლასა და ამხანაგობას?

— რატომაც არა!

— რითი ვართ მასზე ნაკლები?!

— ჩვენს ქვეყანაში ასეთი ფიქრიც კი დანაშაული და შეცდომაა! და მეტმა ნაწილმა არ გაიხიარა საამქროს უფროსის აზრი.

ასეთი განწყობილებით ველოდით ახალ დირექტორს და აი მოვიდა ისიც. მოვიდა დილით. ავტობუსს მოჰყვა და გაჩერებამდე ჩამოხტა სტუდენტოვით.

ეზოდან გავუჭვრიტეთ ჭიშკარზე მომდგარს.

დარაჯი წინათაც იცნობდა მას და ჭიშკარი მაშინვე გამოუღო. შემდეგ ქუდის მოხდით მიესალმა.

სალამზე მან თავის დაქნევით უპასუხა და კონტორისაკენ წავიდა.

იმ დღეს ქარხანაში თითქმის არაფერი გაკეთებულა. ყველას აცრუებული გვქონდა გული. გასაფრენად ვიწყობდით ფრთებს და დასაფრენ ადგილს ვეძებდით.

— ფეიქრად ვარ ნამუშევარი და საქსოვ ფაბრიკაში გადავალ. — ამბობდა ერთი.

— რკინიგზაზე მოვეწყობი. — იმზადებდა ადგილს მეორე.

— რომელიმე საბჭოთა მეურნეობაში მოძებნი ადგილს.

— სოფელში წავალ და კოლმეურნე გავხდები.

— დახეთ, რა ქალაქუნები ყოფილხართ! — ბრაზმორევით წამოიძახა თედორემ. — გაქცევას აპირებთ?! ესაო და, დირექტორი არ დაგვინიშნევს რიგიანო. ეს ქარხანა კი რკინისმკვნეტელ მეპატრონეს ჩამოვართვით, წლობით ვებრძოდით მის დაქირავებულ პოლიციასა თუ ქანდაკმერისას. და

ახლა მივატოვოთ, გავიქცეთ? არა, ამაზე ფიქრი ზედმეტია. ერთი და ორი დირექტორი არ ქმნის ამქვეყნად ამინდს. არ გამოდგება — ვეგეტარიანელები, როგორც ერთი და ორი მიაბრძანეს. დააშავენბ? — იმასაც უპოვნინ თავ-შესაფარს.

და ყველას შეგვრცხვა საკუთარი სულმოკლეობისა.

შუადღისას პროფორგმა ჩამოიარა და გამოგვიცხადა:

— შესვენებისას ახალ დირექტორს სურს თქვენთან შეხვედრა და კულტურის სახლში შეიკრიბენით.

— ხომ გითხარით, ესეც კრებით იწყებს მოღვაწეობას! — ჩაიცინა ცნობილად.

— უკეთესია აქ მოვიდეს და გვითხრას სათქმელი!

— არ გაემტყუნება, ნადიდკაცარია და ზემოდან ცქერას შეჩვეული.

— დირექტივების წერაში გამოწაფული, ალბათ. ახლაც დირექტივა დაგვიწერს, ან ღონისძიებებს დაგვისახავს.

ყველამ რაღაც-რაღაცა თქვა, მაგრამ ახალი დირექტორის სასარგებლოდ არავის არაფერი დასცდენია.

დანიშნულ დროზე კულტურის სახლში მაინც შევეგროვდით.

დირექტორი იქ დაგვიხვდა. პარტიუროს მდივანთან იჯდა და რაღაცას ელაპარაკებოდა. არ ეტყობოდა, თუ რაიმეთი უკმაყოფილო იყო და განაწყენი. პირიქით, ხშირადაც კი იცინოდა.

როცა ყველა შეგროვდა და დარბაზი ხალხით გაიქედა, იგი წამოდგა, იქ მყოფთ თვალი მოავლო და ყოველგვარი შესავლის გარეშე დაიწყო:

— ამხანაგებო, მაპატიეთ, რომ დასვენების წუთებს გართმევთ, მაგრამ ჩვენი ქარხნის ინტერესები მოითხოვს ამას და, დარწმუნებული ვარ, თქვენ მისთვის უფრო მეტ მსხვერპლსაც გაიღებთ.

— ყოჩაღ, კარგად დაიწყო! — ჩამიჩურჩულა ყურში თიკანაძემ.

— ეს, არც კრებაა და არც თათბირი, რომ ვინმეს სიტყვით გამოსვლა ევალეზოდეს, — განაგრძო დირექტორმა. — დღეს კამათისათვის არ გვცალია. ალბათ, ამისთვის სხვა დროს მოვიცლით. როცა უკეთესად წარვმართავთ საქმეს. ახლა მხოლოდ ორიოდ სიტყვა მსურს გითხრათ და გთხოვთ მომისმინოთ.

დარბაზი შეიშმუშნა და გაინაბა.

— ამხანაგებო, თქვენს ქარხანას მე კარგად ვიცნობ. ბევრ თქვენგანსაც ვიცნობ. ბევრჯერ შემისწავლია და შემომოწმებია თქვენი მუშაობა: მუყაითი და ერთგული მუშები ხართ, თქვენი ქარხნის პატრიოტები, მაგრამ რატომღაც ამ უკანასკნელ ხანს აღრინდელი სახელი და ღირსება შელახეთ. წინა რიგიდან უკან გადაინაცვლეთ და იქაც ვერ მოახერხეთ მტკიცედ დადგომა. საქმეს ვერ არგო ჩემმა დაწერილმა ღონისძიებებმა, ვერც დირექტივებმა.

— ღონისძიებების წერა არ კმარა! — წამოიძახა ვილაცამ.

— მართალია, — დაუდასტურა დირექტორმა. — ამიტომაც სკნელად, როცა კვლავ ახალი ღონისძიებების დაწერა დამავადე და ვეწერე და უბრალოდ განვაცხადე: მომანდეთ, გამიშვით იქ და, რაც გასაკეთებელია, ქარხნის კოლექტივთან ერთად გავაკეთებ-მეთქი.

დარბაზში ტაში გაისმა.

— არა, ამხანაგებო, ჯერჯერობით საზეიმო არაფერი გვაქვს. ჯერ არც მე არაფერი გამიკეთებია, და ვერც თქვენ დაიკვებხნით წარმატებებით! — ღიმილით თქვა დირექტორმა.

— სწორია!

— მართალია!

— ჰოდა, აბლოდისმენტებისა და საზეიმო განწყობილებისაგან დროებით თავი შევიკავოთ, სჯობს ვაეკაცურად წავიმუშაოთ. რაც ღონისძიებების წერით ვერ გავაკეთე, ის პრაქტიკულად გამაკეთებინეთ! იქ ჩემს წინადადებას მხარი დაუჭირეს, თქვენთან გამომგზავნეს, მენდნენ, მაგრამ ახლა საჭიროა თქვენც მენდოთ, მხარი დამიჭიროთ, გამყვეთ და გამიყოლიოთ. გასაგებია?

— გასაგებია!

— გენდობით!

— გაგყვებით!

— მაღლობელი ვარ, ამხანაგებო! — თავისუფალი ბრძანდებით!

— მეტი არაფერი? — უნებლიედ წამოსცდა ვილაცას.

— მეტი არაფერი. — გაიმეორა დირექტორმა. — ქარხანას თქვენ ჩემ უკეთ იცნობთ, მუშაობა იცით. თუ რაიმე საჭიროა და გვინდა, ამისათვის ჩვენ ვიზრუნებთ. მაშ, ამით მოვრჩეთ! — და დარბაზიდან ჩვენთან ერთად გამოვიდა.

სულ ათი წუთიც არ დაგვიკარგავს იმ საუბარში. შესვენების დროიდან რამდენიმე წუთი კიდევ შემოგვრჩენოდა, მაგრამ ამისათვის ანგარიში არ გავვიწევია, მაშინვე დაზგებს მივაშურეთ და ხალისიანი მუშაობა გავაჩაღეთ.

— ესეც შენი დაწუნებული დირექტორი!

— ესეც შენი ნამინისტრალი!

— საქმიანი კაცი ჩანს!

ახლა აუგს აღარავინ ამბობდა მასზე, თუმცა ზოგიერთი ურწმუნო იმეორებდა:

— ნათქვამია: ფონი გასავალს დალოცეო!

— ვნახოთ, ხვალინდელი დღე რას მოგვტანს.

ორი დღე ისე გავიდა, რომ ახალი დირექტორი თვალითაც არ დაგვინახავს. დილაადრიან მოსული გვიან საღამომდე საწარმოო და საგეგმო გან-



ყოფილებათა ხელმძღვანელებთან კონტორაში ზის და ქალაქდებში იქვე-  
ბაო, ამბობდნენ.

— რამდენი ცხენი ვიყიდე, იმდენი ოჩანი გამოდგაო. — გესულიძე  
ილაპარაკა ჩვენი სამქროს ოსტატმა გურამ ზვინაძემ. — ქალაქდებში  
ქვით წაიწივეს საქმე წინ?

მაგრამ ჩვენ მაინც ვმუშაობდით თავგამოდებით. ვცდილობდით აღგვე-  
დგინა ჩვენი ქარხნის დაცემული პრესტიჟი და სახელი.

ეკ, როგორ გვინდოდა აღრინდელი სახელის დაბრუნება, ქების მოსმე-  
ნა და პარტიისა და ხალხის თვალში გამოჩენა!

მესამე დღეს, სამუშაოდ რომ მივედი, ახალი დირექტორი ქარხნის  
ეზოში დავინახეთ. ნელი ნაბიჯით დადიოდა: ხან ცამდე აზიდულ მილებს  
შეცქეროდა, ხან საწყობების განლაგებას ამოწმებდა, ხან ერთ ადგილას  
შეჩერდებოდა და უბის წიგნაკში რაღაცას ინიშნავდა.

მალე საყვირი მისცეს. ჩვენ სამქრობებში შევედით და ის იყო დავიწ-  
ყეთ მუშაობა, რომ ახალი დირექტორიც შემოვიდა. შემოვიდა უბრალოდ.  
თავის დაქნევით მოგვესალმა და კონვეიერს დაადგა თვალი. შევამჩნიე,  
ვერ დარჩა კმაყოფილი პროდუქციის ხარისხით, მაგრამ საყვედური არ და-  
სცდენია, დაზგებს ჩამოუარა და ერთ დანადგართან გაჩერდა.

— როგორ მუშაობს? — შეეკითხა იგი ამ დანადგარს მეთვალყურე  
ოსტატ სიკო ნიკურაძეს, ჩვენს შორის ყველაზე უკმეხსა და ზედმიწევნით  
თავისებურ კაცს.

— ისე, როგორც ჩვენი დირექტორები. — ზელაც არ შეუხედავს, უპა-  
სუხა ოსტატმა.

— როგორ გავიგოთ? — ეუცხბოვა დირექტორს.

— თაღლითობს. თუმცა ამას მიზეზი აქვს, ისინი კი განზრახ თაღლი-  
თობდნენ.

დირექტორს ლოყები შეუფერადდა.

— მიზეზი? — მაინც იკითხა უფროსმა.

— მიზეზს რა კითხვა უნდა! — იწყინა სიკომ, ჩარხში გავლილი ჭინჭი-  
ლაკი კონვეიერზე შეისროლა და დირექტორს შემდეგ ახედა. — ხომ ხე-  
დავ, ძლივს ჯაგჯაგებს, მოტყდა, მოძველდა, მოცვდა, მოხუცდა.

— თქვენი აზრით... — წამოიწყო დირექტორმა, მაგრამ სიკომ უად-  
გილოდ შეაწყვეტინა:

— ჩემი აზრით, დირექტორებთან ერთად ესენიც რომ შეეცვალოთ,  
ათჯერ უკეთესი იქნებოდა.

დირექტორმა ფანქარი ამოიღო და უბის წიგნაკში რაღაც ჩაინიშნა.

— ეკ, წერა-კითხვა რომ არ იცოდეთ, უკეთესად იქნებოდა ჩვენი საქ-  
მე. — თავისთვის, მაგრამ გასაგონად თქვა სიკომ. — ნათქვამს შეამოწმებ-  
დით, გასინჯავდით და გასაკეთებელს ჩაუწერლად გააკეთებდით.

ეროვნული  
საბჭო

დირექტორმა ეს საყვედურიც რომ უპასუხოდ დატოვა, ნიკურაძე უფრო და უფრო გათამამდა.

— ჩინოვნიკები, კაბინეტის ბიუროკრატები, კანცელარიის მდივანები, ქალაქის ჩრჩილები, დროსტარების მოტრფიალენი, უპასუხისმგებლონი! — და უეცრად გულმოსულმა დაზგაზე დაჰკრა მუშტი. — ჩვენ აქ... ნეტა ნება მომცა და... ერთი მეორეზე უარესები ხართ! — კბილები კბილებს დაჰქირა და ისეთი ჭრიალი მოაღებინა, რომ გვეგონა ერთბაშად ყველა ჩაელეწებოდა.

დირექტორმა ერთხანს უცქირა, უცქირა ოსტატს და შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნდა.

მიეუხვდით. ჩვენგან ითხოვდა პასუხს.

— თავისებური კაცია, ამხანაგო ლევან! — უთხრა საამქროს უფროსმა. — არ გამოუღის გემრიელი სიტყვა-პასუხი, უფროს-უმცროსის გარჩევა არ ეხერხება.

— გასაგებია. — ერთხელ კიდევ გაიხედა სიკოსაქენ უფროსმა. — ბევრი გყავთ ასეთი?

— საბედნიეროდ, ძალიან ცოტა! — თითქოს საამებლად, დირექტორს მიუგო საამქროს უფროსმა.

— სამწუხაროა. — თქვა დირექტორმა.

ჩვენ ვერ გავიგეთ, რა იყო სამწუხარო, ნიკურაძის მსგავსი ადამიანები რომ გვერია, თუ ცოტანი რომ იყვნენ.

— მაშ, თქვენ ხელმძღვანელობის მადლიერი არა ხართ, ამხანაგო? — ისევ ნიკურაძეს მიუბრუნდა დირექტორი.

— ხელმძღვანელობის!.. — გაიმეორა სიკომ. — ამას თუ ხელმძღვანელობას ეძახით! წარამარა იცვლებით და ერთნაირი უსაქმურები კი ხართ! წადით, მოგვმორდით და ნახეთ, თუ ჩვენ თვითონ ვერ მოვეუაროთ და ვუპატრონოთ ქარხანას. ინსტიტუტებში რომ არ გვევლია, ნახაზებში რომ არ გავბანდულვართ, იმიტომ ფიქრობთ, რომ არაფერი გავგეგვება? ამას რა ინსტიტუტი უნდა, რა ნახაზები!!! მოშლილი წისქვილივით ჯალჯალებს. რა ხარისხი უნდა მოვსთხოვოთ ასეთ მანქანაზე მომუშავე ოსტატს? ჩვენ გვემას გვთხოვენ, ხარისხს, სისწრაფეს... ჩვენ კი ჩამორჩენა გვაქვს, უხარისხობა...


— ხომ შეიძლება ყველაფერი ეს თქვენი მიზეზით იყოს! — შეეკამათა უფროსი.

— ჩემი?! — გაკვირვებისაგან თვალები გაუშტერდა სიკოს.

— დიახ, მანქანა თქვენ არ გაბარიათ? მოვლა უნდა, ყურადღება. თქვენ, ალბათ... — მაგრამ სიკომ ამდენი ვერ მოითმინა.

— როგორ, ახლა მე მადანაშაულებთ? — თვალებში ცაცხლი ჩაუღ

9223





გა. — თქვენი აზრით, ჩვენი ბრალია, რომ ქარხანა დაეცა და დაქვეითდა? მაღლობელი ვარ! აქამდე ასეთი შეურაცხყოფა არავის მოუყენებია ჩემს თვის. — წინსაფარი სწრაფად მოიხსნა და დირექტორს სახეში ესროლა, შემდეგ მიტრიალდა, წასვლა დააპირა, მაგრამ ორიოდ სიტყვის სათქმელად შემობრუნდა: — აქ მუშაობა მაინც არ ღირს, ამაზე უარესიცაა მოსალოდნელი! — უშვერად შეივინა და გავიდა.

ბოდბელი გაფითრდა. რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ სიტყვა ათრთოლებულ ტუჩებზე შერჩა. უხერხულად იქეთ-აქით მიმოიხედა და საამქრო დატოვა.

ნიკურაძის ასეთი უხეშობა არ გაგვეკვირვებია, მაგრამ ახალი დირექტორის საქციელმა ჩაგვაფიქრა.

სიბრაშემ დაუბა ენა, თუ გაუბედაობამ? თუ ძველი ოსტატი დაინდო და არაფერი აკადრა?

გადაწყვეტილია: სიკო ჩვენთან აღარ მოვა სამუშაოდ. არც დირექტორი დაუშვებს ასეთ ჯანყისთავს. განა ასე შეიძლება მოექცე ხელმძღვანელს?

ამიტომაც იყო, აღრინდელი დირექტორებიც ავი თვალთ უყურებდნენ სიკოს. არც ერთს არ მოსწონდა მისი კვიმატი ენა და მოურიდებელი სიტყვა-პასუხი, მაგრამ ნიკურაძის სამუშაოდან განთავისუფლებას ყველა რატომღაც ერიდებოდა. ალბათ, იმიტომ, რომ სიკოს მაღლიანი ხელი და გამჭრიახი გონება ჰქონდა. როგორც ოსტატსა და სპეციალისტს, ჩვენს ქარხანაში ტოლი არ ჰყავდა. თუ ქარხნის მოძველებული დანადგარები ჯერ კიდევ სუნთქავდნენ, ეს ნიკურაძის დამსახურება უფრო იყო, ვიდრე საწარმოს ხელმძღვანელთა და მთავარი ტექნოლოგისა. რა იყო, სიკოს ხელს რომ არ გაეკეთებინა, რა იყო, რომ მას არ გამოეგონებინა. წყობილებიდან გამოსულ ჩარხებსაც კი უდგამდა სულს.

აღრე, სანამ ქარხანას გულშემატკივარი ხელმძღვანელები განაგებდნენ, სიკოს სახელი და დაფასებაც ჰქონდა, სამაგალითოდ ასახელებდნენ თათბირებსა და კრებებზე, გაზეთებით ავრცელებდნენ მის გამოცდილებას. შემდეგ რატომღაც გამოვიდა მოდიდან ქარხნის პატრიოტი ოსტატის სახელი. მართალია, სამუშაოს არ აკლებდნენ, მისი შრომითა და გამოცდილებით კვლავინდებურად სარგებლობდნენ, მაგრამ პატივში არ ჰყავდათ და, ცოტა არ იყოს, ნიკურაძემ თავმოყვარეობის შელახვა იგრძნო. ხშირად ბუზღუნებდა, ყველას ედავებოდა და ნამუშევარს უწუნებდა, ხელმძღვანელობას ხომ სულ კრიჭაში ედგა.

— სიმართლეს, სიმართლეს ვერ ვულალატებ! — იცოდა თქმა და სიმართლეზე გადაყოლილი, საკუთარ ინტერესებს ივიწყებდა. ყველას როდი უყვარს სიმართლე. არც ყოველნაირი სიმართლის თქმა

იძლევა სასურველ შედეგს. სიმართლესაც თავისი ადგილი აქვს. თუ მისი გამოძევება საქმეს არ გეხება, არ უნდა შეაქციო გვერდი, მაგრამ კუ- ზიანს რომ უთხრა, მახინჯი ხარო, ამით საქმეს ვერ უშველი, თქვენს ხელში მართლის ღალატს ვერაფერს დაგწამებს.

ხშირად ასეთი სიმართლის თქმაც უყვარდა სიკოს და ამისათვის ბევრს არ მოსწონდა იგი.

მოულოდნელად ნიკურაძე კვლავ შემოვიდა საამქროში. დანადგართან მივიდა და ჭირისუფალივით თავზე დაადგა.

ეტყობოდა, ჩაფიქრებოდა თავის საქციელს და ნანობდა.

ჩვენ ხმას არ ვიღებდით, ხანდახან ცალი თვლით გადავხედავდით მხოლოდ.

დიდხანს იდგა სიკო დაზგასთან. თითქოს სამუდამოდ ეთხოვებო, ისე დასტკეროდა. მერე თავი ასწია და ნაღვლიანად ჩაილაპარაკა:

— ჯერ კიდევ არ მინდოდა გამოგთხოვებოდი. — დაზგას ხელი შეუსვა და ცრემლი მოსწყდა.

— მერე ვინ გაგდებს, შე კაი კაცო? — ყველას დავასწარი მე და გული დამეწვა. — მივალთ, ეთხოვთ, შევეხვეწებით. არ უნდა იყოს უგულვო კაცი...

— არა. აღარ ღირს ჩემი მუშაობა აქ. არც ის დათმობს. ჩემთვისაც უხერხულია. — უიმედოდ ჩაიქნია ხელი სიკომ.

ერთხელ კიდევ მოავლო თვალი საამქროს, ყველა ერთბაშად შეგვათვალეირა, შემდეგ მიბრუნდა და სასაფლაოდან დაბრუნებული ჭირისუფლის ნაბიჯით გავიდა.

ამ გამოთხოვებამ ძალიან იმოქმედა ჩვენზე. დაგვეკარგა მუშაობის ხალისი, გავგიქრა ენერგია. რამდენადაც კმაყოფილი ვიყავით ახალი ღირექტორის შეხვედრით, მისი პირველი გაცნობით, იმდენად უკმაყოფილონი დავრჩით დღევანდელი შემთხვევით. დღეს იგი ისე კეთილი არ ჩანდა, როგორც იმ შეხვედრისას, თითქოს მრისხანე და ავბუნებისა გახდა.

— ჰოდა, მორჩა, სიკო ჩვენ აღარ დაგვიბრუნდება! — დავასკვნით ყველამ.

— მოხსნის!

— გაათავისუფლებს...

— შეიძლება პასუხისგებაშიც მისცეს შეურაცხყოფისათვის.

როგორც მოველოდით, ისე მოხდა. მეორე დღეს სიკო სამუშაოდ არ მოსულა, ღირექტორმა კი საამქროში გამოგზავნა კაცი. — ნიკურაძე ჩემთან გამოცხადდესო. როცა ამბავი მიუტანეს, ოსტატი სამუშაოდ არ გამოსულაო, მაშინ ქარხნომის თავმჯდომარეს ნიკურაძის გამოუცხადებლობის მიზეზი კითხა.



— არ ვიცი, ამხანაგო ლევან! ჩვენთვის არაფერი უცნობია. უფროსები უფროსები უნდა იყვნენ.

— გამიგეთ და შემატყობინეთ!

ასეთი ბრძანების კილო ქარხნომელებს არ მოეწონათ. მაშინ ბოდბელიც აღელდა.

— ამხანაგო პავლე, მართალია, ვერ გიბრძანებ და შენი უფროსიც არა ვარ, მაგრამ კოლექტიური ხელშეკრულების შესრულებას კი მოგთხოვთ. დიახ, დიახ, მოვალე ხართ მუშა-მოსამსახურეთა საქციელისათვის პასუხი აგოთ. ეს შემძლია სასამართლოს წესითაც მოგთხოვოთ. როგორ? რას გავალბებთ? ისეთს არაფერს! გაცნობებთ, რომ ნიკურაძე სამუშაოდ არ გამოცხადებულა. თქვენი მოვალეობაა, გაიგოთ რა მოუვიდა — იქნებ, ავადაა, უჭირს რაიმე. როგორ? ვერაფრით დაეხმარებით? რას ამბობ, კაცო! აბა, რას აკეთებთ მაქ? კარგი, კარგი! გავეცნობი თქვენს საქმიანობასაც. — ტელეფონი დადო და მდივანს დაავალა, ნიკურაძეს მანქანა გაუზღავნეთ და, თუ არა უჭირს რა, წამოიყვანეთ.

ერთი საათის შემდეგ სიკო დამნაშავეის ნაბიჯით შევიდა დირექტორის კაბინეტში და ერთ ადგილას დაესო.

— ეს რაო, ამხანაგო ნიკურაძე, ხელმძღვანელობას ესაყვედურები და თავად კი სამუშაოდ არ გამოდიხარ?! — შეათვალიერა დირექტორმა ოსტატი. — ავად ხომ არა ხარ?

— არა. — თავი არ აუწევია ნიკურაძეს.

— მაშ, სამუშაოდ რატომ არ გამოხვედი?

ნიკურაძემ პასუხის ნაცვლად უფრო ჩაკიდა თავი.

— დანაშაულს ვერ გაპატიებთ! — აწეული ხმით უთხრა დირექტორმა.

— ვიცი. — მოკლედ მიუგო სიკომ. — მომხსნით, გამათავისუფლებთ.

— არა. მასეთ სისულელეს ვერ ჩავიდენ. — ბეჯითად შეათვალიერა უფროსმა სიკო. — ქარხანას ბოძს ვერ გამოვაცლი. დასჯის სხვა საშუალებებიც გავვაჩნია.

— ჩემს ხასიათს ვერავითარი საშუალებებით ვერ შეცვლით. უკეთესია, დანადგარებისა და მანქანების შეცვლისათვის იზრუნოთ. — თავისებური უკმეხობა მაინც ვერ დაივიწყა ნიკურაძემ.

დირექტორმა გაიღიმა.

— თქვენი ხასიათის შეცვლას არც შეეცდები. ის მე მომწონს, ხელს არ მიშლის, ხოლო დანადგარებისა და მანქანების შეცვლისათვის... მოდო, ერთად ვიზრუნოთ! — რას იტყვი? მოდის? — წამოდგა და ხელი გაუწოდა.

— მოდის! — სიხარულით შესძახა სიკომ და ბოდბელის გამოწვევილი ხელი საკუთარ მარჯვენაში მოიმწყვდია.

მესამე დღეს ბრძანება გამოაკრეს, რომელიც ქარხნის ერთი დღით რემონტში ჩადგომას იუწყებოდა.

— რა დროს რემონტია, რა დროს ქარხნის შეჩერებაა?! — ზღუნის.

მართლაც, ძლივძლიობით მოვებით საქმეს თავი, დღიური დავალებების შესრულება ვიწყეთ და ამ დროს რემონტი!

მაგრამ ჩვენს საყვედურს რომ სიკომ მხარი არ დაუჭირა და ბანი არ დაგვაწია, ყველას გაგვიკვირდა.

— გონივრული მოსაზრებაა. — გვითხრა მან, — სანამ გლახი გუთანს შევაბამდეს და სამუშაოდ გავიდოდეს, მანამ სახნის-საკვეთს კარგად მოპირავს, გალესავს და გუთანს მოარგებს. ოსტატმა დაზვასთან მისვლამდე უნდა მიხედოს იარაღს და წესრიგზე მოიყვანოს. არაფერია, რემონტით გაცდენილ დროს მაღალი შრომის ნაყოფიერებით ავანაზლაურებთ.

— მაშ, მხარს უჭერ ჩვენი ღირეჰქციის ღონისძიებას?

— სავსებით. ეტყობა, ჰკვიანი ბიჭია ეს კომსომოლა.

— რას ამბობ, რა დროს კომსომოლობაა, საცაა ოცდაათისა გახდება. — შეედავენ სიკოს.

— ეგ სულერთია, — თქვა მან. — სტილი აქვს ახალგაზრდული. მონდომება, რწმენა. რაც არ იცის, სხვას ეკითხება, თავი დიდად არ მოაქვს და საერთო საქმისათვის ზრუნავს. სალი კომკავშირული ორგანიზაცია თუ გამოზრდის ასეთ ვაჟაკებს. ნამდვილი ბოლშევიკების რიგებში გაწრთენილი კომუნისტი თუ იქნება ასე პირუთვნელი და სამართლიანი.

მადლობა ღმერთს! ერთი ხელმძღვანელი მაინც გამოიძებნა სიკოს მოსაწონი. მაგრამ არ იფიქროთ, მის წინაშე ქედი მოეხაროს, მორიდებულნი გამხდარიყოს. პირიქით, შეგირდით აძლევდა შენიშვნებს და ზოგჯერ კამათსაც არ ერიდებოდა.

საერთოდ, ჩვენი ახალი ხელმძღვანელი არ თავილობდა რიგითი მუშაებისა და ოსტატების რჩევას, თუმცა მათ საფუძვლიანად სწონიდა და ამოწმებდა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ მალე მას ისე შეეჩვიეთ, ისე დავეუახლოვდით, რომ საკუთარ ჭირსა და ღზინსაც კი ვუზიარებდით.

— ზომ ხედავთ, გვეყვანან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ ჩვენი მეურნეობის ამა თუ იმ დარგის კარგად წარმართვა, თუ კი მათ მოძებნიან და შეარჩევენ. — ამბობდნენ ბოღბელის მუშაობით კმაყოფილი მუშები.

— სწორია. — უდასტურებენ სხვებიც. — მთავარია შერჩევა. ყველა უნარისა და მიდრეკილების მიხედვით უნდა გაიგზავნოს სამუშაოზე.

და ერთხელ, როცა მანქანების რემონტს ვაწარმოებდით, ჩვენმა ემზიანმა შავტუხა გოგონამ ღირეჰქტორის იქ ყოფნისას იხუმრა:

— მართალი ბრძანდებით, ღირეჰქტორი კარგი გვეყავს, მაგრამ ჩვენს



გათხოვებაზე რომ არ ფიქრობს, ეს კი არ მოგვწონს. — ეშმაკუტყევეს ხედა  
ბოდბელს.

— მართალია, მართალი, — დააწიეს გოგონებმა და აკისკისდნენ.

ბოდბელს ბავშვივით შეუწითლდა ლოყები.

— მადროვეთ ცოტა, ავერ მუშაობას გავაჩაღებთ, ჩამორჩენიდან გა-  
მოვალთ, გარდამავალ დროშას დავისაკუთრებთ და... — გოგონებს გადა-  
ავლო თვალი. — რომელიც უფრო გამოიჩინეს თავს, უწინ იმას გადაუხ-  
დით ქორწილს.

— ეჰ, — თითქოს ნაღვლიანად ამოიოხრა შუახნის გაუთხოვარმა ქა-  
ლმა. — პატივცემული ზურაბ მერაბიჩი დარჩენილიყო, აქამდე ყველას გა-  
გვათხოვებდა, მაგრამ...

— მაშ, მაშ. — და ქალებმა ყოფილი დირექტორი და მისი ბრძანება  
გაიხსენეს.

რემონტი ვადაზე ადრე დაეამთავრეთ. არ გაგვირჩევია დღე და ღამე,  
ცუდი თუ კარგი დარი, ძნელი და იოლი სამუშაო.

გმუშაობდით, ვაკეთებდით და გვიხაროდა, რომ მალე განახლებულ  
დანადგარებთან დავდგებოდით და აწყობილ ჩარხებს ავუშვებდით. შრომა  
მსუბუქი იქნებოდა და ნაშრომი ბარაქიანი.

ჯერ კიდევ რემონტი დამთავრებული არ გვქონდა, ქარხნის საწყობი  
რომ გაივსო ნედლეულითა და მასალებით. დანადგარებისათვის ბლომად  
მოზიდეს სათადარიგო ნაწილები.

ბოლოს, ავამუშავეთ თუ არა ქარხანა, წამითაც აღარ გვიგრძნია რო-  
მელიმე ბერკეტისა თუ ჩარხის თაღლითობა და ღალატი.

ერთი თვის ნაცდური რამდენიმე დღეში ავანაზღაურეთ, ხოლო ერ-  
თი თვის შემდეგ სამინისტროდან რომ დარეკეს, პირველად შეგვაქეს. იმე-  
დია, წლის ბოლომდე გარღვევებიდან გამოხვალთ და ჩამორჩენილთა რი-  
გებს მიატოვებთო.

— არა, მოწინავეებსაც უნდა გავუსწროთ! — უპასუხა დირექტორმა  
მინისტრს და შემდეგ მასთან საუბრის შინაარსი ჩვენც გაგვაცნო.

— ჯერ კიდევ არ არიან დარწმუნებული ჩვენს საბოლოო გამარჯვე-  
ბაში. — გვითხრა მან.

როცა წლის დამთავრებამდე ოცი დღით ადრე წლიური დავალების  
შესრულება ვუბატაკეთ და დანაზოგებიც ბლომად ვუჩვენეთ, იცოცხლეთ,  
მაშინ იწყეს ჩვენთან დენა ყოველი მხრიდან: სამინისტროდან, ქალაქკომი-  
დან, რაისაბჭოდან, პროფკავშირიდან... აბა, გაზეთებისა და რადიომაუწყებ-  
ლობის კორესპონდენტებმა ხომ სულ აგვიკლეს!

— ხომ გეუბნებოდით, — მერამდენედ გვეუბნებოდა ნიკურაძე. —

მასა მასაა და ყოვლისშემძლე, მაგრამ თუ რიგიანი ხელმძღვანელი არ ჩაუ-  
დგა სათავეში, ვერაფერს გააკეთებს.

ვერ ვიტყვი, თითქოს ყველაფერი უმტკივნეულოდ და შეთანხმებულად  
კეთდებოდა. მოწუწუნენი და მოსაყვედურენი ახალ ხელმძღვანელსაც საკ-  
მაოდ გამოუჩინდა. ზოგი რა ბრალს სდებდა და ზოგი რას. ამ მხრივ ქარხკო-  
მის ხელმძღვანელებმა ისახელეს ყველაზე უფრო თავი. ვითომ მუშა-მოსამ-  
სახურეთა ინტერესები დაიხვიეს ხელზე და ადმინისტრაციას ქარხნის უდ-  
როოდ დროს რემონტში ჩაყენება დასდეს ბრალად. მათ ზოგიერთმა განაწ-  
ყენებულმა თანამშრომელმაც დაუჭირა მხარი და საქმე იქამდე მივიდა,  
რომ საკითხი ქალაქკომის ბიუროს განხილვის საგნად იქცა.

აქ კი გამოიჩინა თავი ჩვენმა კოლექტივმა და თავისი სიტყვა გაბედუ-  
ლად და აშკარად გამოთქვა.

ეს ჩვენი სიტყვა საკმაო ვახდა ჭეშმარიტების გასამარჯვებლად. მოკ-  
ლე ხანში მოგვიხდა ქარხკომის გადაჩევა და მისი შემადგენლობის გადა-  
ხალისება.

ძალიან გვინდოდა ქარხკომის თავმჯდომარედ ნიკურაძის არჩევა, მაგ-  
რამ ცნობილმა ოსტატმა ქვა აავდო და თავი შეუშვირა:

— როგორ, დაზგასთან აღარ ვარგივარ?! — იყვირა მან. — არა, მაგ სა-  
ქმისათვის არ ვაგჩენილვარ.

ქარხკომის შემადგენლობაში იგი მაინც გავიყვანეთ და არც მას გაუ-  
წევია წინააღმდეგობა.

და ერთხელ, როცა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შევაჯამეთ  
და ქარხანაში გარდამავალი წითელი დროშა ავაფრიალეთ, ეშხიანმა შევ-  
ტუხა გოგომ კვლავ იოხუნჯა:

— ახლა მაინც ხომ გამათხოვებთ, პატივცემულო დირექტორო?

ბოდბელს კვლავ წამოუწითლდა ლოყები და ისე დაადგა თვალი იოხუნჯ  
გოგონას, რომ ყველასათვის გასაგები გახდა — ეს გოგონა მას სხვისთვის  
არ ემეტებოდა.





## მამია ჰაყბანიძე

### ჩაღმა ჩაყრილო ჩემო ვენახო!

მე ბინადარი უთვალავ ფერის,  
 უღეთო სიზმარის ცდუნებას ვამხელ:  
 ქარმა აკვნების მაყარა ფერფლი,  
 ამოვიგმინე: ნუ დამანახებ,  
 ნუ დამანახებ, ჩემო მამულო!  
 გული ვაწურე შებოლილ კედელს,  
 ცრემლი ვაშხეფე ხავსიან კიბეს.  
 ნუთუ შავები სწყუროდათ დედებს,  
 ეჰ, ნუთუ წარღვნა გველოდა კიდეც,  
 მითხარ, ტანჯულო ჩემო მამულო!  
 ღუმან ქვევრები, მე ვიკვესები,  
 ბინდი თვალს მიხშობს, ვეძებ, ვერ ვნახო?!  
 ვინ ამოთუთქა შენი ფესვები,  
 ჩაღმა ჩაყრილო ჩემო ვენახო,  
 მამულის ცრემლო, ჩემო ვენახო!  
 მე მწყურვალე ვარ შოთას, აკაკის,  
 მე მწყურვალე ვარ ლექსის მწყაზარის...  
 ეჰ, ნუთუ ისევ დაეჩაჩანაკდი. —  
 ისევ მინარე, ისევ აზანი?!  
 საით გაფრინდი, ტატოს მერანო!  
 სიზმრით წამება, სიზმრით ცდუნება  
 ასე მაშფოთებს, ასე გულს მიღვეს.  
 ჩემი ვენახი მზეს ეთბუნება  
 და დიდ ქვევრებში ეძებს სიგრილეს...

და მიკვირს ჩემი სიზმრის ცდუნება.  
 უნდოდი, განა რად უნდა ფიცი,  
 ეჰ, სხვას რას მეტყვის ციხე ზიხანის,  
 ხომშიამვილის თავი და სისხლი,  
 მე სხვას რას მეტყვის, აბა, მითხარი.  
 აღგვად უნდოდი, ჩემო მამულო!  
 მე სხვას რას მეტყვის აბაშიძეთა  
 დიდი სინდისი და გულის ფეთქვა,  
 წმინდა აზრი და სული მაღალი.  
 განა არ ვიცი, გულო-აღაი  
 აკაკის ცხედარს რამ შეავედრა?  
 განა არ ვიცი, ხელმა ურჯულოს  
 რაისთვის წარყენა სხალთის ტაძარი?  
 განა არ მტყივა ქვეც გარუჯული,  
 განა ახლაც არ მწვავს ის ხანძარი?  
 რა მწუხრის ჟამი განვლე, მამულო!  
 მე ერთი სულით ამ ლექსს აღმოვთქვამ,  
 რა ვქნა, არა ვარ კაცი ენაშზე.  
 ჩემო პატარა მიწავ ქართულო,  
 მობუღბუღეო დედაენაზე,  
 რა აღზევების ჟამი მოგსვლია!  
 მე ვინაც მიყვარს, ჩემია ვინაც,  
 ჩემო ბატონო, მე ის ვერ ვნახო?!  
 ნეტავი ვიყო კაცი ენაშზე.  
 მუდამ მამღერა ჩემს ტკბილ ენაზე:  
 ..ჩაღმა ჩაყრილო ჩემი ვენახო!..“

## წ ვ ი მ ღ ა ი მ ლ ა მ ე ს

წვიმდა იმ ღამეს, გრილი შეფეხბი  
 შავ-შავ წამწამებს შენ გისველებდა.  
 როგორ ლელავდი, ვერც მოგეფერე,  
 სული ნაწამი არ გისვენებდა...  
 წვიმდა იმ ღამეს, რა ნახად წვიმდა!  
 ..იყავ მშვიდობით!“ თქვი, რას ნიშნავდა?!  
 ჩემი ვარსკვლავი როგორ ბრწყინავდა,  
 თეთრი იმედი ვინ გამიშავა?!

მითხარ, ვინა ხარ, რა ხარ, პიტალო?!  
შენი გული და ნება მაცეცხს...  
ჩემო ღმერთო და ჩემო ტიტანო,  
ტკბილო წამებავ, მე ვერ დაგლოცე.  
გზები ბილილა მე ვერ გადავჭერ,  
რად არ ვიდარდო, რად არ ვლელავდე.  
ჩემთან ეწამე? წახველ... გადარჩი?  
ნეტამც ზამბახში გნახო ყელამდე!  
შენ უწყი, რაც მე ვერ გამეხედა  
დასანანი და სევდის მომგვრელი.  
ეს რა ტკივილი მე დამეხედა,  
აღარ მოგელი, აღარ მოგელი.  
შენი სახელი გულზე ამოვჭერ, —  
ჩემი ფიქრი და ხატება წმინდა...  
ო, რას ნიშნავდა, შენ რომ დამლოცე?!  
შენ რომ დამშორდი, რა ნაზად წვიმდა.

\* \* \*


აი, მე თითქოს ზღვისპირად ვზივარ,  
ჩემში ტალღების შემოდის ელდა.  
მე ვისით ვსუნთქავ, ვლოცავ ვის წამწამს,  
სად არის ნეტავ? ვახსოვარ ნეტავ?  
თოლია მინდა.... და ლურჯი ფენა,  
ქვესკნელს ჩახედვა თვალთ ტიტანით.  
ასე ცისფერად ვინ შემიფერა,  
აღბათ, ზღვას სხვა ფერს ვერ ავიტანდი.  
შორი ამბორი ვის დაეაბარო  
და ჩავჩურჩულე მისას, ამ მისას...  
ჩემმა მედუზამ, ასე საბრალომ,  
მინდა, რომ ცხელი სული ამიწვას.  
რა წამებაა, რომ სასოებით  
მოგენატრება ზღვა და კენჭები!..  
იისფერ თვალებს რომ ვეშორები,  
ვლელავ ექვებით.

რა წამებაა, რომ შენს ტოლებზე  
წმინდა ოცნება არ მოგასვენებს.  
ცას გაეკვრება ფიქრის ზოლები,  
ვინ დაგივიწყა და ვინ გახსენებს.  
რა წამებაა, შორიშორეთით  
ფიქრი იმაზე, რაც შენ გათრთოლებს...  
ზღვაო, ოცნებით შენთან მოვედი  
და თოლიები გადამათოვე.

\* \* \*

რა მშვენებაა ელვა-ქუხილი,  
განა ცას ისე როგორ ვიწამებ.  
რა წამებაა შენი წუხილი,  
ყვითელ ზღვაურში ეძებ სიმწვანეს.  
რა მშვენებაა შენი თვალები,  
ნუ დააბედებ დარდს და სიმწარეს.  
შენთან ვიწყები, შენთან ვთავდები  
და ჩემი სულის ხატად ვიწამე.  
ოღონდ იხარე, ოღონდ იმღერე,  
მე განა მიმძიმს წამოშველება?!  
მე ვიყო შენი პატარა ღელე,  
სულ რომ ვიცოცხლო შენი მშვენება..





## ნოღარ მოღვაჯე

### ს ს ს კ ი

ბერიკაცები მაგნოლიის ქვეშ დომინოს თამაშობდნენ. შემოდგომის მზე მკრთალად ფენდა მეწამულ სხივებს და ვაცრეცილ ღრუბლებს ქარი მიერეკებოდა. მაგრამ ხეივანს ჯერ არ ეტყობოდა შემოდგომა — ყვავილები მკვეთრი ფერებით ხასხასებდნენ და ხალხიც მრავლად ირეოდა. გაზონების პირას პატარა ბავშვები ჩაცუტქებულიყვნენ: ზოგი მაგნოლიის დაცვნილი ფოთლებისაგან ქუდსა და ქამარს აკეთებდა, ზოგი პატარა ვედროებში კენჭებს ყრიდა და ხეივანს ჟრიამულით ავსებდნენ.

ხეივანის თავში, ერთმანეთზე მიდგმულ ცისფერ სკამებზე, პენსიონერები ისხდნენ. როცა მზე ამოიწვევრება და ჯერ კიდევ სუსტ სხივებს გადმოაფრქვევს, ისინი დათქმულებივით ერთსა და იმავე დროს ხეივანში იკრიბებიან და შინც ერთსა და იმავე დროს ბრუნდებიან. ვინ არ არის იქ: ყოფილი ექიმი, აგრონომი, მუშა, ფარმაცევტი, ინჟინერი, მღარავი, ოფიცერი. ხეივანში მთელი საათობით სხედან, საუბრობენ, ერთობიან. ზოგჯერ ისინი ბავშვებსა ჰგვანან, აი იმ ბავშვებს, გაზონების პირას რომ ჩაცუტქებულან და თამაშობენ.

დომინოს მოთამაშე ბერიკაცებიც პენსიონერები იყვნენ. ვინ იცის, მერამდნენ ხელს თამაშობდნენ. ქალაღი სულ ციფრებით ჰქონდათ სავსე. ერთი მათგანი მაღალი იყო. მიუხედავად სიბერისა, წელში გამართული იჯდა. თეთრი უღვაშები მოხდენილად აეწკიბა და ახალ წვერგაპარსული იყო. მოშვებული თეთრი თმა კეფაზე სცემდა. ხანდახან ბოხი, ლაზათიანი ხმით წამოიძახებდა ხოლმე: „სამი და ხუთი“, ან „არ არის სწორი“, ან კიდევ, „დამთავრდა, დათვალე ქვები“. გამარჯვების ნიშნად თვალები აუკიანთლებოდა და მოწინააღმდეგეს მიმართავდა:

— არ იცი თამაში!

— ვინ, მე?! ერთი ხელი მომიგე და იმიტომ?



— რატომ ერთი ხელი?

— აბა, რამდენი?

— ეს მეხუთე ხელია!

ერთმანეთს ბავშვებზე თუ შეეხებენ, სახეზე სიბრაზე დაეტყობა. ტუჩები აუთამაშდათ, მაგრამ ერთმანეთს მხოლოდ ის უთხრეს, არა ხარ სწორიო.

— მოდი, კიდევ ვითამაშოთ! — თქვა მაღალ-მაღალმა და აწევილ უღვაშებზე ხელი გადაისვა.

— ვითამაშოთ!

ქვები აჭრეს და თამაში განაგრძეს.

მაღალ-მაღალი ყოფილი დირექტორი იყო. საწარმოში მკაცრი ხელმძღვანელის სახელი ჰქონდა და იშვიათად თუ გაიღიმებდა. ამბობდნენ, ამხანაგებთან მინცდამინც გულგახსნილი არ ყოფილა. ყველასგან თავს შორს იჭერდა. მაგრამ დახმარება იცოდა, თუ რამ შეეძლო, ხელს არ დაგაკლებდაო.

— ხომ ვთქვი, ვერ მომიგებ-მეთქი! — გამოაჯავრა იგი მოწინააღმდეგემ.

— დიდი საქმე, ერთი ხელი თუ მოიგე! — უთხრა მან.

— კიდევ ვითამაშოთ. ახლა მეორესაც მოგიგებ!

— კარგი! ჯერ მოიგე და მერე დაიტრაბახე.

ქვები ისევ აჭრეს.

მზე თითქმის მაგნოლიის კენწეროს გაუსწორდა. ჩამოცხა. ჰაერი შეიკრა. ხეივანებში ხალხმა იმატა და მათი ფერად-ფერადი ტანსაცმელი ყვავილების ფერს შეერია.

დირექტორყოფილს ძველი კადრის მუშა ეთამაშებოდა. იგი ტანად დაბალი იყო, მაგრამ ძალზე მკვრივი, ჩაფსკვნილი ჩანდა. მის ხმაშიც უფრო მამაკაცური, ძლიერი სული გამოკრთოდა. იგი თეთრი ტილოს შარვლითა და ხალათით იყო. წვერი დაბალზე ჰქონდა მოშვებული. პატიოსანი, თავმდაბალი კაცი იყო, კეთილსინდისიერი მუშა და კარგადაც ცხოვრობდა.

მან ქვა ხელში შეატრიალა და გამარჯვებულის ტონით წამოიძახა:

— დათვალე ქვები!

დირექტორყოფილი შეცბა, მაგრამ ბავშვურად ჩაიღიმა და ქვები დასათვლელად გადმოაბრუნა.

— არაფერი მეთქმის! — თქვა მან.

— ვითამაშოთ კიდევ?

დირექტორყოფილმა მხოლოდ თავი გააქნია, არაო.

ბერიკაცებმა დომინოს ქვები ყუთში ჩააწყვეს.

— ოქროს ხანაა, ბავშვობა! — თქვა ყოფილმა დირექტორმა და ბერიკაცებს მოთამაშე ბავშვებს გახედა.

დუმილი ჩამოვარდა.

ბერიკაცები კარის მეზობლები იყვნენ, მაგრამ წინათ ერთიმეორესთან არ გადადიოდნენ. ცხოვრობდნენ ასე, თავთავისთვის. ორივეს საკუთარი საქმე და საზრუნავი ჰქონდა, ახლა კი...

— ამალამ ჭადრაკი ვითამაშოთ! — უთხრა ყოფილმა დირექტორმა ყოფილ მუშას.

— ვითამაშოთ!

— ჩემსას გადმოდი.

— უხერხულია, წუხელ თქვენი მეუღლე შევაწუხებ.

— ნუ გერიდება, გადმოდი!

ჯგუფად მსხდომი პენსიონერები ბაასობდნენ. ზოგს ახალი გაზეთი მოეტანა, გაეშალა და კითხულობდა. ერთი მეორესთან ბელუტურებით მოქუჩებულობდა. როგორც ყოველთვის, ჯგუფში ერთი ხუმარაა — პირხმელი მალალი ბერიკაცი თავადაც გულიანად იცინოდა და სხვებსაც აცინებდა. თავისებურად, ბებრულად ოხუნჯობდა. ზოგჯერ ისინი იმ ბავშვებსა ჰგავდნენ, ხელიხელჩაკიდებულები წრეში გაქცევა-დაჭერობანას რომ თამაშობდნენ და რომელთა ყრიაშული მთელ ხეივანს ავსებდა.

დომინოს მოთამაშე ბერიკაცები მეგობრულად მიაბიჯებდნენ.

## ბერიკაცი და ბიჭი

მზე ქოხის კორტოხს უსწორდებოდა. ბიჭსა და ბერიკაცს სუფრა გაეშალათ და სადილობდნენ.

— სად შეგხვდა იგი? — კითხა მოხუცმა ბიჭს.

— ჭალაში. შინ ფიჩხი მიმქონდა.

— მერე?

— დამხვდა და გამლახა.

ბერიკაცმა ჭალარა წარბები წყენით შეიკრა.

— ალბათ, გააბრაზე. რეზო უდანაშაულოდ არავის გალახავს.

ბიჭს პირში ლუკმა გაუშეშდა.

— არა, ბაბუ, იგი არ გამიბრაზებია.

— სტყუი!

— არაფერიც! მან მაჩანჩალა დამიძახა, მე ქვა ვესროლე და გამლახა.

— ძალიან კარგი!

ბერიკაცი მდინარის პირას ცხოვრობდა. მასავით ბებერ თხმელის ქვეშ  
მატარა ქოხი ედგა. ვაღმა, მდინარის ნაპირს კოლმეურნეობის სიმინდის ქა-  
ნები გასდევდა. ბერიკაცი სიმინდის ყანებს დარაჯობდა. როცა სოფლის მესვენი  
ითალხებოდა, სადღაც შორს ვარსკვლავები გამოკრთებოდნენ და საღამოს  
გრილი ნიავი წამოუბერავდა, ბერიკაცი მხარზე თოფს გადაიკიდებდა, შეჯ-  
დებოდა ცხენზე და მდინარის ნაპირს დაჰყვებოდა. ცხენსა და მხედარს  
ბევრჯერ უვლიათ ამ გზებზე მთვარიანშიც და წვიმიანშიც.

შუადღისას მას ბიჭი აკითხავდა. კალათით თბილ სადილსა და ღოჭით  
ღვინოს ჩამოუტანდა და ერთად სადილობდნენ. ბიჭი თორმეტი-ცამეტი  
წლისა იყო.

— დედა შინ დატოვე? — კითხა ბიჭს ბერიკაცმა.

— კი. ჩაის პლანტაციაში აპირებდა.

ბერიკაცმა ღვინო დაისხა, ჭიქა დასცალა და თქვა:

— მამაშენმა რა ქნა, გათოხნა ვენახი?

— გუშინ მოათავა. ამ დღით ზეგანში წავიდა. დღეს ჩვენი ბრიგადა  
ყანას იქ თოხნის.

საშინლად ჩამოცხა. სადღაც ხმელ ფოთლებში ჭრიჭინობელა ჭრიჭინებ-  
და. ამ დამაოსებელ სიტყეში მდინარესაც ჩავარდნოდა ენა, თითქმის მთლად  
მიღეული ძველებურად ველარ ხმაურობდა. ვეებერთელა ლოდები მკერდ-  
გამშრალი შეჰყურებდა ზეცას.

მდინარის გაღმა ეკალ-ბარდი გამოეკაფათ და თამბაქო დაერგოთ. ბიჭ-  
მა იცოდა, რომ იგი რეზოს ბაბუასი იყო.

ბერიკაცმა ბიჭი თანაგრძნობით შეათვალიერა.

— გტკივა ლოყა? — კითხა მან.

ბიჭმა თავი დაუქნია.

— ნუ გეშინია, გაგივლის, — თქვა ბერიკაცმა. — მეორედ ქვას არა-  
ვის ესვრი!

ბიჭმა პაწია წარბები შეიკრა და რეზოს ბაბუას თამბაქოს გახედა.

— ა, ნახავ, სულ გავუფუჭებ!

ბერიკაცი მიუხვდა და გაბრაზდა.

— რას გაუფუჭებ, ა?! თამბაქოს?

— აბა რა, დიდი რომ არის, იმიტომ უნდა გამლახოს?!

— ენა ჩაივდე!

ბიჭმა ლუკმა დააგდო, ნახევრად შებრუნდა და გაიყუჩა. ბერიკაცმა  
მჭადი მოტეხა, ყველის ნაჭერი დაადო და ბიჭს გაუწოდა.

— ჭამე.

— არ მინდა!

— ჭამე!





— არ მინდა. სკოლიდან რომ მოვედი, ვისადილე. ახლაც ხრამ ვეძებ!  
მეტი არ მინდა!

ბერიკაცმა თეფში მოასუფთავა და ადგა. სუფრა ააღავა. ცარიელი თეფშები და ქოთანის კალათში ჩააწყო და გვერდით გადადგა. ქისა ამოიღო და თუთუნი ისე მადიანად გააბოლა, თითქოს სადილის გემო ახლა იგრძნო. ბიჭი ქოხის სვეტთან იჯდა და თითებს აწვალუბდა. ბერიკაცს ბიჭის სიმტკიცე მოსწონდა. ხედავდა, რომ გაბედული იყო და თავს არავის დააჩაგვრინებდა. „ასეც უნდა. ცხოვრებაში ხელს იოლად ვერ წაკრავენ“, — გაიფიქრა ბერიკაცმა, მაგრამ ბიჭისთვის. წარბი არ გაუხსნია.

— შენ არ წაიძინებ? — კითხა ბერიკაცმა.  
— არა.

ბერიკაცმა ქოხიდან ჭილოფი გამოიტანა და თხმელის ქვეშ ჩრდილში გაშალა.

— შორს არსად წახვიდე! — უთხრა ბიჭს.

ცხელოდა. ნიავი არ იძვროდა. სიწყნარეს მხოლოდ ჭრიჭინობელა არღვევდა. ბერიკაცმა ჩათვლიმა. ბიჭი მდინარეზე ჩავიდა. გაღმა, გამოკაფულ ეკალ-ბარდში თამბაქოს გახედა. წყალი მუხლამდე იქნებოდა. თრიოდე წუთში გავიდოდა გაღმა და გამოვიდოდა. „ნახოს რეზომ, როგორ უნდა გალახვა!“ — გაიფიქრა მან. ლოდზე ჩამოჯდა, ფეხები წყალში ჩააწყო.

ბერიკაცმა ერთი საათი იძინა. როცა თვალი გაახილა, ბიჭი ქოხის სვეტთან იჯდა. ბერიკაცმა თუთუნი კვლავ გააბოლა და ადგა.

მზე გადაიხარა. ქოხის ჩრდილი თხმელის ტანს ეცემოდა და გეგონებოდათ, ქოხი ხეს მიყრდნობიაო.

— ცხენი სადაა? — კითხა ბიჭს ბერიკაცმა.  
— სახლის უკან.

ბერიკაცი ადგა, ცას გახედა და ქოხიდან თოფი გამოიტანა.

— წავიდეთ! — უთხრა ბიჭს.

ისინი ბილიკს დაჰყვნენ. ბიჭს უყვარდა, როცა ბაბუა ცხენზე შემოისვამდა და ყანებს შემოივლიდნენ. ბერიკაცი დღეს ფეხით მიდიოდა, ალბათ, შორს არ აპირებდა. გარდი-გარდმო იელის ბუჩქებს ტოტები გზაზე გადმოეწყოთ და ბაბუა-შვილიშვილი შრიალით მიაბიჯებდნენ. ბიჭი უკან მისდევდა. მან ისეც გახედა თამბაქოს პლანტაციას, რომელიც ახლა ისე მოჩანდა, თითქოს ეკალ-ბარდში გახვეულაო.

„კარგი ექენი, რომ არ გავაფუჭე, — გაიფიქრა ბიჭმა, — ბაბუ შენიშნავდა და გამლახავდა!“

— დღეს გაზეთი მოვიდა? — კითხა ბერიკაცმა.  
— კი.  
— ახალი რა არის?!

— არაფერი.

— კუბაზე რა ისმის?

— ამერიკელებმა კარანტინი მოხსნესო.

— შენ თვითონ წაიკითხე?

— არა, მამამ თქვა.

— ჰმ!.. ეს ამერიკელები!

ბიჭი შეჩერდა. გზის პირას გადმოშვერილ მაყვალს წაეპოტინა. მაყვლით მუჭი აივსო და, როცა კაკალ-კაკალ ჭამდა, მდინარეში ლოდზე რეზოს უმცროსი ძმა შენიშნა. ბიჭმა ხელი შემართა და ისევ დაუშვა. ბერიკაცი წინ მიდიოდა და იელის ბუჩქებთან ჩაუხვია.

„მე მას გავლახავ!“ — გაიფიქრა ბიჭმა.

— გია, რას აკეთებ მაქ, გია! — დაუძახა პატარას.

გიამ ხელები გაშალა, ლოდიდან ლოდზე ისკუპა და ბიჭს შეხედა.

— ბაბუასთან ვარ.

— ბაბუა სადაა?

— იქ, — გიამ ხელი თამბაქოსკენ გაიშვირა. — ისვენებს.

ბიჭი მდინარის ნაპირას ჩავიდა.

„მოვარტყამ და გავიქცევი!“ — გაიფიქრა მან.

— გია, შოდი აქ, მაყვალი არ გინდა?!

გიამ თვალები მოიჩრდილა და გახედა მისკენ გაწვდილ ბიჭის მაყვლიან ხელს. მერე მკლავები გაშალა და მეორე ლოდზე გადასახტომად აიწია. მაგრამ ფეხი დაუსხლტა და მორევში ჩაიძირა. ბიჭი შეჩერდა, ლოყები ჩაეთეთქა და გაწვდილი ხელი დაუშვა. არ უგრძნია, რომ მაყვალი ფეხებთან დაუცვივდა. მერე უეცრად შებრუნდა.

„დაიხრჩობა და მე დამაბრალებენ“, — გაიფიქრა მან.

ბერიკაცმა მოიხედა. ბიჭი არ ჩანდა.

გია წყალმა ამოაყურყუმალა. იგი მაშინვე წაეპოტინა ლოდს, მაგრამ სიბ კიდევ ხელი დაუსხლტა.

ბიჭი ბილიკზე ვარბოდა. შუბლზე ოფლი დაასკდა. ზოგჯერ იგი, გონებაარეული, იელის ბუჩქებს ეჯახებოდა. ისე ვარბოდა, თითქოს ვიღაც მისდევედა და უკან-უკან იხედებოდა. მან შენიშნა წყლიდან ამოტივტივებული გია, რომელსაც სიბ ლოდზე ხელი დაუსხლტა. შედგა, შიშისაგან მთელი სხეული უცახცახებდა.

„უნდა, მივეშველო, თორემ დაიხრჩობა!“

იელის ბუჩქების მიღმა მდინარე მდორედ მიედინებოდა. ხოლო თამბა-

ქოს პლანტაციასთან ლოდებს ზემოდან ჩხრიალით ეშვებოდა, ამ ხმაურში ბიჭს ყრუ და საშინელი ყვირილი ჩაესმა.

ბერიკაცი ბილიკს უკან მიჰყვებოდა. უღვაშებში ჩამწვარი თუთუნი გადმოაფურთხა და სახე სიბრაზით აენთო.

„თუ ახლა თამბაქო გააფუჭა, გავლახავ!“ — ამბობდა თავისთვის.

ბერიკაცმა იელის ბუჩქები მკერდით გაარღვია და მდინარისაკენ წავიდა. თოფი ახლა ხელში ეჭირა, რომ არაფერს წამოსდებოდა. თამბაქოს პლანტაციაში ბიჭი რომ ვერ დაინახა, წარბები გაეხსნა და გამობრუნებას აპირებდა, მაგრამ მდინარის ხმაურში ბავშვების ხმა ჩაესმა, წინ გადაიხარა და ლოდთან ბიჭი შენიშნა, რომელიც წელამდე წყალში იდგა და გია ხელში ჰყავდა ატატებული. ბავშვს მისთვის ხელები ყელზე მოეხვია და წყლიანი, ნამტირალევი თვალები უბრწყინავდა. ბერიკაცს უღვაშებში კმაყოფილებით ჩაეღიმა.

— ბანაობთ?! — გასძახა მან ბიჭს.

ბიჭმა მიიხედა. თვალებში შიში ეხატა. ხმა არ ამოუღია.

— ჰო, კარგი, იბანავეთ, მე მალე დავბრუნდები, — თქვა ბერიკაცმა, თოფი მხარზე გადაიკიდა, შებრუნდა და წავიდა.



## ზურაბ გორგოლაძე

### სიმღერების მხარე

გადირხევა პალმა, გადირხევა ვაზი,  
გადირხევა ზღვა და გადიყოლებს მთვარეს,  
ტკბილი ტემპრით მოვა, მოვარდნილი ასგზის,  
სუროების საზი, სიმღერების მხარე.  
მხარე უნაზესი სურვილების მდომი,  
გრძნობების და გზნების უნაზესი მხარე.  
გვირილების გუნდი, ყვავილების თოვლი,  
ლაყვარდების ზეთში ქარები რომ გარევეს.  
იზნიქება ჭიგო, იზნიქება შერია  
და ჯეჯილის შრიალს ცდუნება აქვს მძაფრი,  
მოფუსფუსე ფუტკარს სიყვარული შია  
რძიარძიას ტუჩზე დაფრქვეული ქაფის.  
მხარე უნაზესი სურვილების მდომი,  
ჭირხლიანი, როგორც ჭოროხი და სხალთა,  
გრძნეულება ცის და მგზნებარება ლომის  
და ბრიალი შორი სათოფურის თვალთა.  
გადირხევა პალმა, გადირხევა ვაზი,  
გადირხევა ზღვა და გადიყოლებს აფრას,  
ტკბილი ტემპრით მოვა, მოვარდნილი ასგზის.  
სუროების საზი, გაგონილი ზღაპრად.  
კახაბერის მინდორს გადაუფრენს ნისლი,  
ვაშლოვანის ნისლი, მარადიდის ნისლი  
და გონიოს კართან, ვით გრიალი ზღვათა,  
ქოჩახელას მძლავრი მოძახილი ისმის.  
ჰეი, ძვალო ჩემო,  
ჰეი, სისხლო ჩემო,

და შენ, ხორცო ჩემო, დათეთქვილო ოდით,  
ვაზის ჩუქურთმებით გადაბლანდე ქერი  
და მზე აიყვანე ზეთისხილის რტოთი.  
ხრამებში და ღრეში დახუნდული ვერძი...  
შორს, სევდიან ცასთან დარჩენილი ოხვრად...  
ვახუშტის და საბას ნატერფალის ცეცხლი  
და კლარჯული მტევნის ელვარება მოგყვა.  
გადირხევა პალმა, გადირხევა ვაზი,  
გადირხევა ზღვა და გადიყოლებს მთვარეს,  
ტკბილი ტემბრით მოვა, მოვარდნილი ასგზის,  
სუროების საზი, სიმღერების მხარე.

## ზ ღ ა პ ა რ ი

თვალთაფლიანზე...  
თვალყუყუნაზე...  
მე მიყვებოდნენ ქართულ ზღაპარს,  
ზღაპარს უნაზესს...  
ტყეთა ბურანზე და სიღრმეზე შორი მუსიკის,  
რომ არაფერი არ არსებობს კაცის გულს იქით...  
ეხურებოდა ჩემს ოცნებას  
ზეცა მკათათვის  
ეგას სულით და ვარდისფერი სისხლით ადამის-  
და ყველაფერი, ყველაფერი იყო ერთფერი,  
აბესალომის სიცოცხლე და ბედი ეთერის.  
ვისმენდი ასე  
ამ ტკბილ თრობას, მარად სასურველს.  
ზღაპარი ისე გრძელი იყო, ვერ დაასრულეს.  
მე კი დავსრულდი,  
მომიქნია ბედმა ფრთასავით  
და ამის გამო სიყვარული ვერ მოვასწარი.  
შენ ახლა ზიხარ,  
როგორც ნისლი ცისფერ კაბაში,  
შენ ახლა გინდა ზღაპრები და ფერთა თამაში.  
ცა აპრილია...  
და ცა ახლა ისე ალუბლობს,  
შენ გინდა, სულო, სხვათა ბედზე რომ გესაუბრო.  
მეც ასე, შენებრ...

სურვილებით თეთრით, ცისფერით,  
გაფითრებული სხვათა ვნების ამბავს ვისმენდი...  
უძირო ვიყავ და მდუმარე მაღალ ცასავით  
და ამის გამო სიყვარული ვერ მოვასწარი.  
მზის კურცხალით და  
ვარდისწყალით დაღაღდაბანილს —  
შენ ხომ არ გინდა გავაგრძელო იგი ზღაპარი?!



## ს უ რ ვ ი ლ ი

ქლიავისფერი...  
და დაბურული...  
ღვთაებრივ ქალის კალთა...  
ბაღმა გამანდო დიდი სურვილი,  
მიმიყვანეო ზღვასთან.  
ზღვა!  
წკრიალებდა ბაღი თავნება...  
და ხმას ტალღების ტაში  
მიჰქონდა, როგორც მძაფრი ზმანება,  
აღფრთოვანება ბავშვის.  
ცა ირხეოდა, როგორც ფოთოლი,  
როგორც გარემო ბაღთა...  
და უმაღ ზღვაში შესვლა მომთხოვა,  
ზღვასთან მისულმა ბაღმა.



## ჯემალ ჯაყელი

### ზ ო ჰ რ ა

...ის ქალი საავადმყოფოში ახლახან მოიყვანეს. შინაურს არავის მოუცილებია. გავიფიქრე, ნუთუ უთვისტომოა ასე ლამაზი გოგონა-მეთქი.

ჩამოვლა რომ დავამთავრე და ის იყო კაბინეტში უნდა შევესულიყავი. მორიგემ მომახსენა, იმ ქალიშვილთან მნახველი მოვიდაო. ყმაწვილმა კაცმა, რომელიც დაახლოებით გოგონას ასაკისა იქნებოდა, ყვავილების თაიგული თავთან დაუდო და მისკენ გადაიხარა. ქალი ოდნავ წამოიწია, მკერდზე მიეკრა და გატაცებით აკოცა.

— როგორ იღრძე ფეხი? — ეკითხებოდა ვაჟი.

— უბრალოდ, — ეს იყო მხოლოდ მისი პასუხი.

„ალბათ, უყვართ ერთმანეთი“, გავიფიქრე და იმ ქალის მომერიდა, რომელიც გოგონასთან ერთად იწვა პალატაში.

რამდენიმე წუთის შემდეგ ვაჟი გამოეთხოვა. ზოპრამ ნაღვლიანი თვალი გააყოლა, თაიგულში სახე ჩამალა და ასლუკუნდა. შემდეგ საწოლზე გასწორდა და გაიღიმა.

გამიკვირდა. მაგრამ არავის ვეითხე რა.

არ გასულა ნახევარი საათი და... კარებს სათვალისანი მამაკაცი მოადგა. ზოპრა საწოლზე წამოიწია.

— როგორა ხარ, ზოპრა? — კითხა მან.

— გმადლობთ...

— ვინ მოგართვა თაიგული?

ქალმა მხოლოდ გაიღიმა. მაგრამ მამაკაცს, ჩანდა, ამ ღიმილმა ყველაფერი უთხრა.

— გასაგებია, — თქვა მამაკაცმა და თავადაც გაუღიმა ქალს, მერე რაღაც წაიხუმრა და ავადმყოფს დაემშვიდობა.

ქალმა თვალებით გააცილა.

მე ხალათს ვიხდი. ჩემი ცვლა დამთავრდა.

საავადმყოფოს ეზოს რომ გამოვცდი, მკლავზე ხელის მსუბუქი შეხება ვიგრძენი. მივიხედე — სათვალისანი მამაკაცი იყო.

— ეს ჩემი მანქანაა... სახლამდე მივაცილებთ. — თქვა და მანქანაზე მიმიტოვა.

მადლობა გადავუხადე, ვიუარე, მაგრამ ბოლოს მაინც დავეთანხმე. მანქანაში ჩავსხედით.

— ოღონდ ის ავადმყოფი მომიჩინეთ... სამსახურს არ დავიშურებ თქვენთვის. — მითხრა და ფუთა გამომიწოდა. ალბათ, საჩუქარი.

— ეს რა საჭიროა? — ავილანძე მე და უკმაყოფილოდ შევხედე.

უხერხული ღუმლის შემდეგ რესტორანში მიმიპატიყა.

ამაზეც უარი ვუთხარი და, რაკი ჩემს სახლს მივუახლოვდით, მანქანის შეჩერება ვთხოვე. ახლა თავის სახლში შემეპატიყა, მაგრამ მოხდა ისე, რომ პირიქით, ჩემთან წავიყვანე.

მრგვალ მაგიდას ვუსხედით და ყავას შევექცევოდით. მაგიდაზე საფერფლე, ჭიქები და ბორჯომის ბოთლი დევს.

ჩემმა სიტყვაძვირმა სტუმარმა ფინჯნის ნალექს დახედა. სავარძელს ზურგით გადააწვა და ისე შემომხედა, როგორაც შეიძლება შემოგხედოს ადამიანმა, რომელმაც ცხოვრებაში განუუმორებლად ძვირფასი რამ დაკარგა... და უსიტყვოდ ამბობს: რაოდენ ძვირფასია ახალგაზრდობა!

— ყოველი განვლილი ძვირფასია, რადგან არასოდეს დაბრუნდება, — ვთქვი და ასანთი მივაწოდე. შინაგან მღელვარებას ისე შეეპყრო იგი, რომ პაპიროსს პაპიროსზე აბოლებდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ იმ ავადმყოფი ქალის ვინაობა ვკითხე.

— ჩემთვის უსიამოვნო და თქვენთვის დამქანცავი იქნება ეს ამბავი. — თქვა მან.

მე დავარწმუნე, რომ დიდი სიამოვნებით მოვუსმენდი.

\* \* \*

ჩვიდმეტი წლისა ვიყავი...

ცოლი ბავშვური გატაცებით შევირთე. მისი ჩემდამი სიყვარული მოჩვენებითი აღმოჩნდა. იყო მეტად ქარაფშუტა, მსუბუქი ხასიათის.

წლისთავზე ვაყი შემეძინა.

მეგობრობას რომ მეფიცებოდა, იმ კაცმა რამდენიმეჯერ სახლში მოაცილა ჩემი ცოლი... შემდეგ მითხრა:

— ვასილ გიორგის-ძევე, მოკეთედ რომ მეგულები, პირშიც ამიტომ უნდა გიძრახო... ეგ ბავშვი შენ არ გეკუთვნის...

ისედაც ვეჭვობდი და ცოლს უხმაუროდ ვაგმორდი.





— სისულელეა ასეთ ასაკში ცოლის შერთვა... — ვთქვი მე.

— უბედურებაა! — დამეთანხმა და განაგრძო: — რაღა უნდა მექნა? აქედან დღეი და უმაღლეს სასწავლებელში შევედი, იურიდიულ ფაკულტეტზე. მთავრებისთანავე მუშაობა დავიწყე. ისე, კაცმა რომ თქვას, სწორედ მაშინ ვიყავი ნამდვილი საცოლშვილო, ასაკითაც და შეგნებითაც. ნაადრევად დავაქაცებულსა და დაოჯახებულს ნაადრევად გადამეყარა სირცხვილი. ცოლის შერთვაზე ვერავინ ჩამომიგდებს სიტყვას. ცოლი? არა! არავითარ შემთხვევაში. მე იურისტი ვარ და სამსახური მაქვს. ჩემთვის ყველაფერს ნიშნავს ეს. ო, რაოდენ დიდი ნდობა და ღირსებაა იყო მართლმსაჯული. არა! რაკი პირველმა ბედმა მახე დამიგო, მეორე ბედის გვირგვინიც კი მახეზე უღირსად მიმაჩნია.

მხოლოდ სამსახურის საქმეებით ვიყავ გატაცებული.

დავდიოდი ყოველთვის ერთი გზით, ერთი მიმართულებით. თავს ვარიდებდი მეგობრებს. ვფიქრობდი, მოსამართლე ვარ და არავინ გადამძლიოს, არავინ დამაქარგინოს-მეთქი წონასწორობა. რა ვიცი, გულში ვის რა უღევს!

როგორც იტყვიან, მშვენიერი დღე იყო. საღამო კიდევ უკეთესი დადგა. ბოშას დაირასავით მოჩანდა მზე დასალიერზე. სახლში ებრუნდებოდი. ვიცოდი, იქ მყუდროებისა და მარტობის გარდა არავინ მელოდა. შაგრამ მაინც ხალისით მივაბიჯებდი. ასე მიდიოდა დღეები. ბაზარში თუ შევივლიდი სურსათის ან ხილის საყიდლად. მერე ისევ ჩვეულ ჩემს გზას დავადგებოდი.

ბაზრის ახლოს ყოველთვის იკრიბება მოცლილი მოლაზნანდარე ხალხი.

ერთ დღეს ბაზრის წინ ხალხს წრე შეეკრა და ხან ხარხარით ირწვოდა, ხან გაფაციცებით რაღაცას უსმენდა...

ბოშას პატარა გოგონას, რომელიც იაფი გასართობით გატაცებულთა წრეში ტრიალებს, ზოგი მანეთს, ზოგი სამ მანეთს და ზოგიც „ბევრ“ ფულს პირდება.

— ზოპრა, გოგონი, აბა ცოლი შეუგინე ამ კაცს...

— ზოპრა, აბა ნიდაყვზე იკოცნე...

მაგრამ ზოპრა ბევრჯერ გაწბილებულა და ასე ადვილად აღარ ტყუვდება: „ჯერ ფული მომესით, ჯერ ფული“, — დაყინებით იმეორებდა იგი. ფული უნდა ზოპრას და სულ „მომესით“ იძახის.

მე აქამდეც მინახავს ამ ადგილას ახორხოცებული ხალხი, მაგრამ დაღლილი და დაქანცული არასოდეს შევჩერებულვარ, არ გამიგია მისი შეკრების მიზეზი. მაგრამ ახლა ბავშვის ტირილი გავიგონე და გადავწყვიტე, გამეგო რა ხდებოდა იქ.



— რა ამბავია? — ვკითხე ერთს.

— ბოშას გოგოს ამასხარავებენ.

— როგორ თუ ამასხარავებენ?!

— აი, შეხედეთ. აბაზად ყირა გასქიმა, ვილაცამ ფეხი გამოკრა

შვი ქვაფენილზე დაეცა.

წრეში შევედი და სიბრაღისა და სიბრაზისაგან ყველაფერი და-  
მავეიწყდა.

ბავშვი წამოვაცენე და ფული გავუწოდე.

— აი, თუ გაჩუმდები, ამ ფულს მოგცემ. წამოდი ჩემთან. თუ წამოხ-  
ვალ... შოკოლადებს გიყიდი, აი!

— მომესი. — მაშინვე თქვა. ჩვენ წრიდან გამოვედით და მალაზიებისა-  
კენ წავედით.

— ჰო, მოგცემ, ჩემთან წამოხვალ სახლში? — ვკითხე და გავუწოდე.

— წამოვალ, მომესი, ფული მომესი და წამოვალ.

მივეცი და მაჯაში მოვკიდე ხელი. ჭუჭყიანი მაჯა ჰქონდა. ყურის ბი-  
ბილოებთან და ყელის არეშიც ჭორფლივით მოსდებოდა ჭუჭყი. დაუვარ-  
ცხნელი თმა გაზინთოდა. მე დავაკვირდი მის გრძელ ტალახიან ფრჩხილებს  
და გული მეტკინა. ერთადერთი თვალები ჰქონდა სუფთა და წყლიანი.

მე ვკითხე, ვინ მისცა ეს ნახევრად გარღვეული ფეხსაცმლები, რომ-  
ლებიც ერთმანეთზე ზონარით გადაება და მხარზე გარდი-გარდმო გადაე-  
კიდა. ზოპრა არ დაფიქრებულა, ისე მიპასუხა:

— მითხრეს, თუ ჭიპზე იკოცნი, ამ წითელ ფეხსაცმლებს გაჩუქებთო.

— მერე?

— ვერ შევძელი... ძიამ ფეხსაცმლები მაინც მაჩუქა.

მალაზიას რომ ჩავუბრუნე, ერთი ფილა შოკოლადი ვუყიდე.

— ეგ ქალაღის კოლოფი რაღად გინდა? — ვკითხე და მივუთითე  
ჩიხტაკობის მაგვარ „ქუდზე“, რომელზეც სხვადასხვა ფერის ფოლაქები  
დაეხენია თვალმარგალიტით.

— ეს ჩემი ქუდია. სიმღერას რომ მოვრჩები, მერე ფულს ამით ვაგ-  
როვებ.

— ოჰ, — გავიკვირე განგებ. — მღერი კიდევაც?

— მაშ! — ამაყად მითხრა და მაშინვე ბოშური სიმღერა დაიწყო.  
წკრიალა, მეტად სასიამოვნო ხმა ჰქონდა.

არ მინდოდა ხალხს ყურადღება მოექცია ჩვენთვის და გოგონას ვუთ-  
ხარი:

— ჩუ, არ იმღერო! — და საჩვენებელი თითი ცხვირზე დავადე. მას  
გაუკვირდა ჩემი საქციელი.

— სხვები მეუბნებიან იმღერო.

გოგონას მოვეფერე და ვუთხარი: „აქ არ იმღერო, სახლში კი ყველაფერს გამღერებ, რაც იცი“.

რამდენიმე ნაბიჯი რომ გავიარეთ, კაბაზე ჩამოვუვადე სიტყვა-სიტყვაში შევატყვე, რომ ძალიან მოსწონს ფოთლებიანი კაბა.

— ეგ მავთულის რგოლები რალად მიგიბნევია-ბოლოებზე?

— ეს ალამაზებს კაბას. — თქვა და ყურის ბიბილოებზე ხელი მოისვა. ახლა დავაკვირდი. მას მავთულის სამი პატარა რგოლი ერთმანეთზე აეკინა და ყურსაკიდად დაებნია.

— მე ძალიან მიყვარს რგოლებიანი ყურსაკიდი.

მაღაზიებსა და ფარდულებს ჩავუარეთ. არაფერმა ისე არ გაიტაცა, როგორც ფერადმა მძივებმა, და მოჯადოებული შეჰყურებდა ვიტრინებს.

— კარგი, ზოპრა, წავიდეთ!

— არ მინდა, — უინიანად თქვა და გაიწია.

მე აღარ მოვერიდე მის ჰუჭუციან მაჯას. ხელი ვტაცე და თითქმის ძალით წამოვიყვანე.

ერთ ფარდულს კიდეც ჩავუარეთ. აქაც რაღაცა მოეწონა... ჰო, ეს იყო ფერადი ფოლაქები, მაგრამ მძივები მაინც ყველაფერს ერჩივნა.

მივდიოდით და ვფიქრობდი, მეყიდა თუ არა მისთვის ის, რამაც ასე მოაჯადოვა.

— ზოპრა, რად გინდა მძივი?

პასუხი ვერ მივიღე და გვერდით მივიხედე.

ზოპრა გამპაროდა.

შევშფოთდი.

ვინ თუ შიოდა-მეთქი და საფუნთუშეში შევიხედე, წყლის კიოსკიც დავზერე, სასაუზმეც, მაგრამ ამოდ. დამეკარგა ეს პატარა ველური. მერე გავიფიქრე, შეიძლება მძივების ვიტრინასთან იყოს-მეთქი. მართლაც იქ ვნახე. თვალები დაეჭურტა და თავის სურვილებსა და ნატვრაში ჩამტკბარს არც ქუჩის ხმაური ესმოდა და არც ჩემი ძახილი.

ხელი მაჯაში ჩავავლე. იგი ერთბაშად შეკრთა.

— წავიდეთ, ზოპრა, უკვე ღამდება.

მორჩილად გამომყვა.

ვიცოდი, რომ შიმშილი აწუხებდა, მაგრამ პირველად აბანო შევთავაზე.

— არ გინდა დაიბანო?

— არა! — მოკლედ მომიგო.

— გინდა კარგი. ღამაში გოგო იყო?

— მინდა.

— გინდა თეთრი ხელები და სუფთა თმები გქონდეს?

— მინდა.

— მაშ, შედი, აი, იმ კარებში, შენ იქ თბილი წყალი დაგხვდება,



ქართული  
ბიბლიოთეკა

ნიც. დაიბან და გამოხვალ.

— არ მინდა, არ ვისი ტანის დაბანა.

— მე მოგეშველები.

გაიცინა და ახლა შევნიშნე, რომ თეთრი, ძალიან თეთრი და მწყობრი კბილები ჰქონდა.

მაინტერესებდა ამ ბავშვის ვინაობა, მაგრამ თავს ვიჭერდი, არაფერს ვეკითხებოდი. მინდოდა ჯერ დამეზანა, შემდეგ მისი მშობლები მომენახა და შვილი ჩამებარებინა. თუ მშობლები არ აღმოაჩნდებოდა, მე გავზრდიდი, შრომას შევაჩვევდი.

ზოპრამ ფესსაცმლები კარებთან დააწყო და ფოლაქებდაბნეული მუყაოს „ჩიხტაკოპი“ ზედ დაადო. აბანოში რომ შევიდა მარტოდ, შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა, რა უნდა ვქნა ახლავ.

მე შხაპი მოვუშვი, საბონი და პირსახოცი იქვე დავუდე. ქოშებზე მივუთითე და ისიც ვუთხარი, სად უნდა დაეწყო ტანსაცმელი.

კარები გამოვხურე და სამუშაო მაგიდას მივუჯექი.

გავიდა ნახევარი საათი. ზოპრა არ ჩანდა და აბაზანის კარებში შევიკვრიტე.

ზოპრას ტანზე ვაეხადა და თამაშობდა: გვერდზე დაწოლილი ცდილობდა ისე მოხრილიყო, რომ საფეთქელი მუხლზე დაედო.

— ზოპრა, როდის დაამთავრებ...

ხმა არ გამცა. მერე გავიგონე, როგორ აშხაპუნებდა წყალს.

— ზოპრა! — დავუძახე ისევ.

გოგონა ახლაც არ გამეპასუხა, მაგრამ უცბად კარი გაიღო და შიშველი გამოვიდა.

— რატომ არ დაიბანე?

— მე არ ვისი დაბანა.

მაჯაში წავავლე ხელი და აბაზანაში შევიყვანე.

— აბა, შედი შხაპის ქვეშ!

შევიდა.

— აილე საბონი და თავზე წაისვი, აი, ასე, აი ასე.

ვერ შეძლო. მაშინ პიჯაკი გავიხადე და პერანგის სახელოები დავიკაპიწე.

ლოყებზე ჰუტყუი რომ მოვაშორე, მკლავზე ვწვდი და გავსაპნე. რატომღაც გახალისდა და თამაშის სურვილმა შეიპყრო. ხელებიდან გამისხლტა, ეშმაკური თვალებით ამომხედა. მერე უეცრად მხრებზე შემაჯდა ეს ტიტლიკანა ბოშა და მაიმუნის სიმარდით კისერზე ჩამომეკიდა.

შემეშინა, საპნიანი ხელები არ დაუსხლტეს და იატაკს არ დასკვდეს-  
შეთქი.

— რას შერები, ზოპრა! — დავტუქსე, მაგრამ ისეთი ეშმაკი გამიქრა-  
ალა თვალებით შემომხედა, სიბრაზე გამიქრა.

ტანი რომ დავბანე, ზოპრას ვკითხე:

— შენ ჩემი რა ხარ, ზოპრა?

— კურდღელი, — ისე მითხრა, სიცილი ვერ შევიკავე.

— შენ კი ჩემი რა ხარ? — შემომიბრუნა კითხვა.

— მე? მე გამზრდელი ვარ შენი, ზოპრა! შენი ტოლა შვილი მყავს.  
გიორგი ჰქვია, ის ახლა დედამისთან ცხოვრობს, ჩემგან შორს.

— გამზრდელი? არა! — ჩაფიქრებით მითხრა მან.

— გამზრდელი? არა! — ჩურჩულით გავიმეორე მისი სიტყვები.

ზოპრა ფიქრებს მიეცა.

— ზოპრა, შენ უყვე სუფთა, ლამაზი გოგონა ხარ.

მას კი სულაც არ ეპიტნავენოდა სილამაზე და სისუფთავე. თვალები  
ისე გაუბრბოდა ბუფეტისაკენ, აშკარა იყო, ძლიერ შიოდა, პური და ყვე-  
ლი ყველაფერს ერჩივნა.

მე კატლეტი შესათბობად ნავთქურაზე დავადგი და პურის დაჭრას  
შევეუდექი.

ის მსუნავივით მიციცინებდა.

მჯეროდა, დარწმუნებული იყო ზოპრაც, რომ პურს მისთვის ვჭრიდი,  
მაგრამ როგორც კი უყურადღებობა შემნიშნა, ზურგთან ამეტუზა და სახე-  
ლო წაიწია, რომ მოხერხებულ დროს პურის ნაჭერი მოეპარა.

ის იყო პურის ნაჭერი მომპარა, მე ვითომ ხელი გავიჭერი, ოღნავ შე-  
ვიყვირე, დანა დავაგდე და წელში გავიმართე.

— ზოპრა! — დავიძახე და მეორე ოთახის კარებისკენ გავიხედე.

როგორც კი ჩემი ხმა გაიგონა, წამსვე ცერებზე შედგა, ოთახის კუთხე-  
ში მიიბრბინა, სათამაშო ზინზილაკი ძირს დააგდო (ვითომდა იმით თამაშობ-  
და) და შემეხმინა.

— შენ მაქ ზინზილაკს აწვალე, ზოპრა? მე მეგონა წადი. — დავინახე,  
თუ როგორ გამობეროდა უბე მოპარული პურის ნაჭრით.

პური რომ დავჭერი და თეფშზე დავალაგე, დავსძინე: — შეხე, თერთ-  
მეტი ნაჭერი იყო, აქ კი მხოლოდ ათია.

თითქოსდა არაფერი, ზინზილაკს დასწვდა, ისეთი სახე მიიღო, ვითომ  
ვერაფერი გაიგო.

ეს იყო ჩემი პირველი მარცხი. მაინც გადავწყვიტე, რაც არ უნდა დამ-  
ჯდომოდა, ზოპრა აღმეზარდა, მისი სიყვარულით შემევსო ჩემი მარტოობა  
და სულიერი სიცარიელე.

ჩვენ მივუჯექით სუფრას და ცხელ კატლეტს შევექცით. მე  
ლებრივად, ზოპრა — ბავშვური მსუნაგობით.



ზოპრა სახლიდან გამეპარა.

\* \* \*

ვეძებე, უხმოდ, უსიტყვოდ ვეძებე ყველგან.  
ამოდ.

ყველაფერი ჩემს თავს დავაბრალე.

ვერაფრით გადავაჩვიე მოხეტიალე ცხოვრებას: როცა სახლში ვიყავი, ჩემს ნაყიდ ნაირნაირ კაბებს იცვამდა და ძალიანაც შევენოდა. როგორც კი სამსახურში წავიდოდი, ფეხსაცმლებს და კაბას გაიხდიდა, ჩაიცვამდა მის ძველ, ფოთლებიან კაბას, გაიკეთებდა რგოლებიან ყურსაკიდებს, თავზე ქალაღის „ჩიხტაკოსს“ დაიდგამდა და ქუჩაში გავიდოდა.

ერთ დღეს, სამსახურიდან მომავალმა, ხალხის წრეში დავინახე ძველებური ზოპრა. დამინახა თუ არა, წრიდან გამოვიდა და სახლში გაიქცა. ხალხს გაუკვირდა, რა მოხდაო, მაგრამ მიზეზი ვერავინ გაიგო.

მივედი თუ არა სახლში, ზოპრა მაგრად მივტყეპე. ალბათ, ამიტომაც გამეპარა.

თავი დამარცხებულად ჩავთვალე. ცოლ-შვილი დავკარგე, გასაზრდელიც დავკარგე...

ამბობენ, თითქოს კარგი იურისტი ვარ. იქნებ, ეს მართალია, მაგრამ ძალიან ცუდი აღმზრდელი რომ გამოვდექი, ეს არ შეეძლება.

გავიდა დრო. ზოპრას კვალს ვერსად მივაგენი.

თურმე გაცილებით უკეთ გაუღიმა ბედმა, ვიდრე ჩემთან მოელოდა.

„საღირსო“ ნომრების შესრულებაში კიდევ უფრო დაოსტატებული, შესანიშნავი მომღერალი, ლამაზი და არტისტული მონაცემებით მდიდარი ზოპრა ბოშათა თეატრის მთავარ რეჟისორს მარგალიტივით ეპოვა ქუჩის მტვერში და სახელოვანი მსახიობი გამხდარა. მე კი არაფერი ვიცოდი.

...ზოპრას გაპარვიდან ცამეტი წელი გავიდა და იგი თითქმის დამავიწყდა. შევეჩვიე და მაინცდამაინც არ ვწუხდი მის დაკარგვას. ჩემი ღვიძლი შვილიც დავკარგე და თავი არ მომიკლავს. ახლა, როცა ასაკში შევედი, უფრო ვიგრძენი დანაკარგის ფასი. გიორგი (თუ კიდევ ამ სახელს ეძახიან) ახლა უკვე ოცი წლისაა. ის რომელიღაც ქალაქში ცხოვრობს. ამბობენ, დედა გაუთხოვდაო, ხოლო თვითონ საზღვაო ტექნიკუმი დაამთავრა და გეშუე მუშაობსო.

— ნუ გამომტყუნებთ, ბატონო ექიმო,—მომმართა მე, როცა შემნიშნა საყვედური უნდა მეთქვა... — ბევრი ვეცადე, მაგრამ შვილის კვალსაც ვერ-



სად მივაგენი. დედის ჩაგონებით, არც მან მომნახა და... ჰო, იმას ვამბობდი, ერთ მშვენიერ დღეს ოდესიდან გემით მოვემგზავრებოდი. და მუსიკალურ სალონში შევექცვრიტე. ახალგაზრდები გატაცებით ცეკვავდნენ. მოცეკვავეთა შორის ერთი წყვილი გამოირჩეოდა. ქალს დატეხილი შავი თმა, მომშვილდული შავი წარბები ჰქონდა... იქ არაფერი მესაქმებოდა და რესტორანში შევედი. ის იყო დავჯექი. რომ ის შავგვრემანი გოგონა გამომეტყობდა. ჩემი ნებართვით რომ მაგიდას მოუჯდა, ფარულად მიმოვიხედე, იქნებ ადგილები არაა თავისუფალი-მეთქი. არა, ადგილები თავისუფალი იყო.

ვატყობდი, ჩემი გაცნობა უნდოდა და, ბოლოს და ბოლოს, მეც—ოცდაცხრამეტი წლის კაცს შემეძლო ასაკობრივი უხერხულობა დამევიწყნა და ტკბილად მესაუბრა ამ ახალგაზრდა ქალთან. ძლიერ მაკვირვებდა უცნობის ცდა გაეგო მთელი ჩემი ცხოვრება და სულში ჩამწვდომოდა.

მოულოდნელად ვაყის ხმა გავიგონე.

— რა გინდა ამ უცხო კაცთან?!

— როგორ თუ უცხო?

— წადი კაიუტაში. შენ მერე მოგელაპარაკები. ახლა ამ ვირთან მაქვს საქმე! — თქვა, ჩემკენ შემობრუნდა და... გამარტყა.

ქალმა იკივლა.

მთელი გემი აფორიაქდა.

ამასობაში ნავსადგურში შევედი.

ის ახალგაზრდა მატროსად მუშაობდა გემზე და წესრიგის დარღვევა ორმაგ დანაშაულად ჩაუთვალეს — სამსახურიდანაც მოხსნეს და ხულიგნობისათვის პასუხისგებაშიც მისცეს.

ჩვენ სამსჯავროს წინაშე წარვდექით: მე—დაზარალებული, ახალგაზრდა მეზღვაური — ბრალდებული და ქალი — მოწმე.

სასამართლოზე გამოირკვა ჩვენი ვინაობა. ის ვაჟი აღმოჩნდა გიორგი ვასილის-ძე — ჩემი ვაჟი, რომელიც ერთი წლისაც არ იყო, რომ მივატოვე. ის ქალი იყო ზოპრა, რომელმაც მიცნო თუ არა, ჩემთან მოვიდა, მაგრამ ვინაობა ვერ გამიმხილა, რადგან სიკეთე ვუყავი, იგი კი გამეპარა და მერეც უხერხულობის გამო წერილი ვეღარ მომწერა.

ზოპრა და გიორგი თანატოლები არიან, ზუსტად ოც-ოცი წლისა.

მე ვაპატიე ზოპრას გაპარვა...

გიორგისაც ვაპატიე და... მანაც მაპატია, რომ ჩვილობაში მივატოვე.

მაგრამ საყვედური მაინც დასცდა... დედა გათხოვდა, მე ბავშვთა სახლში  
გავიზარდე... იცოდი, რომ ვაჟიშვილი გეზრდებოდა, რად არ მომინახერ.

— მართალი ხარ, გიორგი, მართალი... და ალალია შენი მუცელი, როგორც  
ტორანში რომ მომხვდა. ახლა არაფერსა გთხოვ. გარდა იმისა, რომ ორივე  
ჩემთან გადმოსახლდეთ საცხოვრებლად.

მერე ის იყო, ზოპრამ ფეხი იღრძო და ახლა მოლოდინში ვარ — გად-  
მოვლენ თუ არა ჩემთან საცხოვრებლად?

\* \* \*

— საოცარი თავგადასავალია, — ვთქვი მე.

— ძნელად დასაჯერებელი, არა, ეჭიმო?! — მიპასუხა მან. — მაგრამ  
მერწმუნეთ, ხდება ხოლმე ცხოვრებაში ხანდახან ასეთი ამბები.







## ბორის მავრეველი

### მ ო ზ ო ნ ე ბ ა

გაუფერულდა უწერის მთვარე,  
გაღმით ნაძვნარებს ეცლება რული.  
მეზობლის ეზოს გავხედე წყნარად,  
ფიქრი დამძიმდა, შეთრთოლდა გული.  
მზემ დააღვარა ღიმილი შარებს,  
ცვარნამს იბერტყავს ბაღი შრილა...  
ხელში ანკესით და მოკლე შარვლით  
ჩემმა ბავშვობამ ჩამოიარა.  
ბიჭი შემოხტა ეზოს მესერზე,  
შუქი უბრწყინებს შევარდნის თვალებს:  
— სადა ხარ, გუშინ მთელ დღეს გეძებე,  
წამო, რიონზე წავიდეთ მალე!  
თვალებს მისველებს ცრემლები ცხელი,  
ვიგრძენი, დედამ მომხვია ხელი:  
შვილო, იმ ეზოს ნუ აშტერდები,  
ჩვენს ვალიკუნას ამაოდ ელი!  
ზანტად გავხედე რიონის ჩქერებს,  
ფიქრთა ბურუსის გარღვევა მიჭირს,  
შორს კი, ტალღებში, სახე იელვებს  
ბერლინის კართან დაცემულ ბიჭის!



## პაპი ჩხიძე

### უ ვ ი ლ ს

სავსე ვარ ცის და მიწის ვალებით,  
 ცხოვრების კიდევ რამდენი მმართველს...  
 ხვალ მომადგება, ალბათ, მევალე  
 და აღარ ვიცი რა გამამართლებს!  
 რა გამამართლებს... და მოგხვევ ხელებს,  
 დაე, შეიგრძნოს ცამ და მიწამა —  
 მე აღარ დავკრეფ ყვავილებს ველის,  
 ჩემმა ხალხმა თუ შენ არ გიწამა.  
 შენ ხალხმა უნდა გაქციოს კაცად  
 და მომეშველო ცხოვრებით დაღლილს...  
 რაც ვიოცნებე შენზე აქამდი,  
 ის დამილევდა გუდაში მარილს.  
 და ახლაც თვალში რაღაც იმღვრევა,  
 შენ გეწმინდება სმენაც და მზერაც  
 და ჩემს დაწყებულ მცირე სიმღერას  
 გაავრძელებ და შენ გაზრდი, მჯერა.  
 თუმცა არ ვიცი, რომელ გზით წახვალ  
 და თრთოლვით ვდგავარ მე შენს წინაშე.  
 ჩვენ მაინც ვგავართ ერთმანეთს ახლა,  
 ვით მდინარე და ღელე წვიმაში.  
 ვარ შენზე ფიქრით ღამენათვევი,  
 შენს ბედ-იღბალზე ვფიქრობ ცისმარე...  
 მინდა, რომ იყო კარგი ქართველი  
 და ახდენილი ჩემი სიზმარი.

მე ვფიქრობ შენზე ისე, როგორც შენ ფიქრობ ჩემზე.  
 რა ვუყოთ, თუ კი ჩვენს სიყვარულს გული არ წაშლის.  
 მატარებლამდე იმ დარჩენილ ხუთ წუთს მივენდე,  
 რომელმაც უნდა დაგვაშოროს ერთუბრის ვაგზალში.  
 სადღაც შავი ზღვა, ნარინჯი და სიცოცხლე არის,  
 სამხრეთული მზით ავსებული თოლიას მკერდი...  
 ო, მიიწურა ხუთი წუთი, შემოჰკრეს ზარი  
 „და თვალზე მადგას განშორების მსუბუქი ცრემლი“.  
 ო, შეაჩერეთ, საათები, ნუ ითვლით წამებს,  
 ო, შეაჩერეთ წუთით კიდევ მატარებელი,  
 რომ ყველა დარდი შევაყარო ფერფლივით ღამეს  
 და აღარ წამყვეს სადარდებელი.





## გიორგი კეჭელაძე

### გაზაფხული ფანჯრიდან

აკაციის ოდნავ დამჟკნარი, თეთრი ყვავილი ფარფატით დაეცა გადაშლილ წიგნებს შორის. ქუჩიდან ტრამვაის ღრქიალი და ქალიშვილების ხმამაღალი სიცილი ისმოდა. ვაჟს, რომელიც თავის პატარა მაგიდასთან იჯდა, წამით ძალიან მოუნდა აეღო ყვავილი. შემდეგ ფანჯარაში გადაეხედა და ერთხანს ეცქირა, თუ როგორ ადიოდა და ჩამოდიოდა ხალხი ტრამვაის ვაგონებიდან. მას განიერი მხრები ჰქონდა და ღიღრონი, ცისფერი თვალები.

ქუჩიდან კვლავ მოესმა ქალიშვილების ხმამაღალი სიცილი. უცნაურად აშლილ და აფორიაქებულ სტრიქონებს დააშტერდა და ცდილობდა მიმხედარიყო, თუ რატომ გაუჭიუტდა თავს, რატომ არ აიღო აკაციის ყვავილი და არ გადაიხედა ფანჯარაში. მიხვდა: სწორედ იმიტომ, რომ ძალიან უნდოდა ეს. ზოგჯერ სიამოვნებდა კიდევაც, როცა უარს ამბობდა იმაზე, რაც ძლიერ უნდოდა.

ფანჯრის პირდაპირ აკაციის ხე იდგა. ძალიან თეთრი აკაციის ხე. როცა ქარი მოიქროლებდა, მაგიდა თეთრი, ოდნავ თეთრი დამჟკნარი ყვავილებით ივსებოდა.

კვლავ მოისმა ტრამვაის ღრქიალი. კვლავ აიშალნენ სტრიქონები, უთავბოლოდ დატრიალდნენ ასოები. გრძელი, ზუსტი ფორმულები ასოებისა და ციფრების ქაოტურ გროვად იქცა. ყურებში ყრუ გუგუნი ჩაუდგა. უკვე არაფერი ესმოდა, მაგრამ გრძნობდა: კისკისით ჩამოდიოდნენ ტრამვაიდან ქალიშვილები. ხელში ბრტყელი რვეულები ეჭირათ და ბოლოწაღრღნილი პაწია ფანქრები. რატომღაც ყველა ლამაზი იყო და ყველას მაღალი, სწორი და მოქნილი ფეხები ჰქონდა.

ვაჟი სკამზე ბორგავდა და თავის რვეულში უთვალავ სამკუთხედებს ხატავდა. შემდეგ უნებურად წამოიწია და ფანჯარაში გადაიხედა აკაციის ძირში ორი ქალიშვილი იდგა. ისინი ხითხითებდნენ მანეთს ეფარებოდნენ.

ვაჟმა მაშინვე აარიდა თვალი.

— ო, რა თვალები ჰქონია, — ნახევრად ჩურჩულით თქვა ერთმა.

— დაუმწყვდევიათ საწყალი, — ხითხითით თქვა მეორემ.

— მთელი თვეა აქ ზის და ზუთხავს... ეტყობა, მართლა არ უშვებენ გარეთ.

— კიბე მოუტანოთ... ფანჯრიდან მაინც გადმოვა...

ვაჟმა მაგიდას დახედა, ფანჯარი აიღო და ახლა წიგნზე დაიწყო პაწია. უწონო სამკუთხედების ხატვა. შემდეგ ფანჯარი დადო, შემობრუნდა და თავის შავ ყავარჯენს აღარ დაყრდნობია, ისე მიჩოჩდა სარკესთან, რომელიც კარებთან ეკიდა კედელზე. შიგ ჩაიხედა. სარკიდან უცნობი სახე შემოეფეთა. უცნობს ჰქონდა ფართო შუბლი, რომელსაც ბოლომდე გასდევდა ოდნავ შესამჩნევი ორი წვრილი ნაოჭი, და წმინდა ცისფერი თვალები. შემობრუნდა. ცალი ხელით კარს მოეჭიდა და ასე შეიკავა თავი. თვალებზე პატარა გრილი ხელების შეხება იგრძნო და გამოერკვა. ხელები მოიშორა და ლოგინზე ჩამოჯდა.

— დაიძალე? — კითხა ქალიშვილმა. იგი პატარა ტანისა იყო, ვაჟით ფართო, ცისფერი თვალები ჰქონდა და მოკლედ შეკრეკილი შავი თმები. — მომწყინდა მარტო... მოდი, ბაღში ჩავიდეთ ერთი საათით...

— ბაღში?..

ვაჟს ისე მოუწონდა ახლა ბაღში ჩასვლა, რომ მთელ ტანში იგრძნო ეს დაუოკებელი სურვილი. იქ ახლა გაზაფხულის მძაფრი სუნნი დგას. გაზონებს შორის ჯერ კიდევ თბილად შეფუთული ბავშვები დარბიან, ხოლო ბაღის სიღრმეში გრძელ მერხზე პენსიონერები მშვიდად დაპყურებენ იქვე გაშლილ ჭადრაკის ბრტყელ დაფას...

— არა, — თქვა ვაჟმა და გულში რაღაც სიხარულის მსგავსი იგრძნო. შემდეგ გაიღიმა, ქალიშვილს მხარზე მოხვია ხელი, გვერდით მოისვა და გაუმეორა:

— არ მცალია, ხომ იცი...

ახლა მაგიდასთან მიიწია და ფანჯარაში გადაიხედა. ქალიშვილები აღარ იდგნენ აკაციის ძირში. ისინი ნელა მიაბიჯებდნენ ტრამვაის ვაჩერებისაკენ. თეთრი, ლამაზი ფეხსაცმლები ეცვათ და სწორი, მაღალი ფეხები ჰქონდათ.

ისინი უკანა ვაგონში ავიდნენ. ასვლის წინ წამით ორივემ მოიხედა იმ ფანჯრისაკენ, სადაც ვაჟი იდგა.

— რა ხმაურია, — თქვა ქალიშვილმა, — გინდა, მეორე ოთახში გადავიტან ამ წიგნებს და რვეულებს... სამი წუთიც არ დამჭირდება... იქ ისეთი სიწყნარეა ახლა...

— არ მინდა, — მიუგო ვაჟმა.

— ფარდას მაინც ჩამოვუშვებ... ხედავ, რამდენი ყვავილი ჩამოცვენილა მაგიდაზე?..

— იყოს, ასე იყოს, — გაიმეორა ვაჟმა. — სწორედ ამ დროს კვლავ დაემუა ფარფატიტ ყვავილი და იმ წიგნზე დაეცა, ვაჟი რომ კითხულობდა. უნდოდა ხელში აეღო, მაგრამ გადაიფიქრა და სული შეუბერა. ყვავილი რამდენიმეჯერ გადატრიალდა და იქვე ჩავარდა რვეულებს შორის.



## ოკვან ველი

### მე ვუსმენ სტამბოლს

მე ვუსმენ სტამბოლს, დახუჭული თვალებით ვუსმენ.  
 სტამბოლი ღამით. მოიჭროლა ნიაგმა ზღვიდან,  
 ფურცლებს თითებით შეუყენა წყნარი შრიალი  
 და მენავეთა სტვენაც მომწვდა ზღვის სიშორიდან.  
 მე ვუსმენ სტამბოლს, დახუჭული თვალებით ვუსმენ.  
 მე ვუსმენ სტამბოლს, დახუჭული თვალებით ვუსმენ.  
 კოცნა, სიცილი, ლანძღვა, ხმები ნაბიჯთა მკვეთრი  
 ერთმანეთს ერთვის.  
 მესმის ხელიდან გივარდება  
 უეცრად რაღაც.  
 ვარდია, ალბათ...  
 მე ვუსმენ სტამბოლს დახუჭული თვალებით ვუსმენ.  
 მე ვუსმენ სტამბოლს, დახუჭული თვალებით ვუსმენ,  
 მესმის თევზების წყალში დგაფუნნი  
 და დედაკაცი სარეცხს რომ რეცხავს.  
 იქ, შორს, ყიფიყით ჩიტის გუნდი მიფრინავს სადღაც.  
 როგორც მე და შენ მოსვენების არშემცნობელი.  
 მე ვუსმენ სტამბოლს, დახუჭული თვალებით ვუსმენ.  
 მე ვუსმენ სტამბოლს, დახუჭული თვალებით ვუსმენ,  
 მე მესმის ხმები მტრედთა ღუღუნის,  
 იქ საქმოსანთა ჩუმი ჩურჩული,

იქ კი დოკებში გამუდმებით სცემენ უროებს  
და ქარს მოყვება გაოფლილი სხეულის სუნი.  
მე ვუსმენ სტამბოლს, დახუჭული თვალებით ვუსმენ.

მე ვუსმენ: სტამბოლს, დახუჭული თვალებით ვუსმენ,  
როგორ ნაცნობი, მეჩვენება ყოველი ჩქამიც.  
თავს დამდგომია მათრობელი ბანგი სტამბოლის  
და მესმის, როგორ შეუდგებათ ნაპირებს კენესა;  
როს ცოფმორევით ტალღა წარეცხავს...

მე ვუსმენ სტამბოლს, დახუჭული თვალებით ვუსმენ.

მე ვუსმენ სტამბოლს, დახუჭული თვალებით ვუსმენ.  
ცხელი გაქვს შუბლი, სათუთ ტუჩებს სისველე ახლავს...  
ახალნაშობი თეთრი მთვარე მიცურავს მაღლა  
და გულისცემა მაგრძნობინებს შენი ყველაფერს...  
მე ვუსმენ სტამბოლს...

თურქულიდან თარგმნა ალექო მაჭუტაძემ.







## პარმენ რურუა

### მშვიდობისათვის

წარსულში ბევრი გმირი გვყოლია,  
 დღესაც ბევრი გვყავს გმირი ლომგული.  
 მათმა მარჯვენამ იხსნა ქვეყანა,  
 მოუსპო მამულს მტერი ორგული.  
 იმათმა შრომამ სამშობლო მხარე  
 გადააქცია ტურფა ბაღნარად.  
 გულს სიხარული და იმედები  
 ესალბუნება ნაზად, ნარნარად.  
 სიყვარულს ტახტი დაუდგამს ყველგან,  
 ომებს და ნგრევას მოედო ბილი!  
 ახლა მშვიდობა სჭირია ყველას,  
 მშვიდობისათვის უნდა ვიბრძოდით.  
 სიძულვილს უნდა დაენგრეს ფუძე,  
 რომ ერთა შორის განმტკიცდეს ძმობა,  
 ყველა ხალხს ჩვენი ძმური სალამი,  
 ომის მეხანძრეს რისხვა და გმობა!

\* \* \*

წინათ რა მქონდა გასახარელი,  
 ჩემს ქვეყნის მნათობს ნისლი ფარავდა,

\* განსვენებული პოეტის პარმენ რურუას ეს ლექსები გადმოგვცა პოეტის შვილმა მწერალმა ი. რურუამ.

ბევრი ყვავილი დამიჭკნო სუსხმა  
და თმაც უდროოდ გაჭალარავდა.

ნარი ეყარა ჩემს სავალ გზაზე,  
სასმელში მუდამ მწარე ერია, —  
მაგრამ ნათელმა გაფანტა ბნელი,  
დღეს სიხარული ბევრზე ბევრია.

აღსდგა, განახლდა ჩემი ქვეყანა,  
ჩემი მამული გახდა სვიანი.  
ავი ბურანი გაქრა წარსულის.  
ამაღლდა სულით ადამიანი.

სხივი შეიჭრა ჩვენს ცხოვრებაში,  
თანამგზავრები ფრენენ ჩვენს ზემოთ,  
გამარჯვებიდან გამარჯვებისკენ  
სულ წინ იარე, სამშობლოვ ჩემო!

### ჰიმნი კოსმონავთებს

ზღვა მოუცავს დუმილს,  
ვარსკვლავების ციალს,  
ღამე ხარბად სრუტავს,  
როგორც გული ტრფიალს.  
თვალი ვეღარ ძღება  
ცის სივრცეში ცქერით,  
ზეცას რა ფერები  
უკიდია ზევით?!

ფარშავანებს ფრთები  
გაუშლიათ ცაში,  
გაგარინს და ტიტოვს  
მზე უცინით თვალში.  
გულმშვიდ ნიკოლაევს  
პოპოვიჩი ლხენით  
გვერდში ამოუდგა  
ვაჟკაცური ფრენით.  
ოთხივე ძმას გული  
დაჰყვა ისე მტკიცე,  
რომ დალაშქრეს ფრთებით  
კოსმოსური სივრცე.

გმირებს რომ გმირულად  
მოეხადათ ვალი,  
დააჩინეს ზეცას  
წარუშლელი კვალი!

\* \* \*

თუ მოგკვდები, რაა მერე?  
სიცოცხლე ხომ მით არ წყდება!  
ზამთარი თუმც ყვავილს აჰკნობს,  
გაზაფხული ისევ დგება.  
ბუნება ხომ უკვდავია,  
უცვლელია მისი წესი,  
ერთის ნაცვლად ასი ჩნდება  
და ათასი უკეთესი.  
მე თუ ვკვდები, ჩემს შვილებს და  
შვილიშვილებს აბარია  
სიცოცხლის და ყოფნის კერა,  
მზის კალთა რომ აფარია.  
არაფერი იკარგება  
ფერისა და სახის ცვლაში,  
ასე ხდება ეს ყოველთვის

დაუშრეტელ სიბრძნის ზღვაში.  
მიხარია მე ამ ქვეყნად  
რომ მოვედი, მზე რომ ვნახე,  
მიხარია ამ მიწიდან  
სამყარო რომ დავინახე.  
შემოქმედო! რა ძალა გაქვს  
ასე ვრცელი, ასე დიდი,  
ყველაფერი თავის რიგზე  
მოგიწყვია და ხარ მშვიდი.  
შემოქმედო! შენს წინაშე,  
როგორც ბავშვი, კრძალვით  
ვდგები,  
მერე რაა, შენი ცეცხლით  
თუ ვიწვი და თუ მოგკვდები?



## სიომს პრეულაძე

### ცხოვრება და პოეზია

თანამედროვე მხატვრული სიტყვის ოსტატთა შორის ირაკლი აბაშიძეს თვალსაჩინო ადგილი უკავია. მის მაღალმხატვრულ და იდეურად ჯანსაღ პოეზიაში ასახულია საბჭოთა საზოგადოების სისხლსავსე და მჭკვეარე ცხოვრება.

ი. აბაშიძის ლირიკა ღრმად პატრიოტული და ოპტიმისტურია. მის მხატვრულ სიტყვას განსაკუთრებით ცხოველყოფელს ხდის ახალი ცხოვრების დამკვიდრების პათოსი. პოეტის სიმღერის საგანია განახლებული ქვეყნის დიდება, კაცობრიობის მარადუჭკნობი გაზაფხული, მშვიდობა, ხალხთა ბრძოლა სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის.

ირაკლი აბაშიძის ადრინდელ ლექსებში გამოხატულებას პოელობდა მისი დროის საბრძოლო, საკიბრობოთო საყიფებები. ამ ლექსებში იგი მოუწოდებდა მშრომელ ხალხს ქვეყნის სამეურნეო აღორძინებისაკენ, ინდუსტრიული განახლებისა და გარდაქმნებისაკენ. თავისი სიმღერის საგნად პოეტმა იმავეითვე გაიხაზა სოციალისტური სამშობლოს ბედნიერებისათვის ბრძოლა, რამაც ქართველი ხალხი გამოიყვანა ისტორიის ვრცელ სარბიელზე სამოქმედოდ. ამ ახალმა ღრმად და ვითარებამ, როგორც თვი-


ონ პოეტი ამბობს, დაუპტკიცა მას სრულწლოვანება და მისცა „საყიფის ხმები“, რომლებიც მთელი საბჭოთა ქვეყნის დიდებას დადებენ.

„მე ხმაც და ენაც — ჩემი არჩივი მომცა საბჭოთა მშენ და ყანებმა, მას შევეზარდე მე მხრებგაშლილი, მან დამომტკიცა სრულწლოვანება.

მიოსრა: ამ ხმაზე ქვეყნად გასახე, როგორ იხარეს ჩვენმა ერებმა, შენ გაყიფინე, ვაჟო, ამ ხმაზე შენი სამშობლოს ბედნიერება. სიტყვი: საყვარელი შენი მიდამო, როგორ წუხდა და მტარვალს

მოიბოდა, სიტყვი, რა ვიღონეთ, რომ სამუდამოდ შენ და შენს ტოლებს ეს ხმა კქონოდა“.

საქართველოს ნანატრი ბედნიერება ირაკლი აბაშიძეს ეხატება დიად გაზაფხულად. ამ გაზაფხულზე საუქუნეობრივი ნატვრა და ფიქრი დიდი ხანია რეალობად იქცა. პოეტის თქმით, „მასზე კენსოდა ყველა დაქრილი და გაყოლილი თათრის ხომალდებს“. მაგრამ ქართველმა ხალხმა, რუსეთის მუშათა კლასის ძმური მხარდაჭერით, უანგარო დახმარებით, ბრძოლით მოიპოვა ეს ბედნიერება „და საქართველო



რა ხნის მკვნესავი დიდ გზაფხულის  
დღით გააჩალა. ამ გზაფხულის მეოხე-  
ბით, პოეტის მოხდენილი თქმით:

„მზეს მზე დაერქვა, ვარდებს  
ვარდები,

კაცს დაუბრუნდა კაცის სახელი,  
მან დაასრულა ცეცხლად ნადები  
საუკუნეთა გულში ნადველი.  
გზაფხულია,  
რად არ მიყვარდეს  
მისი გაჩენა, მზე და აპრილი,  
მის მობრძანებას, მზეს და მის

ვარდებს  
ვეამბორები მე თავდახრილი“.

ირაკლი აბაშიძის მხატვრული აზროვნების ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ იგი ჩვენი ცხოვრების ყოველ მოვლენას აღიქვამს პარტიული თვალთახედვით, ახალი ესთეტიკური პოზიციებიდან. ამავე დროს ფართო და ვრცელია მისი შემოქმედების თემატიკური არე. იდეებისა და მოტივების დიამაზონი. პოეტი ოსტატურად იყენებს სიტყვიერ სამკაულებს, კოლორიტულ თქმებსა და სახეებს. რაც მის ლექსებს, ღრმა იდეურობასთან ერთად, ემოციურ-ესთეტიკურ მომხიბვლელობას ანიჭებს („ყვავილები ქალაქში“, „დიდი გზაფხული“, „კოლხიდის საგანძღრი“, „ზღვა“, „გადარჩენის ბალადა“ და სხვ.).

„ყვავილები ქალაქში“ ერთ-ერთი შესანიშნავი ლირიკული ნაწარმოებია. გაფრჩხილ ვარდებში მგოსანი ხედავს ქვეყნის ალორძინებას:

„მე უნდა გავხდე მგოსანი ქვეყნად  
ახალ სიცოცხლის და ყვავილების“.

ბუნება, სიცოცხლე მშვენიერია თავისი მრავალფეროვნებით, თავისი „საზოგადო-სა“ და „კერძოს“ შეხმატებილებით, ცოცხალი, განუყრელი კავშირით გარეშე სამყაროსთან. პირადულისა და საზოგადოებრივი იდეალების შეხამება-შერწყმის თავისებური ჰიმნია ლექსი „ყველა სიმღერა რასმე მაგონებს“:

„ყველა სიმღერა რასმე მაგონებს,  
ყველა სიმღერას თავის წარმართვენი  
ყველა სიმღერა რასმე მაგონებს,  
რაუ ფიქრს ოდესმე დავიწყებია.  
ზოგში ვარდისთვე არის პირველი  
და თან მიჰყვება სული მთავარი,  
ან შორეული ჰქირს თებერვალი  
და ფრთას იღუწავს სხვენში ყავარი.  
ზოგში იხილავ ძველ წყალდიდობას,  
ჩაელილს შენამდე, შენს არყოფაში,  
ზოგში სათლები ბრწყინავს  
დიდუბის,

ნახული სიზმრად თუ ბალაობაში“.

ირაკლი აბაშიძე პეიეაზების ოსტატი-ცაა. მან მთელ რიგ ლექსებში ძარღვიანი სიტყვიერ გარდასახა ბუნების სურათები. ამ მხრივ გამოირჩევა „ზღვა“, „ორი ალაზანი“, „შირაქისაკენ, ალაზნის წყალო“, „მშვიდობა ჭუგაანში“ და სხვ. ამ ლექსე-ში პეიეაზი დაკავშირებულია თემატიკურ მასალასთან, ცხოვრების აქტუალურ პრობლემატიკასთან, ამასთან ეს სურათები ცოცხალი, პლასტიკური და დინამიკურია. გავისხენით სტრიქონები:

„მიყვარს ღობეზე ტყის ყვავილები,  
მგზავრის საშვრად აცოცებულნი“.

„...და ბაღში თეთრი მაცნოლიები  
ტოტებზე ისხდნენ, როგორ


მტრელები“.

ლექსი „მშვიდობა ჭუგაანში“ მრავალმხრივია საინტერესო. აქაა უბრალო, მაგრამ ძალიან ფაქიზად შერჩეული დეტალები მშვიდი, ნათელი შემოდგომისა, „ხის აივანზე ბევრი მტევანი, ყვითლები, როგორც სკოლის ზარები“, „მშვიდი და საამო დილა სავანის და უფრო მშვიდი შემოდამება“.

„მარტო ერთი რამ აურზაური,  
ერთი ხმა ისმის, ფრენა კრაზანის,  
ისე საოცრად დუმს ჭიაური,  
ისე უჩუმრად დის ალაზანი“.

ამის შემდეგ კი:

„ეხედავ, სიმშვიდე და სილამაზე,  
როგორ ყოფილან განუყოფელნი,



როგორ ერთფერად და დაწყობილად, სუნთქავს ეს ორი ბედნიერება, დასტურ მშვიდობის ნიჭი ყოფილა სილამაზე და მშვენიერება“.

დიდ სამამულო ომს ირაკლი აბაშიძემ რამდენიმე მაღალმატერული ლირიკული ნაწარმოები უძღვნა. ზოგი მათგანი ღრმად შეიჭრა ხალხის სულიერ სამყაროში და სიმღერად იქცა. ქართულ პოეზიაში სამუდამოდ დამკვიდრდნენ ისეთი ლირიკული შედევრები, როგორცაა „კაპიტანი ბუხაიძე“, „ლურსმანაშვილის გმირობა“ და სხვ. სამამულო ომის წლებში მათ დიდ რეზონანსი ჰქონდათ და დღესაც მკითხველთა შორის პოპულარობით სარგებლობენ. უდავოა, ისინი თაობიდან თაობაზე გადავლენ, როგორც ჰეროიკული სიმღერები, მტერზე გამარჯვებისა და ძლევის უკვდავი ჰიმნები.

ირაკლი აბაშიძის მხატვრულ ნაწარმოებთა ასეთი პოპულარობის საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, ის არის, რომ მან თავისი პოეზიის გმირად გამოიყვანა ახალი ეპოქის ადამიანი, თვით ამ ეპოქის შემოქმედი და მოგვცა მისი მაღალმატერული განზოგადებული სახე.

ირაკლი აბაშიძის პოეზიისათვის უცხოა ყალბი პათოსი, ცხოვრების შეუსაბამო განწყობილება. მისი პოეზია გამსჭვალულია სინამდვილით, სიმართლის გრძნობით. საბჭოთა სინამდვილე კი გმირობის უსაზღვრო ასპარეზია. ჩვენი გმირები მშვიდობის, ახლის შენების, ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან.

პოეტი ღრმად გრძნობს ეროვნებათა ურთიერთკავშირის კეთილსმყოფელ ძალასა და გავლენას. სწრაფვა ურთიერთგაგებისა და სოლიდარობისაკენ არა მხოლოდ საბჭოთა ხალხების, არამედ მთელი მსოფლიოს ადამიანების კეთილი ნების გამოხატულებაა. ეს არის ამავე დროს თანამედროვე პროგრესული ლიტერატურის დამახასიათებელი ძირითადი კანონზომიერებაც. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ირაკლი აბაშიძის ლექსების წიგნი

„რუსთაველის ნაკვალევზე“, რომელიც გამსჭვალულია აღმოსავლეთის ხალხებსა და მათი მეგობრობის გრძნობით. მისი დროის მოწინავე ადამიანთა აღმაფრენით:

„ასი ენა გვაქვს აღმოსავლელებს,  
ჩვენზე მდიდარი ქვეყნად ვინ არის,  
ას მღერალ ტალღას ერთად  
აღლევებს —  
ერთი დინება ზვირთი მდინარის“.

ლექსების ციკლი „რუსთაველის ნაკვალევზე“ გვიხილავს მრავალფეროვანი თემატიკით, პოეტურ ფორმითა სიახლითა და გრძნობათა სიღრმით. ფიგურალურად რომ ვთქვათ, ეს არის მკვირვალ შეკრული თაგული ქვეშაირი პოეტური ყვავილებისა.

ირაკლი აბაშიძემ ფართოდ გასჭრა ფანჯარა თვალწვდენელ სივრცეებში და პოეტურ ბრუნვაში მოაქცია ინდოეთის ზღაპრული ბუნება, შექმნა შორეულ მეგობართა ცოცხალი ლირიკული პორტრეტები.

ინდოეთში პოეტის მოგზაურობა არ ყოფილა ამ ქვეყნის ეგზოტიკით დაინტერესება. აქ მან შეიგრძნო და თავის პოეტურ პრიზმაში გარდატეხა ის ახალი და თავისებური, რაც თავისუფლებისმოყვარე ინდოელი ხალხის ცხოვრებაში ზღვება.

ირაკლი აბაშიძის მთელი პოეზია — ეს არის ძლევამოსილი ჰიმნი სახელოვანი სიცოცხლის გამარჯვებისა. „ახალი სიცოცხლისა და ყვავილების“ მგოსანი უცხო მიწაზე „უკვდავი სიცოცხლის“ დიდებას მღერის და თავის გულწრფელ ხმას უერთებს „ბუნების ტყბილ დღესასწაულს“.

„ზეიმის ეშხში იყო ბუნება,  
სიცოცხლის ახლად შემობრუნებას,  
ვარდების ხვევნას, ფრინველს  
ფრენას,  
თითქოს უჩუმრად შევეწყვეთ ჩვენაც“.

ავწიეთ ჭიკა ამ ძველ მიწა-წყლის,  
ამ გუშლილ განგის მწვანე ნაპირის

და ვთქვით დიდება უკვდავ  
სიციცხლის,  
მისი იანვრის, ჩვენი აპრილის“.

„ახალ ინდოეთს მე ვემღერო სარუსთ-  
ველოდან“. — წერს პოეტი. მართლაც,  
მის ლექსებში ინდოეთი და ინდოელი  
ხალხის ცხოვრება ახლებურად არის გან-  
ცდილი. აღქმულია იმ ადამიანის თვალთ.  
რომელსაც ასულდგმულებს რუსთაველის  
მალაქუმანური იდეალები და გამსჭვალ-  
ულია ძმობისა და სოლიდარობის  
გრძნობით.

მისკოვში, ქართული ლიტერატურისა  
და ხელოვნების დეკადის დროს, მალაქ  
შეთასება დაიშინა ირავლი აბაშიძის  
ლექსების ციკლმა „რუსთაველის ნაკვალ-  
ევზე“. მწერალმა ყარა სეიტლიევმა  
ერთად ილაპარაკა ი. აბაშიძის ამ ციკლ-  
ზე. მან თქვა: „ჩვენ ერთად ვიმოგზაუ-  
რეთ ინდოეთში და ერთგვარი მოწამე  
ვარ ამ ლექსების პირველი დაბადებისა.  
მე მინდა გავიხსენო ი. აბაშიძის ლექსი  
„რუსთაველის ნაკვალევზე“. ინდოეთში,  
ამ შესანიშნავ ქვეყანაში, ჩვენ ჩვენი წი-  
ნაკრების, კლასიკოსების ნაკვალევზე და-  
ვიდიოდით: ი. აბაშიძე იქ რუსთაველის  
ნაკვალევს დაეძებდა, სხვები — ნიშანის,  
ნავიის ნაკვალევს და ა. შ...“.

ავტორის ჭანსად, მალაქ ადამიანურ  
გრძნობებს მკვეთრად გვაგრძნობინებს  
ლექსი „ამრიტას“. ეს არის ალაღი გუ-  
ლით ნათქვამი სიმღერა „ლექსით დამწე-  
ვარი ქალის“ სადიდებლად. თემატიკური  
კონკრეტულობა ლექსის შინაარსს ემოცი-  
ურად ძლიერსა და ხელშესახებს ხდის.  
ინდოელ პოეტ ქალს ამრიტა პრიტამს  
ტრიბუნაზე წაუყობავს თავისი ლირი-  
კულ-რომანტიკული ლექსები და ერთბა-  
შად მოუხიბლავს უცხოელი თანამოკალ-  
მენი. ეს კონკრეტული ფაქტი ლექსში მა-  
ლამხატვრულად არის ხორციუხსხმული.  
მასში აგრეთვე იგრძნობა ის ძალა პოეზი-  
ისა, რომელიც მეგობრობის ხიდს დებს  
სხვადასხვა ერის შვილთა შორის.

სამშობლოს სიყვარულის გრძნობა ყვე-  
ლაზე მძალევი გრძნობაა და იგი შორეულ

ინდოეთშიც ჩაუმქრალად დევნის ქარ-  
ველი პოეტის გულში. ამ მის ლექსებს  
ახალიებს არა მარტო „ამ შიდაკული“  
ქვეყნის ბუნების ხილვა“, არამედ ჩვენს  
ლი საბჭოური სიამაყე, რომელიც ჩვენი  
ქვეყნის მოქალაქეობრივი დიდებითა მო-  
სილი. ამიტომ, ცხადია, როცა „ყველაგან  
მამულის ხმა გესმის“, როცა ყველაფერი  
სამშობლოს ძლევაში იღებება მეტყვე-  
ლებს. არ შეიძლება სიამაყის გრძნობით  
არ თქვა:

„მე კი სხვა მიწის რა უნდა მშურდეს,  
სამშობლოვ ჩემო, შენს შვილს და  
პატრონს“.

გულწრფელი აღიარებაა. ეს არის ჩვე-  
ნი ეპოქის კემარიტება. სიყვარულის სა-  
თავე იმ ქვეყნისადმი, რომელიც „მარტო  
ბუნება, მარტო მთა-ბარი“ როდია. პოეტი-  
სათვის იგი მარადიული გაზაფხულია,  
სუნთქვა და გულისფეთქება.

დიდი შინაგანი განცდა იგრძნობა ლექ-  
სების ციკლში „მიხსოვება ნახევარ სა-  
უკუნესთან“. იგი მდიდარია მეტყველი  
სახეებით. გაბეღული მხატვრული შედა-  
რებებით და ამშვენებს „ფერი მდიდარ  
მაისის“.

ირაკლი აბაშიძე ლირიკული ხმის პოე-  
ტი. მაგრამ მის შემოქმედებაში ძლიე-  
რია სწრაფვა პოეტური ეპოსისკენაც. ლირი-  
კული და ეპიკური ელემენტების ორგა-  
ნული შერწყმის ნიმუშს წარმოადგენს  
პოემა „წულუკიძის სიკვდილი“.

საინტერესოა ირაკლი აბაშიძის საბავშ-  
ვო ლირიკაც. მგოსანმა კარგად იცის ბავ-  
შვის სულიერი სამყაროს ყველა ნუანსი,  
ფერები და მისწრაფებანი. მისი საბავშ-  
ვო ლექსები და პოემები ხასიათდება იდე-  
ური სინათლითა და კონკრეტულობით. ენა  
სხარტი, ნათელი და ხატოვანია.

ირაკლი აბაშიძე დახვეწილი მხატვრუ-  
ლი მეტყველების შემოქმედელი. სტილის  
ინდივიდუალობას იგი აღწევს იმით, რომ  
ნოვატორულად იყენებს საერთო ეროვნულ  
სიტყვიერ ლექსიკას და კლასიკური  
ქართული ლექსის ტრადიციებს. მისი პო-  
ეტური ლექსიკა სათავეს იღებს ხალხუ-

რი პოეზიიდან. ამიტომაც ბევრი ლექსის  
ენობრივი ჭარბა მკაფიო, ნათელი და  
კრისტალური.

ირაკლი აბაშიძის პოეზიის რიტმი  
ახალია და შეესაბამება ავტორის სული-  
ერ წყობას. რომელი ლექსიც არ უნდა  
ავილით. მათში თითქმის ყველა პოეტური  
ფრაზა ბუნებრივია და ინარჩუნებს ქარ-  
თული ენის ფაქიზ მუსიკალობას. სი-  
ლესტრაციოდ მოვიტანთ ნაწყვეტს ლე-  
ქსიდან „თბილისი“:

„დღეს შენს გაზაფხულს სად  
გაეკრიბო,  
ყველა უბანს და გზას ახურია,  
რა დამღულრავი და რა ფერადი,  
რა ცეცხლიანი გაზაფხულია.“

როგორც მხატვრული აზროვნების ერთ-  
ერთ კომპონენტს, რითმას გარკვეული  
ესთეტიკური ღირებულება აქვს. მცირე  
ფორმის პოეტურ ნაწარმოებებში, განსა-  
კუთრებით ლირიკაში, იგი სტრუქტურულ  
როლს ასრულებს. ი. აბაშიძის პოეზია რი-  
თმების მხრივაც მდიდარი და მრავალფე-  
როვანია; რითმა მის ლექსებში არ წარ-  
მოადგენს დომინანტურ ელემენტს. აე-  
ტორია მას ყოველთვის უმორჩილებს ლე-  
ქსის შინაარსის განვითარების ლოგიკას,  
აზრთა თანმიმდევრობას. რითმა რიტმის  
დამხმარე ელემენტია.

ი. აბაშიძე თავის ლექსებში ხშირად  
ხმარობს სამმარცვლიან და ხუთმარცვლიან  
რითმებს. მრავალმარცვლიანი რითმა კი-  
დეე უფრო აკეთილშობილებს ლექსს, აქ-  
ლევს მეტ მუსიკალურ ელემენტობას. ასე,  
მაგალითად:

„მაგრამ ძველ განძზე მეტად  
მახარებს,  
მაინც კოლხეთი ახალ განძების,  
მისი ბალები, ტყე ტანმალლი,  
მისი ყიფინა ახალგაზრდების.“

ი. აბაშიძის ლექსებში გვხვდება ორი-

გინალური შინაგანი რითმები, რომელიც  
მძლავრი მუსიკალური რეზონანსი აქვს.  
აი ზოგიერთი მათგანი: ქართლისეკლესიური  
განძის ხეაშიაღს, უშუეს — მუხრანისეკლესიური  
ღმრთე შეინდები — ავყიენდები, ჩაუცი-  
რავი — კიროვი, ტანკთა სრიალში — კავ-  
კასიაში, ჯანღონიერნი — მაგნოლები და  
ა. შ.

აღსანიშნავია კიდევ ერთი თავისებუ-  
ლება: პოეტი ხშირად რითმავს თანასწორ-  
მარცვლიან სიტყვებს. ამით იგი იცავს ქა-  
რთული ენის მახვილს.

ირაკლი აბაშიძის პოეტური სახელი გა-  
სცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. მისი ლი-  
რიკული პოეზიის მრავალი ნიმუში ოს-  
ტატურად არის თარგმნილი რუსი და მო-  
ძმე რესპუბლიკების პოეტების მიერ სა-  
ბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე, უცხო-  
ეთისა და სახალხო დემოკრატიის მთელ  
რიგ ქვეყნებში. პოეტი ვალში როდია სხვა  
ხალხთა მწერლობის წინაშე. ისიც წარმა-  
ტებით თარგმნის და აცნობს ქართველ  
ხალხს სხვადასხვა ერის კულტურულ მო-  
ნაპოვრებს, პოეტურესულად მოაზროვნე  
საზღვარგარეთელ მწერალთა ნაწარმოე-  
ბებს.

ერთ-ერთ ლექსში, გამოთქეაშს რა რწმე-  
ნას საკუთარი პოეტური შესაძლებლობი-  
სადმი, ი. აბაშიძე მტკიცედ, დაბეჯითებით  
ამბობს:

„თუმც ვაფლანგული მაქვს ასეული  
ხან სიხარული, ხან დაღონება,  
მაინც ათასი ზეშთავგონება  
მაქვს შენახულა, ვით ფასეული“.

...და ჩვენც გვჯერა მისი ჯერ კიდევ  
ამოუწურავი პოეტური ძალისა. ი. აბაში-  
ძე, როგორც პოეტი-მოაზროვნე, შე-  
მოქმედებითი სიმწიფის წლებშია და იგი  
კვლავაც შექმნის ჩვენი ძღვევამოსილი  
ეპოქის შესატყვის-სიმღერებს, ახალ-ახალ  
ლირიკულ შედეგებს.





## შოთა ქუჩიძე

# სანდრო შანშიაშვილის საზღვრიაღო- სამიჯნურო გადაღები

ბალადა, როგორც ლირიკული ენარის ნაწარმოები, ბევრს საშუალო საუკუნეების პირმოღ მიიჩნია, ხოლო მის სამშობლოდ — საფრანგეთი (პროვანსი). მაგრამ იგი გაცილებით ძველი ჩანს. ყოველ შემთხვევაში, ანტიკური ლიტერატურის ისეთი გამოჩენილი მკვლევარი, როგორც ვ. ფ. წერეთელი იყო, ბალადად თვლიდა ბაქილდეს ნაწარმოებთა ერთ ნაწილს.

ბაქილდეს შემდეგ ჩვეს დრომდე ბალადამ, რა თქმა უნდა, საგრძობლად შეიცვალა ხასიათი. იტალიურად „ბალარე“, საიდანაც წარმოსდგა „ბალადა“, ცეკვას ნიშნავს და, როგორც ჩანს, ფრანგულ-იტალიურ ბალადას საშუალო საუკუნეებში ვი არ წარმოთქვამდნენ, არამედ მღეროდნენ, ამასთან სიმღერას თან ახლდა როკვა. უფრო გვიან, სახელდობრ, რომანტიკოსთა პოეზიაში ბალადას შერჩა მხოლოდ თხრობა, სიუჟეტი, ხოლო სიმღერა და ცეკვა მთლიანად ჩამოშორდა. ე. ი. წმინდა ლიტერატურულ ფენომენად იქცა.

თანამედროვე ბალადა თხრობითი, სიუჟეტური ლექსია. ეს ნიშნები — თხრობა და სიუჟეტი თითქოს სავესებით საკმარისია იმისათვის, რომ ბალადა ადვილად

გავარჩიოთ სხვა სახის ნაწარმოებისაგან, მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. ზოგიერთი ბალადა ეპიკური ელემენტების სიჭარბით ძლიერ უახლოვდება პოემას, ხოლო ზოგიერთში, პირიქით, ლირიკულის პრევალირება იგრძნობა, რაც აძნელებს მის გამოყოფას ჩვეულებრივი ლირიკული ლექსისაგან.

ამ სიძნელეს რომ თავი დაეღწიოთ, აუცილებელია ხაზი გავუსვათ ერთ გარემოებას: ბალადაში ავტორი გადმოგვცემს პერსონაჟთა და არა თავის პირად განწყობილებას, გვაცნობს რაიმე ამბავს და გმირებს. ამით ბალადა დიდად ემსგავსება პოემას, მაგრამ პოემისაგან განსხვავებით, იგი ჭარბად შეიცავს ლირიკულს, არ არის განერცილებილი და არც პერსონაჟთა სიმრავლე ახსიათებს. ბალადა პერსონაჟის ბიოგრაფიის მარტო ერთ შემთხვევას, ერთ პატარა ეპიზოდს გვაცნობს და მისი შემწეობით ხსნის ხასიათს. იგი პოეტური, ლექსად დაწერილი ნოველა და პოემისაგან თითქმის იმითვე განსხვავდება, რითაც ნოველა დიდი მოთხრობისა ან რომანისაგან. მეორე მხრივ, ბალადისათვის აუცილებელი ეპიკური ელემენტები — თხრობა და სიუჟეტი მას განასხვავებს ჩვეულებრივი ლირიკული ლექსისაგან.



ამის გამო, ეფექტობთ, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ბალადა წმინდა ლირიკული კი არა, ლირიკულ-ეპიკური ნაწარმოებია.

მსოფლიო ლიტერატურა ბალადის ბევრ სახელოვან ოსტატს იცნობს. მათ შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია დიდ გერმანელ რომანტიკოს პოეტ ფრ. შილერს. მისი უმწვენიერესი „თასი“ ბალადის კლასიკური ნიმუშია ისევე, როგორც ვოეთეს „ტყის მეფე“. ბევრი საუცხოო ბალადის ავტორია აგრეთვე ცნობილი რუსი რომანტიკოსი პოეტი და მთარგმნელი ვ. ჟუკოვსკი, ხოლო რეალისტური ბალადის განვითარებას ფასდაუდებელი ამაგი დასდეს პუშკინმა, ლერმონტოვმა და ნეკრასოვმა.

ჩვენი მშობლიური ფოლკლორი და ლიტერატურაც ფრიად მდიდარია ბალადებით. საკმარისია დავახელოთ გენიალური ხალხური „მოყმისა და ვეფხის ამბავი“, ილია ჭავჭავაძის „ბაზალეთის ტბა“, ვეჯა-ფშაველას საოცრად ექსპრესიული „ბაკური“ და სხვ. XX საუკუნის ქართულ პოეზიაში კი ბალადის აღიარებულ ოსტატად ითვლება სანდრო შანშიაშვილი, რომელმაც თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ბალადას და შექმნა ამ სახის ბევრი საუკეთესო ნაწარმოები.

ბალადით სანდრო შანშიაშვილის დაინტერესება სრულიადაც არ ყოფილა შემთხვევითი. მართალია, ჩვენს მწერლობაში იგი შემოვიდა როგორც ლირიკოსი პოეტი, მაგრამ იმთავითვე იზიდავდა ეპოსი და დრამა. მასში იმდენად ძლიერი იყო პოეტური ეპოსისადმი მიღრეკილება, რომ დრამებსაც კი ხშირად ლექსად წერდა და ზოგი მათგანი სამართლიანადაა მიჩნეული დრამატულ პოემად. ამ მხრივ სანდრო შანშიაშვილი მოგვაგონებს ფრ. შილერს, ვისი არაერთი ნაწარმოებიც თარგმნა მან ქართულ ენაზე. როგორც ცნობილია, ფრ. შილერმა ლირიკულ ლექსებთან ერთად შექმნა უბრწყინვალესი ბალადები და ბევრი დრამაც ლექსად დაწერა. ჩანს, ქართველი პოეტი თვითონ

გრძნობდა ნათესაობას დიდ გერმანულ კოლეგის შემოქმედებასთან დაკავშირებითაც დაუთმო ესოდენ მისი ნაწარმოებების ქართულად თარგმნას.

თავისთავად იგულისხმება, რომ შილერის რომანტიკულ-ამბულეტული ბალადა სანდრო შანშიაშვილს ერთგვარ ეტალონად მიაჩნდა, მაგრამ პოეტმა ძლიერ თავისებურად აღიქვა და გამოიყენა გენიალური რომანტიკოსის შემოქმედებით გამოცდილება. ეფექტობთ, სავსებით მართალი იყო კრიტიკოსი გ. ქიქოძე, როცა სანდრო შანშიაშვილის პოეზიის ზოგადი დახასიათებისას ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პოეტის მთავარ მასაზრდოებელ წყაროს ქართული ეროვნული კულტურა წარმოადგენდა და რომ „მის პირველ პოემებში და ბალადებში ჩანდა... მკიდრო კავშირი ქართულ თქმულებებთან, ხალხურ პოეტურ შემოქმედებასთან; ეს კავშირი უმადვე უფრო განმტკიცდა და პოეტის მთავარ დამახასიათებელ თვისებად გადაიქცა“ (თხზ., ტ. 1, 1963 წ., გვ. 342).

მართლაც, სანდრო შანშიაშვილის ბევრ, აღრიცხულ თუ გვიანდელ, ბალადას საფუძვლად უდევს ხალხური გადმოცემა. ხალხური თქმულება, რომლებსაც პოეტი ყოველთვის გარკვეული მიზნით იყენებს და თავისებურ გააზრებას აძლევს. ზოგჯერ ფოლკლორთან მისი კავშირი ისე მკიდროა, რომ ქართული წარმართული ლმერთების პანთეონისა და წარმართული მსოფლმხედველობის უცოდნველად ძნელდება მისი ბალადების გაგება. ყველა თანამედროვე მკითხველმა, ალბათ, როდოციის, თუ ვინ იყვნენ სანდრო შანშიაშვილის ერთ-ერთი საუკეთესო ბალადის „დალი“ პერსონაჟები — აგუნა, ვობია, გუდანი, დალი თუ სხვები, რაც ცხადია, აძნელებს ნაწარმოების აღქმას. ასეთ შემთხვევაში პოეტი იძულებულია თვითონ მოგეაწოდოს სათანადო ცნობა, გზა და გზა განმარტოს პერსონაჟთა ცინაობა, მათი ადგილი წარმართული ეპოქის ლმერთების პანთეონში.

სანდრო შანშიაშვილის ბალადების უმრავლესობა, თავისი ხასიათით პასტორალურ-ეკლოგურია, რასაც განაპირობებს ფოლკლორთან მათი მჭიდრო კავშირი, ხოლო თემატიკურ-შინაარსობლივად მათ შორის მეტად თვალსაჩინო ადგილი უკავია სატრფიალო-სამიჯნურო ბალადებს. რა თქმა უნდა, ეს ბალადები სრულიადაც არ არიან „ნეიტრალური“. პირიქით, მათში პოეტმა გამოთქვა თავისი საინფორმაციო საზოგადოებრივი იდეალები.

სატრფიალო-სამიჯნურო ბალადების ციკლში თავისი დრამატიზმითა და ექსპრესიულობით ისევე, როგორც ჩანაფიქრის სიღრმით, გამოირჩევიან „თუშაია“ და „ლეილა“. ორივე ამ ნაწარმოებში პოეტი უმდერის ადამიანის თავისუფლებას და სიყვარულს წარმოგვიდგენს უძლეველ ძალად, რომელიც ან აციხვრენებს სიცოცხლეს, ან უზაროდ ხდის მას.

ჩვენს წინაშეა მწყემსი გოგონა თუშაია, ბედამწევარი მიჯნური, რომელსაც სატრფო ვერაგულად მოუკლეს მთაში. ვის არ შეზარავდა ეს მოულოდნელი უბედურება, ვის გულს არ აავსებდა მწუხარებით საყვარელი ადამიანის უცვარი დაღუპვა, მაგრამ თუშის ქალს ტრემლებიც კი არ წამოსცვნიან:

„როს მკვდარი ნახა მიჯნური,  
ბაგე მოკუმა მღიმარი,  
წარბები ოდნავ შეიკრა,  
სახე გაცივდა მცინარი,  
ღედასაც უთხრა: ნუ სტირი,  
ვერ გააღვიძო მძინარი...“

„აუტირებელი თვალეზით“, ბავშვოკუმული და ცივი, უტყვი სახით გვიტყვობს თუშის ქალი, გვიტყვობს და ვერ გავრკვეულვართ. რა ხდება მისი გულის სიღრმეში, რად არ აღმოჩნდა იქ თუნდაც სულ მცირე ადგილი მწუხარებისათვის? მაგრამ ეს საკვირველი სიმშვიდე და გულგრილობა თურმე ყალბი, მოჩვენებითი ყოფილა. თუშაიას არ შეუძლია მკვდარი მიჯნური დაიტროს, ვიდრე მისი მკვლელი ცოცხალია. იგი უნდა მოკვდეს, მახელით განიგვიროს, მაგრამ ვინ არის მკვლელი, როგორ იბოვოს ის?

ნაზია და ნატიფი, როგორც გვხვავთ ულის ყვავილი, თუშაიას სიყვარული, როგორც კავკასიონივით მტკიცე და მკაცრი თუშაია ერთი იმ ქართველ ქალბავშვებში რომელიც მარად ერთს ეკუთვნის და ერთ სიყვარულს მეორეზე სიცოცხლის ფასადაც კი არ ვასცილებს. უცნობაა ვაჟმა თუშაიას მიჯნური მოუკლა იმ იმედით, რომ დრო გავდებოდა და მოკლულის ადგილს თვითონ დაიჭერდა ქალის გულში. თუშაიამ „ქალური ალღოთი იგრძნო ეს და, მკვლელს რომ თავი მალე გაემჟღავნებინა, საოცარი თავდაჭერა, ნამდვილი მამაკაცური ნებისყოფა გამოიჩინა: შეგნებულად არ დაიტერა მიჯნური, ღრმად დამალა გულის იარები და უდარდელი სახე მიიღო. დარწმუნებულმა, რომ თუშაიამ არად ჩაავდო მიჯნურის სიკვდილი, მკვლელმა შენდობა სთხოვა მას და სიყვარულში გამოუტყდა:

„ეტყვის: ქალი მიყვარხარ,  
ტრფობა მწვავს, გულსაც მიალებს!  
შენ რომ არ ნაღვლობ მის სიკვდილს,  
მე ანა გამახალისა.  
უწინ შენ ჩემთვის ყრუ იყავ,  
როგორც კლდე მალალ საღისა,  
მე მოძმის სისხლი დაღვარე,  
შემინდე ცოდო მთვრალისა,  
ხმაღმა გაღასურა მთის ძირში,  
ან მე ერთგული, ან ისა!“

ეუის ამ აღსარებას რომ ვეცნობით, უნებურად გვაგონდება ცნობილი ეპიზოდი შექსპირის ტრაგედიაში „რიჩარდ მესამე“, როცა რიჩარდი ლედი ანას ხელსასთავს. მართალია, ერთგვარი ყოყმანით, მაგრამ ლედი ანა მაინც დაჰყვა რიჩარდის ნებას, მოიხიბლა მისი სიტყვებით და ქმრის მკვლელს ამატია საშინელი დანაშაული, ერთი ადვილად გაცვალა მეორეზე. მაგრამ თუშაია ლედი ანა როდია. იგი მთის შვილია და მთის ნიავეით თავისუფალი. მას ურჩევნია მოკვდეს, ვიდრე სხვის ნებას დაემორჩილოს, და, თუ ლედი ანას სადღაც გულის სიღრმეში სასიამოვნოდაც კი დარჩა, რიჩარდში რომ ისეთი სიყვარული აღანთო, რომელმაც ადამიანის მკვლელობამდე მიიყვანა იგი,

უცნობი ვაყის საქციელში თუშაიმ სამართლიანად დანახა უხეში ბალადობა. სხვისი გულსთქმის ძალით დამორჩილების ცდა. როცა ორს ერთმანეთი უყვარს და მესამე ერთ-ერთ მათგანს კლავს, კლავს მხოლოდ იმიტომ, რომ ცოცხალი აიძულოს მის ნებას დაჰყვეს, ვანა ეს ადამიანის თვისუფლებას, სიყვარულში მისი არჩევანის პირდაპირი ხელყოფა არ არის? ამიტომ თუშაიმ არა თუ არ მიიღო მკვლელის სიყვარული, არამედ ხანკლით გული გაუბო მას.

მხოლოდ ამიერიდან შეგძლია თუშაის მთლიანად მიეცეს მწუხარებას, გამოიტროს უღროლად დაღუპული მიჯნური.

„— დედა, ესლა კი ვიტყვით, მკვლელს მიუტანე, ვინც არი!“

ასეთია უბრალო თუში გოგონა, მისი სიყვარული. ჩვენს წინაშე თითქოს საუკუნეთა სიღრმიდან გამოდის და ცოცხლდება ლეგენდარული ამორქალი. ის ქართველი ქალი, რომელიც თავს არავის დაამკვირნებს, თავის ადამიანურ ღირსებას, გულწრფელ სიყვარულს არავის გაათვლინებს და, თუ საჭირო იქნება, ხმალ-ხანკლავც ისევე მოიხმარს, როგორც ნამდვილი ვაჟაყვი. ჩვენ გვაოცებს მისი საბრავო უნარი მოთმინებისა, მამაკაცური ნებისყოფა და შემართება, რომელსაც ბუნებრივად ერწყმის მარადქალური, ნაზი და ფაქიზი სიყვარული. ხასიათის ამ თვისებებით თუშაია მოგვაგონებს რუსთაველის ნესტან-დარეჯანს. როცა უყვარს, იგი ისეთივე მგრძობიარე ქალია, როგორც ნესტან-დარეჯანი, ხოლო როცა მრისხანებს, ისეთივე პირგამეხებული ვედხია, როგორც ნესტან-დარეჯანი. ამავე დროს თუშაიაში არის რაღაც ოთხართან ქერივისებური. ყველაფერი ეს კი იმას მოწმობს, რომ სანდრო შანშიაშვილმა შეძლო მოეცა ქართველი ქალის მართალი და შთამბეჭდავი მხატვრული სახე, რომელშიც კონკრეტულთან ერთად მკაფიოდ ჩანს ზოგად-ეროვნულიც.

სხვა მხრივ არის საინტერესო მეორე, ეკლოგური ბალადა „ლეილა“.

ისევე, როგორც თუშაია, ლეილაც უბრალო გლეხის გოგონაა, მაგრამ თუშაისაგან განსხვავებით, თვითონ ხედავს ვარულის მსხვერპლი. მან დაიწყო ტეხა ფიცი და სხვა შეიყვარა. უარყოფილმა მიჯნურმა ლალატისათვის სიცოცხლე მოუსპო ლეილა.

„და მის შემდეგ: როცა მთვარე იცრციება ბამბის მკლავად, იმ თეთრ ქვასთან ვიღაც სტირის ხმა-გამბით და გულსაკლავად.“

ეს უარყოფილი მიჯნური ქეთინებს, დასტირის თავის უბედურ სიყვარულს, გლოვობს თავის ლეილას. ჩანს, მკვლელობამ მას ვერ მოუტანა სულიერი შეება, პირიქით, სიცოცხლე ტანჯავდა, ერთი გამმულ კვნესად ექცა. პოეტი აქ სვამს წერტილს, მაგრამ მკითხველი უნებურად განაგრძობს ფიქრს: რამდენად მართალი იყო მკვლელი, ჰქონდა თუ არა მას უფლება დაეღუპა ლეილა? ზოგი, ალბათ, გაამართლებს მკვლელს, ზოგიც ბარბაროსობად მიიჩნევს მის საქციელს. თვითონ ავტორი კი თითქოს განზე დგას, არ გამოაქვს პირდაპირი მსჯავრი. იგი მხოლოდ მიგვიჩინებს, რომ ლეილას დაღუპვით მკვლელი ბედნიერი არ გამხდარა. და რაკი ასეა, რაკი უარყოფილი მიჯნურის საქციელს არავისთვის სიკეთე არ მოუტანია, შეიძლება თუ არა გავამართლოთ იგი? აქ მთელი სიგრძე-სიგანით დგება სიყვარულის თავისუფლების პრობლემა და, ჩანს, პოეტი მხარს უჭერს იმ აზრს, რომ არავის უფლება არა აქვს ხელყოს სხვა ადამიანის თავისუფლება და სიცოცხლე, მოუსპოს მას ცხოვრების სიხარული და ბედნიერება.

სატრფილო-სამიჯნურო ბალადების რკალს განეკუთვნება აგრეთვე პოეტის ერთ-ერთი ბრწყინვალე ბალადა „დალი“. სრულიად უეჭველია, რომ უპირველეს ყოვლისა ეს ნაწარმოები ჰქონდა მხედველობაში გ. ქიქოძეს, როცა წერდა: „თავისი შემოქმედების მწვერვალს სანდრო შანშიაშვილმა უსათუოდ კახეთისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლში მიადწია, სადაც პრეისტორიის სიღრმეებიდან მო-



მავალი ჰიმნი თითქოს უერთდება თანამედროვე კახელების ურმულსა და მრავალეამიერს; აქ წარმართული ეპოქის სახეები — ბობლია, დალი, ავუნა, მიონა და სხვ. თითქოს ცოცხლდებიან, მაგრამ ცოცხლდებიან არა როგორც სასაფლაოს მოჩვენებანი, არამედ როგორც ეროვნული სულის მუდმივი გარდახორციელებანი“ (თხზ., ტ. I, 1963, წ., გვ. 343).

წარმართული ეპოქის სახეები — ბობლია და სხვები, რომლებსაც გ. ქიქოძე ჩამოთვლის, სანდრო შანშიაშვილმა ყველაზე სრულად და არაჩვეულებრივი პოეტური ძალით გამოაქანდაკა სწორედ „დალში“. მისი ფაბულა მარტივია: უღრანი ტყის მეფე ბობლია გადაწყვეტს თავისი ქალიშვილი დალი, რომელსაც ღრუბლების მეფე ვობია უყვარს, მიათხოვოს ქაჯთა მეფეს ინყუზას, გადაწყვეტს ისე, რომ ქალიშვილს არც კი ეკითხება, მოსწონს თუ არა მას საქმრო. ღმერთების დიდი უმრავლესობა, მათ შორის ომის ღმერთი გუდანი, ღვინისა და მემთვრალეობის ღმერთი ავუნა და სხვები, მიემხრობა დალსა და მის მიჯნურს — ღრუბლების ღმერთ ვობიას. და აი ქორწილში მიმავალ ინყუზას წინ გადაუდგება ვობია. გაიძარტა მძაფრი ბრძოლა, რომელიც ვობიას გამარჯვებით დამთავრდა. „დალს და ვობიას ქორწილი ზეიმით გადაუხადეს“.

როგორც ფაბულიდანაც ჩანს, ბაღდათ გამოხატავს კეთილისა და ბოროტის ბრძოლას, ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ტრადიციულ თემას. ბოროტ ძალიად მასში წარმოგვიდგებიან ბობლია და ინყუზა, რადგან ანგარიშს არ უწყვენ დალის გულისტქმას და ამით ფეხქვეშ თელავენ მის უფლებას—თვითონ აირჩიოს საქმრო. ქართველ ხალხს ოდითგანვე მიაჩნდა, რომ ქალი ისეთივე ადამიანია, ისეთივე ღირსების მქონე, როგორც მამაკაცი. მაშასადამე, კანონიერად ცნობდა მის სურვილს გაყოლოდა იმას, ვისაც აირჩევდა. ამ უფლების ყოველგვარი დარღვევა ხშირად მძაფრ კონფლიქტს იწვევდა და პროგრესული, კეთილი ძალები ყოველთვის მხარს უჭერდნენ ქალს. ეს

ჩანს არა მარტო „ვეფხისტყაოსნში“ სადაც კონფლიქტს იწვევს ფარსადობრივი გადაწყვეტილება — ნეტარებისა და უკმაყოფილების შინაგანი დაუკითხავად, არამედ ხალხურ თქმულებებსა, ზღაპრებსა და ლექსებშიც. აი რატომ ფიქრობდა გ. ქიქოძე, რომ სანდრო შანშიაშვილის პოეზიაში ვობია და წარმართული ეპოქის სხვა სახეები „ცოცხლდებიან არა როგორც სასაფლაოს მოჩვენებანი, არამედ როგორც ეროვნული სულის გარდახორციელებანი“.

რიცა „დალისა“ და მისი პერსონაჟების ეროვნულ სულზე, ე. ი. ეროვნულ ხასიათზე ვლასარაკობთ, რასაკვირველია, უპირატესად მხედველობაში გვყავს დადებითი გმირები, ის პერსონაჟები, რომლებიც სიკეთისა და სიძარტის გამარჯვებისათვის იბრძვიან. საგულისხმოა, რომ თვით ომის ღმერთი გუდანიც კი ვობიას მხარეზე დგება, ემხარება მას ინყუზას წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან ხელავს, რომ ბობლიასა და ინყუზას სურთ დაჩაგრონ დალი და ვობია, წაართვან მათ სიყვარულში არჩევანის უფლება. ამ კონკრეტულ ფაქტში მკაფიო გამოხატულება პოვა ქართველი ხალხის შეხედულებამ არა მარტო სიყვარულზე, არამედ ომზეც. ვინ იცის, საუკუნეთა მანძილზე რამდენი ომი გადაიხადა ქართველმა ხალხმა, მაგრამ თითქმის ყოველთვის თავს იცავდა და, თუმცა მუდამ მტრის ქაზრ ძალებთან ჰქონდა საქმე, ხშირად იმარჯვებდა. წარმართული ეპოქის ქართველს ეგონა, რომ ომის ღმერთი გუდანი მხარს ამიტომ უჭერდა და ხალხში თანდათან განმტკიცდა აზრი, რომ ომს ის მხარე იგებს, ვინც სამართლიან საქმეს იცავს, ვინც თავდაცვის ომს ეწევა. მაშასადამე, გუდანის მხატვრულ სახეში ჩაქსოვილია ქართული ეროვნული სულისკვეთება, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მასში ჩანს ჩვენი ეროვნული სულის გარდახორციელება.

მეტად საინტერესო მხატვრული სახეა აგრეთვე ღვინისა და მემთვრალეობის ღმერთი ავუნა. ქვიფისა და ლხინის ტრფალი, იგი ინყუზას მაჰანკლობს და უხა-

რია, როცა ბობლია დაღის გათხოვებებს გადაწყვეტს. მაგრამ შემდეგ სხვა ღმერთებთან ერთად ავუნაც ვობიას ემხრობა. ავტორი, სამწუხაროდ, ხაზს არ უსვამს, რატომ ვახდა ინყუხას მაჟანკალი მისი მტერი, თუმცა ბალადის საერთო მდინარებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ავუნამაც სიმართლის დაცვა იყისრა. მან, როგორც ჩანს, არ იცოდა, თუ დაღსა და ვობიას ერთმანეთი უყვარდათ და, როცა ეს გაიგო, მაშინვე უყოყმანოდ განუდგა ინყუხას.

აქ შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ერთ ფრიად დამახასიათებელ დეტალს. ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ნესტან-დარეჯანი და თინათინი, დაღიც პირველი უმხელს სიყვარულს თავის მიჯნურს. თინათინ-აეთანდლიდრით დაღმა და ვობიამაც იცოფნენ, რომ ერთმანეთი უყვარდათ და, როცა საჭირო გახდა, დაღმა თინათინით პირველმა უთხრა მიჯნურს, ვეცი გიყვარვარ, მეც მიყვარხარ და მომეშველეო. თავის ერთგულ დობილებს იგი ვობიასთან ახარებს:

„წადით, უთხარით ვობიას,  
მოვიდეს, ჩემთან იაროს!  
ან წამიყვანოს თავისთან,  
ან მომკლას, დამაიაროს!  
ინყუხას როგორ ვავეყვები,  
სული ვერ მიეთვისება,  
ის არის ჩემი რაინდი,  
გრძნობა სიამით იყვება!“

ეს პატარა, თითქოს უმნიშვნელო ეპიზოდიც ცხადად მოწმობს, რომ სანდრო შანშიაშვილი მტკიცედ დგას ეროვნულ ნიადაგზე და თავის შემოქმედებას ასაზრდოებს ქართული ეროვნული კულტურით.

სწორედ ქართულ ეროვნულ კულტურასთან და ფოლკლორთან მჭიდრო კავშირით შეძლო სანდრო შანშიაშვილმა თავისი სამიჯნურო-სატრფიალო ბალადებისათვის, კერძოდ, „დაღისათვის“ მიეცა ფართო სოციალური კლერადობა, სიყვარული განეხილა არა როგორც ორი ადამიანის კერძო, ინტიმური საქმე, არამედ

როგორც საზოგადოებისა და პირდაპირ ურთიერთობის პირდაპირი გამოხატულება. სიყვარული შეიძლება წმინდად ეთერული ვისუფალი იყოს მხოლოდ იქ, სადა ვისუფლებას. მაშასადამე, სანდრო შანშიაშვილის სატრფიალო-სამიჯნურო ბალადები გარკვეულ საზოგადოებრივ იდეალებს შეიცავდნენ და მიზნად ისახავდნენ პიროვნების განთავისუფლებას, ადამიანის ღირსების დეფენსასა და ამოღლებას. ამიტომაც მოიპოვეს მათ ფართო პოპულარობა, განსაკუთრებით „დაღმა“.

ამრიგად, სამივე ბალადაში სანდრო შანშიაშვილი ერთ პრობლემას — სიყვარულის და, საერთოდ, პიროვნების თავისუფლების პრობლემას აღძრავს და გვიჩვენებს მას სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა ასპექტში. საგულისხმოა, რომ მათგან „თუშაიას“ და „ლეილას“ მოულოდნელი დასასრული აქვს, განსაკუთრებით „ლეილას“. პოეტი პოულლობს ისეთ ნაზ და გამომსახველ ფერებს ბუნების წიაღში განმარტოებულ მიჯნური ქალ-ვაჯის სიხარულის, მათი ნეტარების ვადმოსაცემად და ისეთ იდილიურ სურათს ქმნის, რომ სრულებით არ ველით, თუ ამ ჰარმონიას, ამ იდილიას რაიმე დაარღვევს და ჰაერში სისხლის სუნი დატრიალდება. ამით „ლეილა“ ძლიერ მოგვაგონებს კლასიკურ ნოველას.

და მაინც, სანდრო შანშიაშვილის სატრფიალო-სამიჯნურო ბალადების მწვერვალად „კახეთის დედოფალი“ უნდა ჩაითვალოს. ეს არის ერთი უმშვენიერესი ლექსი მთელ ახალ ქართულ პოეზიაში. ე. წ. „კახეთის ციკლის“ სხვა ლექსებთან ერთად ამ ბალადამ ათქმევინა გამოჩენილ რუს პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ნ. ტინონოვს, რომ არ შემოძლია კახეთი წარმოვიდგინო შანშიაშვილის ლექსების გარეშეთ. არტისტიზმით შესრულებულ ლექსად მიაჩნია იგი ცნობილ ქართველ პოეტს და კრიტიკოსს შალვა აფხაიძეს. მისი სიტყვით, „კახეთის დედოფალი“



სანდრო შანშიაშვილს რუბენის ფუნჯით ხატავს კახეთის დიად სურათს. „ლექსი ავსებულა კახური რთველის თავბრუ-ღამხევეი სურნელებით. — წერს შემდეგ შ. აფხაიძე, — მასში ხალხური დღესასწაულის ფართო და ნათელი სურათია გაშლილი, სიცოცხლის მთელი ზეიმი ბრწყინავს“ („კრიტიკული წერილები“, 1959 წ., გვ. 190).

მართლაც რა ბრწყინვალე ფერებით ხატავს პოეტი კახურ შემოდგომასა და საქორწილო მზადებას „კახეთის დედოფალში“:

„მტკრიან თაროს ყანწებს ხსნიან,  
ძველ მარანში ქვევრებს ხლიან,  
ხარი დაკლეს, თხა წააკლეს,  
სხვა ზეარაკსაც სულსა ხლიან.  
ზოგნი ცეცხლსა აჩაღებენ,  
ზოგნი ლურჯსა სუფრას შლიან,  
ზოგმა მწვადებს მოუმარჯვა,  
ზოგნი თონეს ამოხდიან.  
შუადღისას საზეიმო  
დღესასწაულს გადიხდიან.  
დედოფალი დანიშნულა,  
ახლა სიძეს მოელიან“.

მაგრამ „კახეთის დედოფალი“ უპირველეს ყოვლისა მაინც სატრფიალოსამიჯნურო ბალადაა. კახური ბუნებისა და რთველის დაუფიწყარი, მართლაც რუბენის ფუნჯით შესრულებული სურათები დიდი აღამიანური გრძნობების მხოლოდ ფონია. ბალადის ავტორი ნამდვილი პოეტური შთაგონებით აღწერს დედოფლის სიხარულს ქორწინების დღეს. მის ვნებათა დღევას. დედოფლის ამ მკერდულ, ზეაწეულ განწყობილებას მხოლოდ წამით გაპკრავს სევდა — მას ავონდება პირველი ტრფობა, პირველი ამბორი, ავონდება ყრმა, რომელიც უყვარდა და რომლის ლალისფერ ბავეს საშუალოდ ეთხოვება.

დედოფალი ოღნავ შვერთა,  
ეს განცხრომა რას უქადის?  
პირველ ტრფობის ყრმა დასტოვა,  
ის აღარ ჩანს, მარტო დაღის.

ის ხომ მისი სატრფო იყო ყველელებში აშოობდა, მზიან თვალებს უცოცხელებში მასთან ტრფობას ამაყობდა“.

ძველის ეს გახსენება, როგორც ვთქვით, წამიერია. პირველი ტრფობა, პირველი გატაცება მოგონებად დარჩა. დედოფლის გულში მას არ დაუტოვებია ღრმა კვალი და მაყრიონის გამოჩენისთანავე მივიწყებას მიეცა: „დედოფალმა იცხო სიძე და ამბორით გადაუხენენ“. სიძე-დედოფლის სიხარულს ყველანი იზიარებენ, მექორწილეთა ლხინს საზღვარი არა აქვს. ზეიმსა და ღრეობაში იწურება დამეღება განთიადი. მაყორულად ეღერს მზის ამოსვლის, განთიადის ქება-დიდება:

„განთიადი მონარნარდა,  
მთები წითლად აიბურა;  
ალახანზე ნისლი გაწვა,  
ცივი ცვარი მოაკურა.  
გრილმა სიომ ძალდა მთიდან  
ზეიმისკენ მოაშურა“.

განთიადის ამ საგალობელში, სეერთო ზეიმსა და მხიარულებაში უეტრად გაისმის უცხო ხმა, თითქოს შეუფერებელ მოტივი: ბალადაში დისონანსად, მაგრამ საესებით ბუნებრივად იჭრება ღრმა სევდამ აღამიანისა, რომელიც დედოფალს შეტრფოდა და რომელიც ამიერიდან მარტო დარჩა გატრეებული სიყვარულის ამარად:

„მხოლოდ გონჯა დაღვრემილი  
იქვე ხესთან ატუზულა,  
მოწყვეტილა სიცოდავად,  
მძიმე ტანჯვით დათოთქულა.  
შეუძნეველად წუხს საბრალო,  
მის ცრემლთაგან გუბე ღებმა,  
და რად ტირის! რა აღონებს?  
ვის გმდერის, ან ვის სძრახავს?  
საიდუმლო ერთმა იცის,  
საიდუმლოდ შეინახავს.  
მას სიცილი დეკარვა,  
ლხენის კოკობს ველარ ნახავს

მისი სტივრი შემოდგომის  
უცნობ სევდას გამოსახავს“.

შეუძლებელია ეს სტრიქონები წაე-  
კითხოთ და ღრმა თანაგრძნობით არ გან-  
ვიმხვალთ გონჯასადმი, არ გაეზიაროთ  
მისი მწუხარება. თუ პირველი სიყვარუ-  
ლი დედოფლის მესხიერებას შერჩა, რო-  
გორც ცარიელი მოგონება, რომელმაც  
წამიერად გაიელვა და მაშინვე ჩაქრა,  
გონჯას გულში მან სამუდამო ბინა პო-  
ვა. და რა საკვირველია, იგი იტანჯებო-  
დებ, ცხარე ცრემლით დასტიროდეს გა-  
ცრუებულ იმედებს, დამსხვრეულ სიყვა-  
რულს. გონჯას ტანჯვას ბალადაში შეაქვეს  
ელეგიური მოტივი და მისი ღამამთავრე-  
ბელი აკორდები მკაფიოდ აღარ ვლუ-  
რენ. მხიარული ეპითალამია მოულოდნე-  
ლად გადადის მინორულ ელემენტში და  
ლექსის ბოლო სტრიქონები გაისმის, რო-  
გორც დაკარგული სიყვარულის ზარი,  
როგორც რქევიები.

ორი სხედასხვა, დაპირისპირებული  
მოტივის ამგვარი გადასვლა ერთი მეორე-  
ში გამოხატავდა პოეტის შეხედულებას  
წუთისოფელზე. მისი აზრით, ცხოვრება  
ადამიანისა — ეს არის ნათელისა და ბნე-  
ლის, სიკეთისა და ბოროტების განუწყვე-  
ტელი ბრძოლა. წუთისოფელი არც მარ-  
ტო სიხარულია და არც მარტო მწუხარე-  
ბა — ისინი არც ცალკე-ცალკე, გათიშუ-  
ლად არ არსებობენ, პირიქით, ისევე გა-  
ნუყრელად, ერთად მიაბიჯებენ, როგორც  
ადამიანი და მისი ჩრდილი სინათლეში.  
სიხარულს მწუხარება სდევს და მწუხარე-  
ბას კიდევ სიხარული.

საგულისხმოა, რომ საბჭოთა პერიოდის  
ბალადებშიც სანდრო შანშიაშვილი ამა-  
ვე პრინციპს იცავს. საკმარისია დავისა-  
ხელთ „შრომის გმირის ქორწილი“. ეს  
ნაწარმოები დაიწერა 1947 წელს, ე. ი.  
დიდი სამამულო ომის შემდეგ. კოლმეუ-  
რნე ქალის ქორწილში, საყოველთაო  
მხიარულების დროს, სიძე იხსენებს გან-  
ვლილ მკაცრ ბრძოლებს და წარმოთქვამს  
საფიდეგრძელის ომში დაღუპულთა პა-

ტივსაცემად: „იგონებს სიძე, ფეხზე იდგა  
თვით პატარძალი. ადათისამებრ აწვეთე  
ბა პურს ღვინო ლალი, „ხსოვნა ჩემი ვუძლე  
ჩურჩულებენ კაცი თუ ქალი“<sup>საქმისა</sup>  
ვად ცხადია, ამ განხილვას გარკვეული  
სეველიანი მოტივი შეაქვეს ბალადის მდინა-  
რებაში. მაგრამ აქვე ხაზგასმით უნდა  
აღინიშნოს, რომ „შრომის გმირის ქორ-  
წილში“ ძველი პრინციპი სრულიად ახალ  
სახეს იღებს. თუ აღრიდებულ ბალადე-  
ბში მწუხარება სიხარულის თითქმის  
ტოლფასოვნად ჩანდა, აქ იგი მხოლოდ  
ერთი მომენტია — იარების გამხსნელ სა-  
ხსოვარ-საღდეგრძელის კვლავ სიხარული  
ცელის — „ისევ სიმღერა... და ჩაღდება  
ცეკვა-თამაში“... ამით პოეტი ხაზს უს-  
ვამს ძველი და ახალი სინამდვილის რა-  
დიკალურ სხვაობას. საბჭოთა ადამიანის  
ცხოვრება მყარი ოპტიმიზმითაა გაცისკ-  
როვებულ და, თუ ზოგჯერ მწუხარება  
გარდუვალა, საბოლოოდ მაინც სიხარუ-  
ლი იმარჯვებს. ამიტომ ეპითალამია აღარ  
გადადის რექვიემში და ბალადის უკანას-  
კნელი აკორდებიც ისევე ხალისიანად  
აღერენ, როგორც დასაწყისში.

„ისევ სიმღერა... და  
ჩაღდება ცეკვა-თამაში...  
გარდ, ეზოში ტაშ-ფანდურო  
დიდ კაკლის ხესთან...  
სტუმრებისათვის წრე და  
არე არის მოცილი  
და განთიადზე პატარძალი  
იმ წრეში ცეკვავს,  
ცეკვავს და იღხენს  
მზის სხივებით გადაკოცნილი“.

ეს ზეიმი, ეს სიხარული, მიუხედავად  
გადატანილი მკაცრი ბრძოლებისა და  
მძიმე დანაკლისისა, რაც სამუდამოდ და-  
რჩა ხალხის მესხიერებაში, გამოხატავს  
საზოგადოების რწმენას თავის თავში,  
მის დაუცხრომელ მისწრაფებას პროგრე-  
სისაკენ, წინსვლისაკენ. სევდა, რომელიც  
ბალადაში იჭრება, არ შეიძლება იყოს  
სიხარულის ტოლფასოვანი ან თითქმის



ტოლფასიანი. იგი არ გამოუწვევია პიროვნების თავისუფლების შელახვას, საზოგადოების ძალმომრეობას. პირიქით, პოეტი ხაზს უსვამს, რომ ქალ-ვაყის სიყვარულს ჩვენს საზოგადოებაში აღარ ხედება დაბრკოლება, რომ იგი თავისუფალი გახდა. ქორწილი მიმდინარეობს როგორც მიჯნურთა, ისე მათი მშობლების, მთელი საზოგადოების სურვილითა და დასტურით.

სანდრო შანშიაშვილს, რა თქმა უნდა, მარტო სატრფიალო-სამიჯნურო ბაღაღები არა აქვს. ფართოდ არის ცნობილი მისი უბრწყინვალესი ისტორიულ-რევო-

ლუციური ბაღაღები „დედისერთს დასთან“, „ბაქოს კომუნარები“ და „რომლებშიც მთელი ძალით“  
იგი, როგორც ბაღაღის შესანიშნავი ოსტატი, დასანნია, რომ უკანასკნელ წლებში სანდრო შანშიაშვილი ძლიერ იშვიათად წერს ბაღაღებს. გეგვრა, რომ მიუხედავად ხანდაზმულობისა, პოეტი კვლავ გაიხსნებს თავის ერთ-ერთ საყვარელ ეანრს და ახალი მაღალმატერული ნაწარმოებებით გაამდიდრებს ჩვენს პოეზიას.



## საკიგონ ახელაღიანი

### აჭარის სახელმწიფო მუზეუმი

აჭარის სახელმწიფო მუზეუმი თავისი პროფილით წარმოადგენს სამეცნიერო-საკვლევ და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას. იგი დაარსდა 1908 წელს აჭარის პროგრესული საზოგადოებრიობის ინიციატივით და წარმოადგენდა მინიატურულ საბავშვო მუზეუმს, 1912 წლიდან კი გარდაიქმნა საქალაქო, ხოლო 1925 წლიდან — სახელმწიფო მუზეუმად.

1937 წლამდე დაბალ დონეზე იდგა მუზეუმის სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა, ამასთან მისი საქსპოზიციო განყოფილება ვერ ასახავდა ჩვენი მხარის ფაუნისა და ფლორის მდიდარ საუნჯეს. სუსტად იყო წარმოდგენილი აჭარის ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, კულტურა და ა. შ. „აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი საბჭოთა კავშირის 800 მუზეუმთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი და პრიმიტიული მუზეუმია“. — ვკითხულობთ მუზეუმის ფონდის მასალებში.

ამ ნაკლის გამოსწორება, რა თქმა უნდა, ერთი ხელის დაკვირვით არ შეიძლებოდა. მუზეუმის კოლექტივს ხანგრძლივი მუშაობა მოუხდა მის აღმოსაფხვრელად და დღეისათვის თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა. ასე, მაგალითად, თუ

1937 წელს მუზეუმს გააჩნდა მხოლოდ 2000-მდე ექსპონატი, ამჟამად იგი სამოცი ათასამდე ძვირფას ექსპონატს ითვლის. ჩვენ სისტემატურად ვაგრძელებთ და ესწავლობთ აჭარის ფლორასა და ფაუნას, მის ეთნოგრაფიას და თანამედროვე სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის საუკეთესო ნიმუშებს.

საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია მუზეუმის სამ ძირითად განყოფილებაში ექსპონირებული მასალები.

პირველ განყოფილებაში წარმოდგენილია რელიეფური რუკა, რომლის ირგვლივ განლაგებულია აჭარის გეოლოგიური წარსულის, ნიადაგების, ჰავის, მინერალური წყლებისა და წიაღისეულ სიმდიდრეთა გამომსახველი მასალები. ჩვენს მადლიან მიწაზე უწყვეტლად, წლის ყოველ დროში ჭევივის ხან ერთი და ხან მეორე ჯიშის ველური თუ კულტურული მცენარე. ეს განყოფილება მთავრდება აჭარაში ბინადარ ცხოველთა მდიდარი და მრავალსახიანი კოლექციით. აქვეა ჩვენი ბუნების ძეგლები, მცენარეთა რელიეფტები, სხვა ქვეყნებიდან შემოსული კულტურული მცენარეები და ცხოველთა იშვიათი ეგზემპლარები, ქამელეონი, თევზი ტუნცი, გველთევზა და სხვ. თბილი,

ზომიერი და ტენიანი ჩვენი ჰავა სიცოცხლეს ანიჭებს ყველა ქვეყნისა და კონტინენტის ცხოველებსა და მცენარეულობას.

მეორე განყოფილებაში ვეცნობით მდიდარ არქეოლოგიურ ნივთებს — პირველყოფილ ადამიანთა სამეურნეო და საბრძოლო ქვის, ბრინჯაოსა და სხვა ხასიათის იარაღებს, რომლებიც მოპოვებულია ამ უკანასკნელ პერიოდში წარმოებული გათხრებისა თუ შემთხვევითი აღმოჩენების გზით.

წარმოდგენილია აგრეთვე წარმართული დროის ცხოველის კერპი და ფალოური დანიშნულების (ადამიანის განყოფიერების ღმერთი ბრინჯაოს პატარა ფიგურების სახით) და სხვა საკულტო საგნები, დიდი ზომის სამსხვერპლო.

ჩამოთვლილ კოლექციათა შორის ყურადღებას იპყრობს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ნინო ბერძენიშვილის მიერ ხეუბნებში ნაპოვნი კაქის იარაღები და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ა. იოსელიანის მიერ საფლავში აღმოჩენილი ბრინჯაოსა და კერამიკის ნივთები.

სპეციალურ ვიტრინაში ექსპონირებულია ჩვენს წელთაღრიცხვამდე აქარაში ხმარებული მონეტების მდიდარი კოლექცია, მათ შორის კოლხური თფარი და სინაპის მონეტები.

ქვის ორნამენტიანი საგნებიდან აღსანიშნავია ხელოს რაიონის კალოთის, თბილვანისა და ვერნების ეკლესიების ქვაზე გამოხატული ბარელიეფი, ქართული ასომთავრული წარწერიანი ქვები, ამავე რაიონის სოფელ ოქტომბერში ნაპოვნი დიდი ზომის ქვის საკრფავი — კუმბი.

ამ დარბაზში ძირითადად თავმოყრილია ხიხანის ხეობის ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლები. ისინი ცხადყოფენ, რომ არტანუჯი IX საუკუნიდან წარმოადგენდა საქართველოს დედაქალაქს, ხოლო ხიხანის ხეობა აბუსერისძეთა ადმინისტრაციულ-კულტურულ ცენტრს. სხვა ნივთები და მხატვრული სურათები ასახავენ აქარაში ოსმალთა სამაჟსულიანი ბატონობის პერიოდს.

ეთნოგრაფიულ განყოფილებაში თავმოყრილია ძვირფასი საგნები, მათ შორის აღსანიშნავია ინტერიერი — სპეციალური ოჯახი და მაჭახლის ხეობაში ერთერთული ცივი და სასრაოლი იარაღების ზემოქმედებაზელი სახელოსნო.

ისტორიული განყოფილების ცენტრალურ დარბაზში წარმოდგენილია უხვა მასალები თემებზე: რუსეთთან საქართველოს შეერთება და სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა, აქარის განთავისუფლების შემდეგ კავიტალიზმის ზრდა-განვითარება ბათუმის ოლქში. ამ განყოფილების უკანასკნელ დარბაზში ექსპონირებულია საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლების მ. აბაშიძის, ე. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის, პ. აბაშიძის, გ. კაკიაციშვილის, ა. მიქელაძის, რ. ნიჭარაძის, ლ. ასათიანის, გ. ვოლსკისა და სხვათა ფოტოსურათები და ტექსტები. გამოფენილია აგრეთვე ღვაწლმოსილი მასწავლებლების, მსახიობებისა და ექიმების ფოტოსურათები.

მრავალფეროვანია მესამე განყოფილება, რომელიც ეძღვნება ჩვენს წარმატებებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის ფრონტზე. განყოფილების შესავალი ნაწილი და მხატვრული ფოტოსურათები გვაცნობენ აქარაში სამჭოთა ხელოსნეულების გამოჩვენებისათვის წარმოებულ რევოლუციურ ბრძოლებს.

ერთი დიდი ფარი მიეუძღვნება აქარის მრეწველობის განვითარებას 1921-1928 წლებში. აქ ეხედავთ კუსტარული და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ახალ საწარმოებს. სპეციალური კუთხე აქვს დათმობილი შეიღწელების პირაშოს „ელექტროკარს“, ელექტროტექნიკურ და ელექტრომეცლსაწყობების ქარხნებს. წარმოების პროდუქციასთან ერთად თვალსაჩინოდა ასახული მოწინავე ადამიანების — ნოვატორების, გამოგონებლებისა და კომუნისტური შრომის ბრიგადების საქმიანობა. რელიეფურად ჩანს გემსაშენი ქარხნის, სამკერვალო ფაბრიკისა და სხვა საწარმოთა მეგობრობა კუმბასთან, ჩეხოსლოვაკიასთან და სხვა სახალხო-დე-

მოკრატულ ქვეყნებთან. მათ ქარხნებთან. სსრ კავშირ-კუბის მეგობრობის კუთხეს ამშვენებს საბჭოთა კავშირის, კუბისა და საქართველოს სახელმწიფო აღმშენებელი.

სოფლის მეურნეობის ექსპონატი ასახავს საკომუნისტრო ცხოვრების ისტორიას. აქ წარმოდგენილია აჭარის სოფლის მეურნეობის პროდუქტები და წამყვანი კულტურები: ჩაი, ციტრუსი, თამბაქო, ვაზი.

თვალსაჩინო ადგილას მოთავსებულია აკადემიკოს ქ. ბახტაძის მიერ გამოყვანილი ქართული ჩაის ჰიბრიდები.

მხატვრული დიაგრამები და ციფრები გამოხატავენ ჩვენი სახელმწიფო მეჩაიეების გამარჯვებებს შრომაში. 1965 წელს მათ მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაიბარეს 31.259 ტონა მწვანე ოქრო. ე. ი. საშუალოდ თითოეულ ჰექტარზე მიიღეს 5.209 ცენტოგრამი ჩაის ფოთოლი. მოსავლიანობის ასეთი მაღალი დონე მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის. მოწინავეთა შორის გამოირჩევა ოჩსამურის საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიწია 7.007 ცენტოგრამი, ხოლო ცალკეული რგოლები და მეჩაიეები კიდევ უფრო უხვ მოსავალს იღებენ. ასე, მაგალითად, ბობოყვათელი სოციალისტური შრომის გმირის მ. ჯინჭარაძის ბრიგადამ მოკრიფა 6327 ცენტოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ამავე განყოფილებაში ნაჩვენებია სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მრავალმხრივი და ნაყოფიერი საქმიანობა.

მუზეუმის ერთი დიდი დარბაზი უკავია კულტურულ მშენებლობას აჭარაში. ექსპონატები გამოფენილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, დაპირისპირებით მუთლით. ფოტოსურათებზე აღბეჭდილია ძველი და ახალი სკოლა, სულის ყოფილი საავადმყოფო, როცა ავადმყოფები გადაკედილად ხარბიანი მარხილით, ახალი დიდი საავადმყოფოს შენობა და სასწრაფო დახმარების კომფორტაბელური მანქანა „ზიმი“.

ასეთივე წესით არის გაფორმებული დანარჩენი ფარებიც. გამოფენა მთავრდებ-

და სახალხო-ფემოკრატულ ქვეყნებთან ჩვენი სკოლების მეგობრობის ჩვენს მიერ ამჟამად მთავრდება ვეშაპის ჩინური ექსპონატი. რომელიც ეწყობა ვეშაპის ვეტერინის სახით სპეციალურ სტანციებში

მუზეუმის კოლექტივმა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა სამეცნიერო-საკვლევით მუშაობის დარგშიც. ამჟამად მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი ითვლის თავისუფ მენტ უნიკალურ ქართულ, რუსულ, სომხურ, არაბულ, სპარსულ, თურქულ და სხვა ხელნაწერს. ზოგიერთი მათგანი XVI საუკუნით თარიღდება და იშვიათობას წარმოადგენს.

მუზეუმმა მეცნიერ მუშაკთა ენერგიული შრომით გამოსცა ორმოცზე მეტი ნაშრომი, რომლებიც ეხებიან მეცნიერების თითქმის ყველა დარგს. მუზეუმი აქვეყნებს მეცნიერული შრომების კრებულს. წელს გამოვიდა უკანასკნელი, მე-6 ტომი. მათში დაიბეჭდა ორმოცდახუთი ნაშრომი სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე.

სამეცნიერო-საკვლევით მუშაობის შემადგომი განვითარებისა და ექსპონატების გამდიდრებისათვის მუზეუმი სისტემატურად აწყობს თემატურ და კომპლექსურ ექსპედიციებს.

გარდა ამისა, მოსახლეობაში მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის შეტანის მიზნით მუზეუმის თითოეული მეცნიერი თანამშრომელი აჭარის მოსახლეობაში სისტემატურად ატარებს ლექცია-საუბრებს. ამასთან კლუბებში, საბჭოთა მეურნეობებში, სკოლებში და სხვ. ეწყობა მოძრავი გამოფენები, რომელთა თემატიკას წინასწარ არჩევს და ამტკიცებს მუზეუმის სამეცნიერო საბჭო. ამ გამოფენებს ყოველწლიურად უჩვენებენ ასზე მეტ პუნქტში. წელს მუზეუმმა მოაწყო ახალი მოძრავი გამოფენები შემდეგ თემებზე: ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში, ბუნების დაცვა და სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი მოქმედებაში, რომელიც ასახავს აჭარის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის მიღწევებს.



საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით და აქტუალურ საერთაშორისო საკითხებზე რეგულარულად ეწეობა ერთდროული ფოტოგამოფენები საქდესისა და საქედის ფოტოკაზინების მასალების მიხედვით. იგი ივსება ახალი ადგილობრივი მასალებით.

მუზეუმის ექსპოზიციებს ათვლიერებენ არა მარტო საბჭოთა კავშირის ქალაქებიდან ჩამოსული მშრომელები, არამედ საზღვარგარეთელი სტუმრები და ტურისტები. ყოველწლიურად აზრდება დამთავალიერებელთა რიცხვი. მარტო 1963 წლის ოქტომბრამდე მუზეუმი დაათვალიერა 45 ათასმა კაცმა. ჩვენი ექსპოზიციები დამთვალიერებლებზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

მუზეუმის მუშაობას ხელს უწყობს მისი მდიდარი ბიბლიოთეკა. ჩვენი ბიბლიოთეკა აჭარაში ერთადერთი სამეცნიერო ბიბლიოთეკაა, სადაც დაცულია იშვიათი ბიბლიოგრაფიული წიგნები: ქართული, რუსული, სომხური, არაბული, სპარსული, თურქული, ბერძნული, ჩინური, ფრანგული. გერმანული და სხვ. ბიბლიოთეკა მომსახურებას უწევს აჭარაში სამეცნიერო დაწესებულებებსა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ მეცნიერ მუშაკებსა და სტუდენტებს.

ამჟამად მუზეუმი ემზადება გამოფენის მოსაწყობად აფხაზეთში. აფხაზეთის მშრომელებს უნდა ვუჩვენოთ აჭარის წარსული, აწმყო და პერსპექტივები. ნატურექსპონატებთან ერთად მოეწყობა მოძრავი გამოფენებიც.

მუზეუმის მუშაკებმა სკკპ XXII კონგრესის პლენუმის გადაწყვეტილებების ფუძველზე გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა. ექსპოზიციებში შეეიტანეთ ახალი თემები, ტექსტები, ფოტოსურათები, ნატურექსპონატები, მოეწყო ახალი მოძრავი გამოფენები და დამუშავდა ლექციებისა და საუბრების ტექსტები.

მუზეუმის შრომებსა და თემატურ-საექსპოზიციო გეგმებში შეტანილია ცვლილებები და ახალი მასალები.

ათვისტურ თემაზე მოწყობილ კუთხეს შეემატა ახალი მხატვრული სურათები და სხვა ფოტოდოკუმენტები.

აჭარის სახელმწიფო მუზეუმის წარმატებანი გახდა იმის საფუძველი, რომ სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ იგი აირჩია ამიერკავკასიის რესპუბლიკების — საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ისტორიულ და მხარეთმცოდნეობის მუზეუმების მეცნიერ მუშაკთა თათბირ-სემინარის ბაზად. ეს თათბირ-სემინარი ნოემბერში მოეწყო და მაღალ დონეზე ჩატარდა.

მუზეუმის კოლექტივი მოპოვებულ მიღწევებით როდი კმაყოფილდება. იგი მიზნად ისახავს კიდევ უფრო სრულყოფილად ასახოს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კულტურული მშენებლობა, მისი სახელოვანი ისტორიული წარსული, განუხრელად განახორციელოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი.





## გაზელი გაზისონია

### მეჭიბონე ქოჩახელა

ვინ მოსთვლის, რამდენი ხმატკბილი ქართული ხალხური საკრავი საუკუნეთა განმავლობაში სიამოვნებას ანიჭებდა, სიმხნევეს მატებდა შრომაში ჩვენს მამა-პაპათ. სამწუხაროდ, ზოგიერთი ხალხური საკრავი დავიწყებამიეცა, ხოლო ზოგიერთის, მაგალითად, ჭიბონის ხმას მხოლოდ ზემო აჭარის მაღალმთიან სოფელ ხიხაძირში თუ მოისმენთ.

ამ სოფელს ახასიათებს განსაკუთრებული ტრადიცია — იგი თაობიდან თაობამდე ინარჩუნებს წინაპართა ნაანდერძევ ხალხურ მუსიკალურ საკრავთა და ხალხური შემოქმედების ნიმუშებს.

სოფელი ხიხაძირი მთელ აჭარაში ცნობილი იყო მეჭიბონეთა სახელოვანი პლეადით (ხ. აბაშიძე, ე. სურმანიძე, ხ. ლომსანიძე, ს. ხალვაში, თ. აბაშიძე, მ. სურმანიძე და სხვები). ამ მეჭიბონეთა შორის ყველაზე გამოჩენილი და ამაგდა-

რი ხელოვანი ედემ სურმანიძე (ქოჩახელა) გახლდათ.

ხიხაძირში მისვლამდე ანკარა წყაროებით განთქმულ პატარა სოფელ ნადაბურში მცხოვრებ წერაკითხვის უცოდინარ გლეხს შეძედ სურმანიძეს ამ ასი წლის წინათ შეეძინა ვაჟი ედემი. მემედ სურმანიძეს სიღარიბის გამო მოჯამაგირეობა დაუწყია, მაგრამ სიღუბეჭირისათვის თავი ვერ დაუღწევია და, ბოლოს, ხიხაძირიდან ფეხით ჩასულა ხულოში, იქ მზარეთულად დადგომია ხიმშიაშვილებს. ედეემის მამა ყოფილა მომღზენი, ხუმარა კაცი, რისთვისაც ბეგების ოჯახს მალე შეეყვარებია. ხულოს ბეგებს — ხიმშიაშვილებს სოფელ მთისუბნის მახლობლად ჰქონდათ საშემოდგომო რეზიდენცია „ქოჩახი“. სწორედ აქ, „ქოჩახში“, ბეგების სასახლის ეზოში ხშირად იმართებოდა ჯირითი, ჭიდაობა, სიმღერები, ცეკვა-თამაში, შეჭიბრე-



ბა ოსუნჯობაში, რომელშიც ყოველთვის მემედი იმარჯვებდა. ოსტატური ენამახვილობით მას აღტაცებაში მოჰყავდა ყველანი. ბეგები და მათი კარისკაცები მემედს ზედმეტ სახელად „ქოჩახელას“ ეძახდნენ.

მემედი მრავალშვილიანი იყო და ხელმოკლედ ცხოვრობდა. ედეემი მისი უკანასკნელი შვილი გახლდათ. მას სკოლის კარები არც კი უნახავს. იზრდებოდა სოფელში. იზიარებდა გლეხის ყოველდღიურ ჭირ-ვარაშს. უსიხარულო ბავშვობა ჰქონდა ედეემს, მაგრამ მინც იმედით შესცქეროდა მომავალს.

ხიხადირში ძველითგანვე უყვარდათ ჭიბონი, სიმღერა და ცეკვა. ხანგრძლივი შემოდგომისა და ზამთრის დამეგებში თავს იყრიდნენ მოხუცები და ახალგაზრდები. ზოგს მოჰქონდა საკუთარი ლექსი და აცნობდა თავშეყრილთ. ზოგი კი თავის ლექსს უწყობდა სათანადო მელოდიას და მღეროდა. ასე კოლექტიურად იქმნებოდა სიმღერები. სოფლის ბიჭები სიამოვნებით უსმენდნენ ხულუს აბაშიძის მიერ ჭიბონზე შეხმატკბილებულად და ოსტატურად შესრულებულ ხალხურ სიმღერებს და საცეკვაო მელოდიებს. ასეთ მუსიკალურ გარემოცვაში მყოფ პატარა ედეემს ადრევე გაეღვიძა ხელოვნების სიყვარული. იგი გაცაცებით ისმენდა და სწავლობდა ხულუს აბაშიძის ჭიბონზე დაკვრის ოსტატობას. მას არ ასვენებდა აზრი, რომ ეს შესანიშნავი ხალხური საკრავი გაქრობის გზაზე იდგა. თი-

თქმის არავინ ზრუნავდა მსოფლიო პულარიზაციისათვის. სწორედ ამიტომ დაიწყო ედეემმა ამხსნა-შესწავლა-დაუფლება.


მოკლე დროში ედეემ სურმანიძე სოფლის საუკეთესო დამკვრელებს ტოლს არ უდებდა. თექვსმეტი წლისა უკვე ცნობილი გახდა სოფელ ტოლ-ამხანაგებში: ქორწილი, ნიშნობა თუ დღეობა ისე არ გაიმართებოდა ახლომახლო სოფლებში, რომ ედეემი იქ არ ყოფილიყო და თავისი მადლიანი მუსიკით არ დაეტკობ ხალხი.

ხელოვნების ასპარეზზე ახლად გამოჩენილ მეჭიბონე ედეემს თავისი უდროოდ გარდაცვლილი მამის უკვდავსაყოფად ზედმეტ სახელად ქოჩახელა შეარქვეს.

ქოჩახელას შემოქმედებითი ნიჭის ნამდვილი გაფურჩქვნა დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ეს იყო სრული დავაჟაციების პერიოდი. ვინ არ მოუხიბლავს მეჭიბონე ქოჩახელას თქმულებებს. ისტორიულ და იუმორისტულ ლექსებს, სიმღერებს, ყველაფერს ის ამბობდა რეჩიტატივად ჭიბონის აკომპანემენტით.

მალე ქოჩახელამ თავისი ხმატკბილი ოსტატობით ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.

დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ თბილისელი მაცურებელნი ქოჩახელას 1934 წელს ამიერკავკასიის ხალხთა პირველ ოლიმპიადაზე. ოლიმპიადაში მონაწილეობდა ხიხადირის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივი (ხელმძღვანელი



ასლან აბაშიძე). ქოჩახელამ საუკეთესოდ შეასრულა ჭიბონზე ხალხური ქართული სიმღერები. ცეკვა „ხორუმი“ და სხვა მელოდიები.

1937 წელს ქოჩახელამ, როგორც დახელოვნებულმა მეჭიბონემ, ხიხაძირელ მეხორუმე ქორეოგრაფიულ ჯგუფთან ერთად მონაწილეობა მიიღო საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადამი, რომელიც ქალაქ მოსკოვში გაიმართა. იგი იყო ქართველ მეჭიბონეთა ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი. მას დიდი წარმატება ხვდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი საინტერესო მოვლენაც: ქ. მოსკოვში, დეკადაზე ქოჩახელამ ხიხაძირელ მეხორუმე ჯგუფთან ცეკვისას თავზე ჭიბონი დაიდო და ვირტუოზული დაკვრით, ახალი საცეკვაო ილეთით განაცვიფრა მოსკოველი მაყურებელი. დედაქალაქის ბრესაში განსაკუთრებით აღინიშნა ქართული ხალხური საკრავის ჭიბონის თავისებურებანი და ქოჩახელას მაღალმხატვრული ოსტატობა.

ქოჩახელას მიერ ჭიბონზე შესრულებული მელოდიები ყოველთვის გამოირჩეოდა ღრმა მუსიკალობითა და გულში ჩამწვდომი ლირიზმით, აღბეჭდილი იყო მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალური თავისებურებებით. განსაკუთრებით საინტერესოდ ასრულებდა სიმღერებს: „ყარანია“, „აჭარული მაყრული“, „ჯიქური“, „სატრფი-

ალო“, „გორდელა“, „საპატარაილი/ მაყრული“, „ქალო შავო შეჯიქურული“ და სხვა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქოჩახელა შეიძენაირ „ხორუმს“ უკრავდა. ამ ცეკვის ყოველ სახეობას თავისი შინაარსი ჰქონდა. ისინი განსხვავდებოდნენ ერთიმეორისაგან ტემპით, დაწყებით, სვლებით, გასვლით და მუსიკალურ-მელოდიური შესრულებით.

გადიოდა წლები... ხანდაზმულა ქოჩახელა კვლავ დაუღალავი ენერგიით მონაწილეობდა დათვალიერებებში, კონცერტებსა და კონკურსებში, ამასთან ყოველთვის უმაღლეს შეფასებას იმსახურებდა. მხატვრული თვითმოქმედების განვითარების დარგში თვალსაჩინო და ნაყოფიერი მუშაობისათვის იგი არაერთჯერ იყო დაჯილდოებული საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით.

ქოჩახელას დიდი დამსახურება ისიცაა, რომ მისი მზრუნველობით გამოიწროთ და გამოიზარდა ბევრი ოსტატი მეჭიბონე, მათ შორის მ. გორგაძე, ვ. აბაშიძე, ყ. სურმანიძე, დ. გორგაძე, რ. სურმანიძე და სხვ., რომლებიც დღეს მხარში უდგანან აჭარის მხატვრულ თვითმოქმედებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქოჩახელას აღზრდილი მეჭიბონე მეთიალი გორგაძის ღვაწლი. იგი პირნათლად ატარებს ბიძისა და მასწავლებლის ქოჩახელას სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო



წარმომადგენლის საპატიო სახელს.

ქოჩახელა გარდაიცვალა ოთხ-  
მოცდათექვსმეტი წლისა, 1957  
წლის ნოემბერში. დიდი ვლოვა  
გამოიწვია ზემო აჭარაში, მეტადრე  
კი ხულოს რაიონში ამ ხალხური  
მუსიკოსის სიკვდილმა. იგი დაკრ-  
ძალულია სოფელ კვატიაში.

ქოჩახელას რვა ათეულ წელზე  
მეტი ხნის განმავლობაში ხელიდან  
არ გაუშვია თავისი საყვარელი საკ-  
რავი და დამსახურებულად დაიმ-  
კვიდრა შესანიშნავი ხელოვანისა  
და ჭიბონზე განუმეორებელი და-  
მკვრელის საპატიო სახელი. დიდაა  
აგრეთვე მისი დეაწლი ქართული  
მუსიკალური ფოლკლორისა და

საკრავთა ხელოვნების შეს-  
სა და განვითარების საქმეში. ქოჩ-  
რედ ანის გამო აჭარის მუხრანული  
რი საზოგადოებრიობა ხალხურ  
მუსიკოსს ქოჩახელას მაღლიერე-  
ბით და სიყვარულით იხსენიებს.  
დასანანია, რომ ამ სახელგანთქმუ-  
ლი, მაღალნიჭიერი მეჭიბონის სა-  
ფლავი დღემდე კეთილმოუწყობე-  
ლი და მოუვლელია.

ჩვენი სასიქადულო ხელოვანი  
იმის ღირსი კი არის, რომ მივიწყე-  
ბული მისი საფლავი კეთილმოეწყ-  
ყოს და ბატარა მემორიალური და-  
ფაც გაუკეთდეს. ამისათვის უნდა  
იზრუნოს აჭარის ხალხური შემო-  
ქმედების საოლქო სახლმა.

✍

## აზიზ ახვლედიანი

### პეტი ხალხური ლექსის გეგმა

აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერების ნიმუშები ლექსად, რომლებიც ცალკეულ სახალხო გმირთა მოღვაწეობას ასახავენ, არცთუ ისე ბევრია. ისტორიის ქართველს და ისეთ მკაცრ გამოცდელს, როგორც დროა, ვერ გაუძლო ბევრმა მათგანმა და მხოლოდ რამდენიმე ლექსმა მოადგია ჩვენამდე. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისტორიული ხალხური ლექსი ჩახლოლღიზე.

ვინ იყო ეს ჩახლოლღი, რომელზეც ხალხმა საგანგებოდ შეთხზა ლექსი — სიმღერა?

ჩახლოლღის ნამდვილი ქართული გვარი ყოფილა ბერიძე (იხ. ზ. კიკინაძე, ქართ. მაჰმ. ცხ. 1916, გვ. 5). ამავე გვარით იხსენიებენ მას, როგორც ისტორიულ პირს, ჯ. ნოღაიდელი, ვ. იაშვილი, ხ. ახვლედიანი და სხვ.

გვარი ჩახლოლღი აჭარაში სულ უკანასკნელ დრომდე ბევრგან გვხვდებოდა: ჭროლა და წვრილთვალეზიან კაცს, ჩვეულებრივ, ასეთი გვარით ნათლავდნენ ხოლმე (ჩახლოლღი ქართულად ტურის შვილს, ტურიაშვილს ნიშნავს). მას ხშირად ზვარელსაც უწოდებდნენ („ივერია“, 1895 წ., № 88). მისი სახელი მეშველია და მეშველ ბაირალტარის სახელითაც

გვხვდება ზოგიერთ წყაროში (იხ. „აქტები“, V, რუსულ ენაზე, გვ. 832). ამავე ადასტურებს თვით ლექსიც, სადაც ჩახლოლღი მოხსენებულია, როგორც ბაირალტარი. ყველა ცნობის მიხედვით, იგი ქედიდანაა. ერთნი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას ს. ზვარედან თვლიან (იხ. აგრეთვე გ. ყაზბეგი, აჭარის შესახებ, გვ. 112), მეორე გადმოცემის თანახმად იგი „ქვედა აჭარელი სოფ. ბზუბზუელი ყოფილა“ („ივერია“, 1877, № 13).

რა პერიოდში ცხოვრობდა ჩახლოლღი?

როგორც ირკვევა, იგი ცხოვრობდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. იგი სელიმ და ახმედ ხიმშიაშვილების დროის მოღვაწეა. ამას ადასტურებს როგორც ხალხური გადმოცემები (აჭარის სახ. მუზეუმის ფონდი № 241, გვ. 39 და სხვ.), ისე თვით მასზე შეთხზული ლექსი, სადაც ნათქვამია:

აი გიდი ჩახლოლღი  
 ერთი ხანად გიქროდა ქარი,  
 ოლქაობა შემოიღევ,  
 ხომ არ ქენი კაი ქიარი,\*  
 ფაშას ყულე დაუქციე.  
 მოუკიდე ცეცხლის აღი!

\* ქიარი — სარგებელი, ხეირი.

ეს სელიმ ფაშამ შეიტყო.  
ჯაგრისგან შეიქმნა მთურალი.

ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ ჩახალოღლს ფაშისათვის ყულუ (სასახლე) დაუნგრევიდა. ეს ფაშა სელიმია. ხალხური გადმოცემებით ვიცით, რომ მღელვარებას ჩახალოღლის მეთაურობით სწორედ სელიმის დროს ჰქონია ადგილი, ე. ი. XIX საუკუნის დამდეგს. ზ. ჭიჭინაძის წიგნში „ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება“ ვკითხულობთ: „ჩახალოღლი მტრად წაჰკიდებია ზენდიდელ ზეგ ზეჟანიძეს და იგი ჩაქვეში გადაუსახლებიათ. სწორედ ეს გამხდარა მიზეზი მისი ტყვეში გაუარდნისა. მას იქ შეუტყრებია 100 მეტი კაცი და ბევრს ზეგიებს დაუქციებს ქვეითკირის სახლები და ამით შეაშინეს ისინი სასტიკად. ...მისი შიშით ზეგები აჭარაში ვეღარ დგებოდნენ“ (გვ. 4). აქედან ნათელი ხდება, რომ ჩახალოღლი XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოწყობილ გლეხთა მღელვარების მეთაური ყოფილა, მღელვარებისა, რომელიც აჭარაში კლასობრივი ანტაგონიზმის მკაფიო გამოვლინება იყო.

ზეტრე უმიკაშვილი, ეხება რა სელიმ ხიმშიაშვილის დროს მომხდარ ამბებს, კერძოდ, სელიმის გამაგრებას ხირხათის ციხეში და შემდეგ მის დასკას, ამბობს: „ეს ქვემოხსენებული ახლაც აჭარაში ხამდერი ლექსი, მერისის მცხოვრებლის სიტყვით დაწერილი. ეგონებთ ამ არეულობის დროს უნდა ეკუთვნოდეს“. ხოლო ს. მესხი ამავე ამბების გადმოცემისას წერდა: „...შემდეგ (1807 წ.) ფაშა (სელიმ ფაშა — ა. ა.) კიდევ ახალქალაქს წავიდა. რუსის ხომალდები მოსულა კემხელსა. უსუფ-ფაშის ჯარი დაუმარცხებიათ რუსებს ყარსს. 21 თებერვალს ბათუმისკენ რუსის ხომალდები მოსულან. ამ დროს იყო თუ ცოტა შემდგომ ჩახალოღლები აჭარაში აესიენ და ფაშის კოშკს ცეცხლი მისცეს და დასწვეს. მაშინ უთქვიათ ეს ლექსი („დროება“, 1879, № 235). ამ ამონაწერიდან ყურადღებას იპყრობს ის, რომ ნათქვამია ჩახალოღლები, რაც

საშუალებას გვაძლევს დავასკვნოთ, რომ იგი მარტო არ ყოფილა, მას ახლოდნენ ძმებიც. ლექსში ხომ ლაპარაკობენ მათზე, რომ ჩახალოღლი:


ფაშის კონახში ვერ დადგა,  
ვალეს ამოვიდა მფრთხალი,  
ორღობეში მტერი დახვდა,  
ვეღარ მოიხმარა ხმალი,  
ფიშტოები დაუწყვილეს,  
ააღინეს ცეცხლის ალი,  
სამივე იქვე დახოცეს,  
ორი ძმა და ბაირალტარი.

ამ მზრივ საინტერესოა ლექსის ერთი სტეა ვარიანტიც, სადაც ნათქვამია:

ჩახალოღლთა ფაშა ნახეს,  
მათ (?) გვარდათ ორივე თვალი,  
ფიშტოები დაუწყვილეს,  
ააღინეს ცეცხლის ალი,  
სამივე ერთად ამოწყვიტეს,  
ორი ძმა და ბაირალტარი,  
ორღობეს შუა ეყარნენ,  
მიუღღღეს ის საბრალო მკვდარნი.\*

ამგვარად, ვარიანტთა შედარებით და გაანალიზებით ცხადი ხდება, რომ ყოფილა სამი ძმა ჩახალოღლი, რომლებიც სელიმ და ახმედ ხიმშიაშვილების დროს ცხოვრობდნენ. მას შემდეგ, რაც სელიმ ფაშამ მოაწყო „ოქტობა“, რომელიც მიმართული იყო საერთო მტრის — ოსმალბობის წინააღმდეგ, მან „ჩახალოღლი დაიბარა და იმისი ბაირალტარი“. საფიქრელია, რომ ერთ-ერთი ამ ძმათაგანი არის სწორედ ის დაახლოებული პირი სელიმისა, რომელმაც, როგორც ეს აღიარებულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, შემდგომში უღალატა სელიმს და მტერს მისცა ხიხანის ციხის გასაღები. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ვარაუდია და გადაწყვეტილ არის თქმა ჯერჯერობით, საჭირო მასალების უქონლობის გამო, შეუძლებელია. არსებულ ვარიანტთა შესწავლა კი ცხადყოფს, რომ წარსულში ჩახალოღლებსა და მათ საქმიანობაზე არსებულა რამდენიმე სახალხო

\* ხალხური სიტყვიერება. წ. I, ეჭ. თა-  
ყაიშვილის რედ. გვ. 421.



ლი დეტალითაა გაპირობებული, რაც ემოციურს ხდის მის.

ჯ. ქათამაძე გულწრფელ სტრიქონებს უძღვნის დიდ აღამიანურ გრძნობას — სიყვარულს. იგი თითქოს შიშობს კიდევაც — ჩქარა და უნებლიედ არ გაუფრინდეს სულღერი და ფიზიკური ძალეულის გაფურჩქნის წლები, ახალგაზრდული წლები. პოეტის სატრფიალო ლექსებიდან გულწრფელობით, სინატიფითა და ჩანაფიქრით გამოირჩევა „ჩქარა“, „მეგობარო, მომე ხელი“, „დანდობა“, „დედისერთა“, „წამოიწყო თოვა“ და „ციცინათელა“.

ზღვისპირელი ახალგაზრდა პოეტი გატაცებულია ზღვით, იმ წარმტაცი პეიზაჟებით, რითაც მდიდარია ბათუმ-ქობულეთის სანაპიროები. ამ თემისადმი მიძღვნილი ლექსებიდან შედარებით უყვებესად გვესახება „ზღვა და პოეტი“, თუმცა ისიც ხრულყოფილი არაა და, ალბათ, დიხხანს ვერ დარჩება ჩვენს მესხიერებაში.

ჯ. ქათამაძის საუკეთესო ლექსები ლაკონიური, მსუბუქი და მუსიკალურია, თითქოს სასიმღეროდ შექმნილნი. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ზოგიერთ მის ლექსს მღერიან კადევაც.

რა თქმა უნდა, არ არის ისეთი პოეტი, რომელიც ყველა ლექსს თანაბარი ძალით წერდეს. მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა ხელოვანის საკუთარი, სხვისაგან განსხვავებული ხმა და ფერი. ჯ. ქათამაძეც ცდილა საკუთარი პოეტური ხმა შეემუშავენინა, რასაც აღწევს კიდევაც ბევრ

ლექსში. სამწუხაროდ, ზოგიერთ მის ლექსი საერთო ნაკადში მარჯვენა მხარეს კარგავს თავისთავადობას, რისთვისაც პატარა მდინარე, როცა იგი დიდ მდინარეს შეერთვის. ამ მხრივ ახალგაზრდა პოეტს დაძაბული და ფიქრიანი მუშაობა მოეღოს. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ მისი ლექსების ერთი ნაწილი პრიმიტიულია, აკლია გამოკვეთა და პოეტური სურნალი („ყვავილი“, „სიყვარულს როდი გთავაზობ“, „მე მიყვარს ერთი ბილიკი“, „გაზაფხულდა“, „ჩიტი“ და სხვ.).

ჯ. ქათამაძე მზარდი და ნიჭიერი პოეტია. ჩვენი გულწრფელი რჩევაა უფრო მეტი მონდომებით იმუშაოს ყოველ ახალ ლექსზე, ისე, რომ თვითეული მათგანი მართლაც ახალი იყოს ფერითაც და ხმითაც. ერთი ხელის დაკვრით არაფერი კეთდება. ხელოვანი იზრდება და ოსტატდება თანდათან. მაგრამ არა გულზე ხელის დაკრევით, არამედ დაუღალავი, დაყინებული შრომით. აკი თვითონვე ამბობს ახალგაზრდა პოეტი: „მეგობარო, მომე ხელი, სანამ მიცემს გული წრფელი“, თორემ მერე და მერე ძალა გამომეღევა და ფერიც გამოხუნდებაო. ჯ. ქათამაძეს სწორედ ახლა შესწევს უნარი, ახლა აქვს მჩქევნარე ძალა დაძლიოს ნაკლოვანებები, დაეუფლოს მაღალ პოეტურ ოსტატობას. „ზღვა და სიყვარული“ ამ გზაზე მხოლოდ ნაპერწყალია, ხოლო ალი აწ უნდა აენთოს. ეს კი მთლიანად დამოკიდებულია ავტორის კეთილსინდისიერ მუშაობაზე პოეტური ოსტატობის დაუფლებებისათვის.

ა. ომერიძე.





## მთა რწყა

### მლიქვნელების გასაჭირი

**კალისტო** — ასეა, ჩემო სარდიონ, ვინც ვარგა, მტრებიც ეყოლება, თორემ ილარიონისთანა დირექტორი ვის ჰყავს?

**სარდიონი** — ჰოდა, ქე გამოიძახეს... გამოიძახეს და აგერ, ნახავ, ყველაფერი გამოირკვევა...

**კალისტო** — შენ რა, ილარიონს წუნობ თუ?

**სარდიონი** — მე კი არ ვწუნობ, სარდიონ, ზევით წუნობენ... ხალხი წუნობს... აბა, ვის უნდა მექრთამე და გაფუჭებულნი!..

**კალისტო** — კაცო, არ გადამრიო შენ! ამხანაგ ილარიონის ძვირს ჩემთან როგორ ბედავ! კაცს აწინაურებენ და...

**სარდიონი** — ტყვილა ხხარჯები, ჩემო კალისტე, აწინაურებენ კი არა, ტყავის გასაძრობადაა გამოძახილი... ჩვენი დირექტორი მალე ამხანაგი ჰიპოტიონი იქნება... და კიდევ ეკუთვნის... ეს აქამდეც ასე უნდა, მომხდარიყო!..

**კალისტო** — ჰიპოტიონი?.. სწორედ ჰიპოტიონის მოსაძრობადაა გამოძახილი ამხანაგი ილარიონი... ილარიონის ავტორიტეტს ჰიპოტიონი უთხრის ძირს...

**სარდიონი** — როგორ ცდები, რომ იცოდეს!.. ამხანაგი ჰიპოტიონი ილარიონის

მოდგილე უნდა იყოს?.. ამხანაგ ჰიპოტიონს ილარიონი ფეხს უნდა უბაყუნებდეს? იცი, ჰიპოტიონს რამხელა განათლება აქვს? კაცს ენციკლოპედია აქვს წაკითხული და ილარიონი მიეტოლება?

**კალისტო** — სარდიონ, არ ინანო დღევანდელი შენი სიტყვები, მალე ილარიონი მინისტრის სკამზე რომ წამოსკუპდება, არ შეგრცხვეს...

**სარდიონი** — მე რატომ შემრცხვება, მინისტრად მე ხომ არ ვნიშნავ?..

**კალისტო** — შენ გგონია, ილარიონი მინისტრად რომ დაჯდება, აქ ჰიპოტიონს გააჩერებს?

**სარდიონი** — ჰიპოტიონს რა სჭირს ილარიონის დასატოვებელი? კაცი მალე დისერტაციას დაიცავს... მერე იცი, ზევით რამხელა კედელი ჰყავს?.. ამხანაგ ჰიპოტიონს დაუსვამს საკითხი ილარიონის მოხსნის შესახებ. ილარიონი ამიტომაცა გამოძახილი!..

**კალისტო** — (დაფიქრდა) სარდიონ, ეს ვინ გითხრა?

**სარდიონი** — ეს რამდენი ხანია, ვიცი..

**კალისტო** — არა, მე იმას კი არ ვამბობ, რომ ამხანაგი ჰიპოტიონი განათლებით ილარიონს არ სჯობია-მეთქი...



სარდიონი — შენ ჭიპიტონზე უარესიც კი იქვე. ახლა შეშინდი?

კალისტო — სარდიონ, როგორ გეყადრება, მე ჭიპიტონის ცუდი წამომცდენია?.. ის კი არა. სულ ვფიქრობდი, ამხელა ცოდნა რომ აქვს, დირექტორის მოადგილედ როგორ იცდის-მეთქი... სულ იმაზე ვოცნებობდი, იქნებ რითიმე დამოუკურო-მეთქი.

სარდიონი — ამას ახლა ამბობ, რომ გაიგე — ილარიონის საქმე შავად მიდის...

კალისტო — ბიჭო, შენ გვცდიდი, თორემ სახელგატეხილ ილარიონს ოქროსათვის ჭიპიტონს შევადარებდი?..

სარდიონი — ვერა, ვერ დაიჯერებ მაგას... და ჩემს ვალდებულებად მიმაჩნია, ეს ყველაფერი მოგხსენო ამხანაგ ჭიპიტონს.

კალისტო — (შეშინდა) სარდიონ! შენ რად გვირდება ეს? ჩემი ხუმრობა ნუთუ ვერ გაიგე?

სარდიონი — შენ კი არ ხუმრობ. შენ ლაყბობ ამხანაგ ჭიპიტონზე, შენ სახელს უტეხ უმწყევლო თევდადებულ მუშაკს...

კალისტო — სარდიონ, ვიხუმრე, კაცო, შეილება ვფიცავარ... როგორ შეიძლება მე ილარიონის დამცველი ვიყო?.. კაცო ასევე მონახსენი და პასუხისცემანი ნამყოფია... მინისტრად ვინ დანიშნადა! განა ეს არ ვიცოდ?

სარდიონი — შენ ასე არ გითქვამს... და მეც არაფერს არ დაფარავ...

კალისტო — კაცო, აღამიანი არა ხარ? ჩემი შეილების ცოდვანი დგები? გინდა ოჯახი დამიქციო?

(შემოდის ვარდენი)

ვარდენი — გამარჯობათ, კენტლმენებო!.. ახალი ამბები არ იცით?

კალისტო — რა იყო, ვარდენ, რა მოხდა?

ვარდენი — ბიჭო, ჭურში ზიხართ, თქვე ოჯახჭორებო?

სარდიონი — შენ რა გაიგე მაინც?

ვარდენი — ჩვენი დირექტორის ამბავი არ გაგიგიათ?

სარდიონი — ჰო, რა იყო?

ვარდენი — აჟ!

კალისტო — ა?

ვარდენი — ახლა იგი უკვე სხვა სხვადასხვა

კალისტო — როგორ?

ვარდენი — გაწელეს!..

სარდიონი — ხომ ვამბობდი? კიდევ ბევრს ეტარება ყოფა.

ვარდენი — რაო? შენ რას ამბობ, თუ იცი?!

კალისტო — მე არ ვამბობდი? ვინაა ილარიონის გამფუქებელი! ილარიონი ჩვენი სული და გულია!..

ვარდენი — ა, ყოჩაღ! ერთი-ორად დაგიფასდება ეს ერთგულება... (სარდიონს) ესე იგი, შენ ამბობდი, რომ...

სარდიონი — არა, მე ცუდს, არას ვამბობდი, მაგრამ თავს ვიკავებდი... ილარიონზე ცუდი ხმები დადის...

ვარდენი — ანდაზა ამბობს... ვისაც ასი კაცი ავიწყებს, ის ას კაცად ღირსო.

სარდიონი — არაა სწორი ყველა ანდაზა...

ვარდენი — მე ანდაზებს არ ვამოწმებ, მაგრამ ამხანაგ ილარიონის აუგად ხსენებას ვერავის დაფანებები!.. ვერც ვიტან მე მაგ კაცზე ცუდის გაგონებას!.. მე... ილარიონის პიროვნებამ შთაგონება მომცა, მასზე უკეთესი კი შეუეთხზა... და შევთხზე კიდევაც... „ილარიონიანი ანუ ქებათაქება ილარიონს“. ამას მალე კედლის გაზეთში ნახათ (ამოიღო და კითხულობს).

დიდო მოღვაწე, დირექტორად

მოვლინებულო,

გამოძახილო და მინისტრად —

გამზადებულო...

ილარიონო, ჩვენო ღმობო, ოხ, ილარიონ,

შენი შიშისგან მტრები წელში

მოხრილარიონ...

კალისტო — ყოჩაღ, ვარდენ... მაგ ლექსში ჩემი სული და გულია ჩაქსოვილი...

ვარდენი — (განაგრძობს) არ დაევიწყებთ, ილარიონ, რაც

გავგვიყოფ,

დირექტორობით რაც გვიყავი დიდი

სიკეთე.

ჩვენს ოჯახებზე რომ ზრუნავდი, გეყავი მამაღა.



იყავ მომსლენი, მოქეფე, კარგი  
თამადა...  
ოხ, ილარიონ, ილარიონ, ოხ,  
ილარიონ,  
შენი შემყურე მტრები წელში  
მობრლიარიონ!..

კალისტო — ვაშა, ვარდენ, ვაშა! ცა-  
რიელი ნიქი ყოფილხარ!

ვარდენი — ხომ კარგი გამოივიდა?  
სარდიონი — ო, რას დაგაწინაურებს  
ახლა ილარიონი!

ვარდენი — მე დაწინაურებას არ ვეძებ.  
მე ვთქვი სიმართლე! არ შემეძლო ეს არ  
მეთქვა, ჩემი გრძნობები არ გამოიხატა!..

კალისტო — მართალია... მეც ვცადე  
კალამი ილარიონის შესამკობად, მაგრამ  
არ ვიცი როგორი გამოივიდა. რა გქნა,  
კაცო, არ შემოძლია ლექსის წერა, თორემ  
ილარიონისათვის თავს დავზოგავწ. წა-  
გვიკითხავთ და, თუ არ მოგეწონოთ, არ  
გამამკლავნოთ... (კითხულობს)

ილარიონ კონტრატოვიჩ,  
კონტრატოვიჩ ილარიონ,  
სულ წინ მიდის ჩვენი საქმე,  
რაც შენ ვეყავხარ დირექტორად...  
თუ მინისტრად გამოდევნი,  
მაშინაც ხომ მთლად გავკეთვით,  
გამოდგები, როგორ არა,  
მინისტრი ხარ შენ ნამდვილი!..

ვარდენი — ეს თეთრი ლექსია... ამხე-  
ლა კაცზე თეთრი ლექსი რატომ დაწერე?

კალისტო — არ ვარგა ხომ? სითეთროთ  
რა უჭირს, კაცო, შავი თუ არაა?

სარდიონი — შენი ლექსი უკეთესი იშო-  
თაა, რომ ილარიონი მამის სახელით გყავს  
მოსხენებული...  
კალისტო — ა, ყოჩაღ, როგორ შენიშ-  
ნე?

სარდიონი — ამას ვაკვირდები, რო-  
მელი უკეთესი მლიქვნელი ხართ...

ვარდენი — რაო, კაცო, რაო? მლიქვ-  
ნელი? შენ ყურობ, ამას, კაცო?

კალისტო — ნეტა, არ გამეგონა!..

ვარდენი — ესე იგი, თუ ჩვენს საყვა-  
რელ ადამიანს მივუძღვენით ჩვენი გუ-  
ლის ნადები, ეს მლიქვნელობაა, არა?  
არა, ამას ვერ მოვითმენ!

კალისტო — კარგი, ეს ექთო...  
ტიოთ!..

ვარდენი — არა, ილარიონ კონტრატო-  
ვიჩზე ასეთ უსულგულო ლაპარაკს  
ვერავის ვაპატიებ!..

სარდიონი — აბა, აგერ, კიბიტონი  
მოდის და ახლა ერთი მაგიე ვალოკეთ...  
(შემოდის კიბიტონი)

კიბიტონი — გამარჯობათ, აქ რას აკე-  
თებთ. მუშაობას თავი დაანებეთ, ხომ?

ვარდენი — აგერ, ვკამათობდით, პა-  
ტივცემულიო...

კიბიტონი — რაზე კამათობთ, ახლა  
დირექტორი რომ მოხსნეს, ამიტომ საქმე  
არა გაქვთ?

კალისტო — მოხსნესო?!

ვარდენი — დირექტორი — ილარიონა?  
კალისტო — ეს ნამდვილია?

კიბიტონი — კი, პასუხისგებაშია მი-  
ცემული...

ვარდენი — აიტ, მი მამაძალო!

კალისტო — ეტარი ხომ ყოფა? და-  
ადგა ხომ საშველა?

სარდიონი — თქვენ არ იყავით, ახლა  
ქება-დიდებას რომ ასხამდით?

კალისტო — ვინ? მე? მე და ილარიო-  
ნის ქება? დედა, დედა, ამას რას მოვეს-  
წარით! ვინ გეოშველა, ვინ გვიხსნა იმ  
ურჩხელისაგან?

ვარდენი — მე მგონია, ეს კიბიტონ  
ელიზბაროვიჩის დამსახურებაა!

კალისტო — მეც ამას ვფიქრობ... ნამ-  
დვილად ასეა, თქვენი მუხლების კირიმე,  
კიბიტონ ელიზბაროვიჩ, ჩვენი მხსნელი!..

სარდიონი — ასე რამ დაგავლახათ, კა-  
ცო, რამ გავაფუჭათ?

ვარდენი — როგორ, შენ კიბიტონ ელი-  
ზბაროვიჩი არ გსიამოვნებს თუ?

სარდიონი — ეპ, რა უნდა აკეთო ამი-  
სთანა ადამიანებთან! თქვენ არ იყავით,  
კიბიტონს რომ აგინებდით?

ვარდენი — კიბიტონ ელიზბაროვიჩ, ეს  
ამხანაგი, როგორც ჩანს, დიდი ინტრიგა-  
ნი უნდა იყოს! ახლა უნდა ჩვენს შორის  
უთანხმოება ჩამოავდოს!

კალისტო — ნამდვილია მაგი!  
სარდიონი — არაფერიც, მაგრამ ვერ

ვიტან თქვენისთანა ხალხს... წედან თქვენი  
ჰიპოტიონს მიწას უთხრიდით...

ვარდენი — ა, შეხედე, კაცო! რა ინ-  
ტერესი აქვს, სად ვაგონილა ასეთი თაღ-  
ლითობა!

ჰიპოტიონი — კარგით, კაცო, რა საჭე-  
როა ან ერთი ან მეორე... საქმეს მოე-  
კიდოთ ხელი!

ვარდენი — მართალი ბრძანდებით. ჰი-  
პოტიონ ელიზბაროვიჩი, მართალი, მარა  
(ხმაში ტირილი გამოურია) კაცს, რომელ-  
საც თქვენი სიყვარულით მიცემს გუ-  
ლი... რომელსაც ჰირივით მძულს ავად  
სახსენებელი ილარიონი, ეს რატომ ვერ  
უნდა შეშინონ? რატომ?

კალისტო — გელაბარაკები, ილარიო-  
ნის სიძულვილით დამე არ მძინავდა.

ვარდენი — კაცო, მე საამისო ნიჭი ვინ  
მომცა, მარა ამდენი ხანია იმ წყევულზე,  
იმ თაღლითზე, იმ მექრთამზე, იმ ყოფა-  
ცხოვრებაში თავაშვებულზე, იმ ბიუ-  
როკრატზე, იმ პირწავარდნილ ილარიო-  
ნაზე რამდენი ხანია სატირა მაქვს დაწე-  
რილი და ჯიბით ვატარებ...

სარდიონი — სატირა თუ ქება-დიდე-  
ბა?

ვარდენი — ე, ბიჭო, რას ამბობს, კა-  
ცო! (ჯიბიდან ქალაღი ამოიღო) ჰიპო-  
ტიონ ელიზბაროვიჩი, ამხელა განათლება  
ტყვილა გაქვთ, ბატონო? ერთი მომისმი-  
ნეთ, თქვენი ჰირიმე და გაიგებთ რა სი-  
ძულვილიც მქონია გულში იმ ავადმო-  
სახსენებელისადმი...

ჰიპოტიონი — როგორ, კაცო, მართლა  
დაწერე რამე თუ?

ვარდენი — აბა, ისე რა მომასვენებ-  
და... დავწერე და „ნიანგში“ მინდოდა  
გამეგზავნა, მარა რა შექნა, ვერ ებედაე-  
დი...

კალისტო — თუ ვარგა, აწიცი შეიძლე-  
ბა!...

ვარდენი — ჰოდა, აბა, ერთი მომის-  
მინეთ, ბატონო... (კითხულობს)

ილარიონავ, შენ მექრთამევე,  
გაფუქებულო,

ახლა მოხსნილო, ერთ ადგილზე  
მოუყჩებულო...

მოგელო ბოლო, ხომ მოვანდობს,  
გიტრეკე, ყოველსა  
მაგრამ მოიცა, ჯერ სადაღ  
ჩვენი მოთქმა  
არც ეს გეყოფა.

შენს მთელს ქონებას მალე ვუზამთ-  
კონფისკაციას,  
შენზე იტყვიან — ერთი გლახა,  
ქონდრისკაცია!

კალისტო — ყოჩაღ, ვარდენ! გეფიცე-  
ბი, ჩემი გული და სული გადმოგიშლია!  
ჰიპოტიონი — რა ამბავია, მოგისპია კა-  
ცი და ეგ არის!

ვარდენი — რომ ამოიყაროს, ხელახლა  
მოესპობ!

სარდიონი — (ვარდენს ჯიბიდან ქა-  
ლაღი ამოუღო) ახლა, ბატონო, ერთი  
ესეც წაიკითხეთ...

ჰიპოტიონი — ეს რაა?

ვარდენი — რას შობა, კაცო!

სარდიონი — არა, ნახეთ, ერთი თვა-  
ლი გადააველო.

ჰიპოტიონი — რა არის ასეთი?

ვარდენი — რაღაცა ამან ჩამიღო ახლა,  
ჯიბეში!...

ჰიპოტიონი — (კითხულობს) „ილარი-  
ონიანი ანუ ქეთა-ქება ილარიონს“. რაო,  
კაცო?

სარდიონი — ჰო, როგორ მოგწონთ?  
ესეც ვარდენის გამომცხვარია...

ვარდენი — წაიკითხეთ, ბატონო, წაი-  
კითხეთ... რაო, რა ცილს მწამებს, რა და-  
უწყრია?

ჰიპოტიონი — (კითხულობს) „ჩვენს  
ოჯახებზე რომ ზრუნავდი, გვეყავდი მამა-  
და...“

ვარდენი — ვინ, კაცო, ილარიონი?

კალისტო — ილარიონი — მამა და  
მზრუნველი?

ჰიპოტიონი — (კითხულობს) „შენი შე-  
მყურე, მტრები წელში მოხრილარინ“  
(ქალაღი სახეში მიართყა) შე, ორბირო,  
შენ! ტფუ!

ვარდენი — მომაფურთხე, ჰიპოტიონ  
ელიზბაროვიჩი, თქვენი მოფურთხება, ბა-  
ტონო, ღვთის წყალობაა, რაეა მეწყინება!

კალისტო — კაცო, ილარიონი, აგერ!



ვარდენი — ილარიონო?!

(შემოდის ილარიონი)

ილარიონი — რა ამბავია, ცოტა რომ შემაგვიანდა, ამიტომ მუშაობას თავი უნდა დაანებოთ?

კალისტო — სწორედ თქვენზე ვლამბაკობდი...

ილარიონი — ლამბაკობდით, თორემ ხომ არ მუშაობდით. თქვენი გულისათვის გამოიძახეს და მითითება მომცეს!

კალისტო — მითითება? ო, შენი კორიძე!

ვარდენი — მამ, დავვიბრუნდით, ხომ?

ილარიონი — აბა, მგელი ხომ არ შემქამდა?

ვარდენი — ილარიონ, ჩვენო მამე! (ხელეები დაუკოცნა) აქ მე თქვენი გულისათვის სახეში მაფურთხებენ (დაკმუტუნელი ქალღილი აიღო). აი, ამის გულისათვის შეჭმას მიიბრუნდნენ... ეს თქვენზე დავწერე... რა მექნა, თქვენდამი სიყვარული ვერ დაეთარე! (კიბიტონს მრისხანედ) ახლა, აქ რა პირით ღვაბაბრ! ილარიონის გუბისათვის რომ მომაფურთხე, შე მართლა ფურთხის ღირსო! (სარდიონი წავიდა. კიბიტონმაც წასვლა დააპირა).

ილარიონი — კიბიტონ ელიზბაროვიჩი, შორს არ წახვიდეთ, ახლა ქალაქელები მოვლენ და საქმეები ჩაიბარეთ!

კალისტო — რაო?, ესე იგი, გათავდა, არა?

ვარდენი — რაო, კაცო, რაო?.. ეს ნამდვილია?

ილარიონი — კი, პროკურატურას გადამცეს...

კალისტო — ო, ვენაცვალე მართლმსაჯულებას!

ვარდენი — კიბიტონ ელიზბაროვიჩი, ხომ ვამბობდი კონფესკაციაზე? (კიბიტონმა წასვლა დააპირა).

ილარიონი — კიბიტონ, ნუ წახვალ, ახლავ მოვლენ!

კიბიტონი — საქმეებს ჩაეიბარებ, მაგრამ ამ უცხოპირობებს ნუ დამოტოვებ, ვგენი თან გაიყოლიე! (წავიდა).

კალისტო — კიბიტონ ელიზბაროვიჩი!

ვარდენი—ვაიმე, რაღა ვქნათ ახლა, ა?

კალისტო — ჩემთან რა უნდა, კაცო, რაზე ნიწყრება? (ილარიონი გავიდა).

ვარდენი — კალისტო, დავლუპეთ, ხომ ცოლ-შვილი?



ხალხის მხარდამხარ, ცხოვრების წინა  
ხაზზე, № 2.

**ლექსები**

ანანიძე ლ. — ოცნების გემი, № 2.

ანანიძე შ. — ციურ დედოფალს, № 4.

ართილაყვა რ. — შენ ახლა... \*\*\* (მე  
ასე ვიგოძენი...). № 2.

გვარიშვილი ნ. — ჩემო აჭარის ზეცაო.  
სისხამ დილით, \*\*\* (ჩვენს წინ...) \*\*\* (ო.  
რა ტკბილია...), \*\*\* (დამსხვრა ლურჯი).  
№ 1; ცის ასულს, \*\*\* (ბროლის ლარნაყ-  
ში...), სპიხის ხმაზე, \*\*\* (ჩვენს შორის...),  
\*\*\* (შენ არ მოხვედი...), ჩემო პატარა  
ბაბუაწვერა, \*\*\* (სული ვავდერთ...),  
\*\*\* (ყმაწვილურ სურვილს...), № 5.

გორგილაძე ზ. — მალა და დაბლა,  
თოვლში, № 1; ღია ბარათი ნაცნობ ინ-  
ჟინერს, იზოლდა, ემსგავსება მზიანს  
წვიმიანი დღე, \*\*\* (სუფთა გრძნობე-  
ბის...), № 4; სიმღერების მხარე, ზღა-  
პარი, სურვილი, № 6.

ვარშანიძე მ. — ზღვას, წუთისოფელი.  
ხოშველდი, № 4; „ჩაღმა ჩაყრილო ვენა-  
ხო“, „წვიმდა იმ ღამეს“, \*\*\* (აი მე თი-  
თქოს...), \*\*\* (რა მშვენიერა...), № 6.

კლდიაშვილი გ. — თვლები, № 3.

მალაზონია ნ. — მეყვავილე, იური გა-  
გარის, № 2; ახალ თარბას, მშვიდობის  
წლები, მეგობარ პოეტს, № 6.

მეტრეველი ბ. — მოგონება, № 6.

მუავია ქ. — დაგელოცა ქალობა, კვლავ  
იმ დღეების ცეცხლი მინთია, № 2; შენ-თ  
ეცანით, ხარ საოცრება ზეცის და მიწის,  
№ 4.

როყვა შ. — ავსწიოთ მალა გული  
მზესავით, პოეტი, № 1.

რურუა პ. — ღრუბელი ლურჯ ცაზე,  
№ 1.

სამხარაძე გ. — სენეთის გზაზე, № 5.

სეიდიშვილი ლ. — ბავშვები, ფრესკები

წვიმაში, რუ და ია, № 2; ბათუმის ნაპი-  
რებთან, \*\*\* (შენ იცი...), № 5.

ქათამაძე ჯ. — იმ დილით, № 2; ეს თე-  
თორნი ვისია?, \*\*\* (იავ!.. თ, იავ...), № 5.

შუბლაძე შ. — ინდოეთს, მე და მზე-  
სუმშირა, № 3; ვალენტინა ტერეშკოვას,  
№ 4.

ჩხაიძე ა. — მიყვარს გაზაფხული, № 4.  
შვილს, ვაგზალში, № 6.

ხალვაში ფრ. — ხვალ, ვაზი, \*\*\* (ვერ  
გაპატიებ...), სიტყვა, მერცხალი, № 3.

ჩაყელი ჯ. — სევასტოპოლი, ძველი  
გემების სასაფლაოზე, ჩემი ხელები, № 1;  
კახაბერი, რა დამაიწყებს, გათლიან ფი-  
ცარს, შლამს არ გავირეც, № 3.

**თარგმნილი ლექსები**

ბეჰერი ი. — მინაწერები ბუქვენელდის  
ყოფილ ტყვეთა საკონცენტრაციო ბანა-  
კის ბარელიეფებზე (თარგმნა შ. შუბლა-  
ძემ), № 2;

გამათოვი რ. — სიმღერა, რომელსაც  
დედა უმღერის... ჩემს რედაქტორებს.  
რესპტიქონიანი ლექსები: \*\*\* (აგერ, იმ  
კაცზე...), \*\*\* (ყველაფრის მცოდნე...),  
\*\*\* (ზოგჯერ ამქვეყნად...), \*\*\* (უღარ-  
დელი კაცი...) — თარგმნა გ. სალუქვა-  
ძემ, № 3.

მაიაკოვსკი ვ. — წერილი მოლჩანო-  
ვის მიერ მიტოვებულ სატრფოს (თარგმნა  
გ. სალუქვაძემ), № 5.

ორჰან ველი — მე ვუსმენ სტამბოლს  
(თარგმნა ა. მაჭუტაძემ), № 6.

**მოთხრობები, ნოველები,  
მინიატურები**

კეჭელაძე გ. — გაზაფხული ფანჯრი-  
დან, № 6.

ლორია პ. — ახალგაზრდა პროკურო-  
რი, № 2; ოლინკა, № 4; ჩვენი ქარხნის  
დირექტორი, № 6.

მარმარაშვილი შ. — კედელი, № 3.

მეტრეველი ბ. — დიპლომი, № 4.



მტკვანთა  
გინბლიწიშქა

შოდებაჲ 5. — ყვაილები, № 3; ავად-  
მყოფი, „ნუსხა“, № 5; ასაკი, ბეროკაცი  
და ბიჭი, № 6.

რუსიჲ კ. — ორი მოქმედება, № 1;  
აოჩეანი და იგბი, № 3.

სანადირაჲ გ. — სინაჲ, № 1; ველ-  
რი, № 5.

ჩხაიჲ ნ. — ხოსობა, № 5.

ჩხარტიშვილი ს. — მხატვარი, № 4.

ჭელიჲ გ. — ოქროლია, № 3.

ძირკვაჲ ნ. — ცისკარი რომ გაახელს  
თვალეს, № 2.

ხალაჲში ფრ. — უმიანი, № 1; გახსე-  
ნება, № 5.

ხითაროვა ლ. — ვინ არის ის?, № 2.

ხოფერია ჯ. — ბაბუა, № 2.

ჯაყელი ჯ. — ზოპრა, № 6.

### თარგმნილი მოთხრობანი, ნოველები

ბასტიანი პ. — მასის შრომანები (გე-  
რმანულიდან თარგმნა ე. ჭანუყვაძემ),  
№ 1.

დიზი მ. — ლოდინი (ფრანგულიდან  
თარგმნა პ. ჯორბენაძემ), № 4.

ლუში ფ. — ეჭვი (თარგმნა ნ. გვარი-  
შვილმა), № 2.

მიხალკოვი ს. — შტილი (თარგმნა ტ.  
ხინთიბიძემ), № 5.

საროიანი უ. — პიანისო (ინგლისური-  
დან თარგმნა გ. მაჭუტაძემ), № 1.

პოლმა ლ. ა. — მოხუცი და ბიჭი (თარ-  
გმნა ხ. ფერაძემ), № 3.

### დღეები და აღამიანები

მალაზონია ნ. — ბათუმე-ხულო, № 4.  
პარზინა ნ., ბორჩხაჲ დ. — ახმედის  
ქალიშვილი, № 2.

ურტუშაჲ გ. — ჩვენ დაგიბრუნდით,  
მშობლიური მიწავ! № 5.

ჩხაიჲ აღ. — დამორჩილებული ქო-  
რობი, № 1.

### პუბლიკაციი

გელაჲ ლ. — გამარჯობა, შევარდენი,  
ნესტორ მალაზონიას, № 1.

ჩურტუა პ. — \*\*\* (წინათ რა მქონდა  
გასახარელი...), მშვიდობისათვის, პიენი

კოსმონავტებს, \*\*\* (თუ მოვედით, რა  
მერე?..) № 6.

ქიმიკარიშვილი ლ. — \*\*\* (არ ვიცი რატომ...), № 3.

### მოგონებანი

მებუჲე კ. — მოგონებები ვალაკტონ-  
ზე, № 3.

ნოლაიდელი ჯ. — მოგონებები ივანე  
ჯაენიშვილზე, № 4.

შალაჲ ა. — იმ მულუკარე დღეებში,  
№ 5.

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

აბრამიშვილი ე. — თუმანიშვილების  
ოჯახი და „არტისტული წრე“, № 3.

არველაჲ ს. — ცხოვრება და პოეზია,  
№ 6.

ახელედიანი ხ. — აჟარის სახელმწიფო  
მეზუჲეში, № 6.

დუმბაჲე ნ. — ტიციან ტაბიძის პოე-  
ზიის ძირითადი მოტივები, № 1.

კიკნაჲე ვ. — შენიშვნები ტრადიციუ-  
ლსა და ნოვატორულს შესახებ, № 1.

მახარაჲე ფ. — ოცნებიდან სინამდუ-  
ლისკენ, № 5.

ნაცვლიშვილი პ. — სოციალისტური  
რეალისმის მეთოდის ნოვატორული ხა-  
სიათი, № 5.

სისარულიჲე ი. — ტბელ აბუსერისძის  
ვიწარბის საკითხისათვის, № 2; გიორგი  
შუარტყულ-მაწყვერელის სადღერობი-  
სათვის, № 4.

ქურდიჲე შ. — ანტონ ფერცელაჲე ლი-  
ტერატურის ტენდენციურობის შესახებ,  
№ 2; სანდრო შანშიაშვილის სატრფიალო-  
სამიჯნურო ბალადები, № 6.

შარაშიჲე ვლ. — რსდმპ ბათუმის კო-  
მიტეტი — პარტიის II ყრილობის მონა-  
წილე, № 4.

ჩავლიეშვილი აღ. — აჟარა ფრიდონ  
ხალვაშის პოეზიაში, № 3.

ჩხაიჲე ს. — რამდენიმე სტრიკონის შე-  
სახებ „ვეფხისტყაოსანში“, № 2.

ჯორბენაჲე პ. — საზღვარგარეთული  
პუბლიცისტიკა დიდი ლენინის შესახებ,  
№ 2.

## ლიტერატურული კალენდარი

ახვლედიანი ა., სურგულაძე ა. — მე-ბრძოლი პოეტი და პუბლიცისტი, № 5.

ბოჭორიშვილი ზ. — კაცობრიობის გაზაფხულის მომღერალი, № 4.

ვართაგავა ი. — გამოჩენილი ქართველი მოღვაწე და პუბლიცისტი, № 5.

ნაცვალაძე დ. — გამოჩენილი ქართველი პოეტი, № 2; „სიტყვას ვიტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს“. № 5.

შავგულიძე ქ. — რევოლუციის მგზნებარე მომღერალი, № 2.

ჩავლიშვილი აღ. — მზიანი დილის მექველ, № 1.

ჭობენაძე პ. — პოეტი — მოქალაქე, № 1.

## წიგნის თარო

გორგილაძე ვ. — სასარგებლო მეცნიერული ნაშრომი, № 3.

იმნაძე მ. — წიგნი მეოცე საუკუნის ფრანგ მწერლებზე, № 6.

ომერიძე მ. — „ზღვი და სიყვარული“, № 6.

ქაშიბაძე ი. — თანამედროვეობის სულისკვეთებით, № 1.

ჩავლიშვილი აღ. — ბესიკის ოხზულებათა ახალი გამოცემა, № 2; სასარგებლო კრიტიკული ეტიუდები, № 4.

ხიტირი თ. — პოეტის ლიტერატურული წერილები და ნარკვევები, № 3.

## ფოლკლორი

ახვლედიანი ა. — ერთი ხალხური ლექსის გამო, № 6.

## ხელოვნება

გაბისონია გ. — მექიბონე ქოჩახელა, № 6.

კილაძე დ. — მაყურებლის ჩანაწერები, № 4.

სინიკაძე მ. — ქართული თეატრის სიანაყე, № 2; ქართული სცენის ნიჭიერი ოსტატი, № 3.

## აპარის წარსულიდან

თანდილაძე ზ. — ქართველ ტომთა თევზაობა-ნაოსნობის წარსულიდან, № 5.

ნოღაიდელი ჯ. — ფეშუმო, № 2.

სიჭინავა ვლ. — ბათუმის ნავსადგურის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების შედეგების საკითხისათვის, № 3.

სურგულაძე ა. — მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის აჭარაში, № 4.

## საბირა და იუმორი

თოდრია ვ. — ოცდამეოთხე მგზავრა, № 2.

კანდელაკი ვ. — ბელურა, ასეთია ხელოვნება, № 3.

ობოლი პ. — წამოშველება, № 1; სამკურნალო წიგნი, წერილი ლექსად, № 5.

როყვა შ. — რაც დათესა, ის მოიშავა, № 3; მღიქვენილების გასაჭირი, № 6.

ჩხაიძე ნ. — პირველი ექსკურსია, № 4.

---

ხელმოწერილია დასაბუქდად 27/XI, 1963 წ. საბუქდი 6. საგამომცემლო 5 თბახი-  
შეკეთის № 7986. ემ 00621. ქალაქის ზომა 60X92. ტირაჟი 2.600  
საქ. სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბიბლიოგრაფიამომცემლობათა  
სამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია  
(ლექსეგზურგის, 22).

3260 40 333.

8 12/24 26340



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

*„ლიტერატურული ადჯარა“*

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ИНДЕКС 76118